

პლატონ მანჯავიძე

ახალი უკონტაქტო ინდუსტრიული გარდამშველების
აბების პრინციპები მუზემივი მაგნიტის ენერგიის
გამოყენებით

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
ივნისი 2008 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მანჯავიძე პლატონის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: “ახალი უკონტაქტო ინდუქციური გარდამქმნელების აგების პრინციპები მუდმივი მაგნიტის ენერგიის გამოყენებით” და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი”
სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელი: თ.ლაბაძე

რეცენზენტი: პ.კამპამიძე

რეცენზენტი: ი.ნარდაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2008 წ.

ავტორი: “მანჯავიძე პლატონი”

დასახელება: “ახალი უკონტაქტო ინდუქციური გარდამქმნელების
აგების პრინციპები მუდმივი მაგნიტის ენერგიის გამოყენებით”

ფაკულტეტი: “ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი”

აკადემიური ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: 20.06.2008

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ
ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის
შემთხვევაში მისი არაკონტაქტური მიზნებით კოპირებისა და გავრცელების
უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც
მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების
გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია
ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო
უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა
(გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ
სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს
მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა
მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

დასაბუთებულია სამუშაოს აქტუალობა, განსაზღვრულია მიზანი და ფორმულირებულია დისერტაციაში განხილული გადასაწყვეტი სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანები.

ჩატარებულია კონტროლისა და გაზომვის ტექნიკის არსებული პრინციპების, საშუალებების, ხერხების და მეთოდების შედარებითი ანალიზი. დადგენილია ელექტრომაგნიტური პირველადი გარდამქმნელების გამოყენების პერსპექტიულობა.

მოყვანილია ელექტრომაგნიტური პირველადი გარდამქმნელების კლასიფიკაცია და მათი ლირსება-ნაკლოვანებების ანალიზი.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სიჩქარეების გარდამსახებში მუდმივი მაგნიტის ენერგიის გამოყენება მაგნიტური გამტარის გარეშე პერსპექტიულია.

მოყვანილია ინდუქციური პირველადი გარდამქმნელების (იპგ) კლასიფიკაცია კონსტრუქციული ნიშნის მიხედვით. შედგენილია ცდომილებების წყაროების კლასიფიკაცია იმ შემთხვევისთვის, როცა აღმგზნები გრაგნილის როლს ასრულებს მუდმივი მაგნიტი.

შეფასებულია ინდუქციური გარდამქმნლების მეტროლოგიური მახასიათებლები. დადგენილია, რომ $5 \cdot 10^{-4}$ ტლ ინდუქციის მაგნიტური ველის გავლენას შემოაქვს ცდომილება არაუმტებელ 0,2%.

განხილულია კუთხური გადაადგილების და სიჩქარის სამკოორდინატული პირველადი გარდამქმნელის თეორიული საფუძვლები და აგების პრინციპები. დასაბუთებულია, რომ სფერული ფორმის მუდმივი მაგნიტის ველის კვაზიკონსინუსოდალობა იძლევა იმის საშუალებას, რომ მისი უმნიშვნელო მობრუნების შემთხვევაშიც კი ჩაკეტილ კონტურში აღმრას ემდ, ვინაიდან იწვევს ნაკადშემულობის ცვლილებას.

დამუშავებულია სამკუთხედის ფართობის პოვნის განზოგადებული კოორდინატული მეთოდი იმ შემთხვევისათვის, როდესაც R რადუსიან სფეროზე განთავსებული გრაგნილებისგან შემდგარი კონტური არ მიეკუთვნება სფეროს დიდ წრეს, რაც იძლევა საშუალებას სფეროზე სამი კოორდინატის ცოდნის შემთხვევაში გამოვიანგარიშოთ ფართობის სიდიდე, რომელიც ემდ პირდაპირპროპორციულია..

კერძო შემთხვევისათვის, იგივე ამოცანა გადაჭრილია ურთიერთინდუქციურობის ცვლილების დადგენის გზით, როცა სფერული ფორმის მაგნიტი ჩანაცვლებულია წრიული ფორმის მუდმივ დენიანი კონტურით.

ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ ღრუ ნახევარსფეროს ორ გამზომ კონტურში დამატებითი სექციების შემოგანით, პერიმეტრზე განთავსებული გამზომი კონტურის გარდა, გარდამქმნელის მაქსიმალური მგბნობიარობა გაიზარდა საშუალოდ 1,5-ჯერ და შეადგინა 27 [მგ⁰].

განხილება ორხედური ინდიკატორების აგების ფიზიკური საფუძვლები, პრინციპები და ხედური ინფორმაციის შეცვლის მართვის თავისებურებანი.

დამუშავებულია ორხედური ინდიკატორი მწკრივში განლაგებული ღრუ ცილინდრული ფორმის მქონე და რადიალურად დამაგნიტებული მაგნიტების გამოყენებით.

მწკრივად განლაგებული მონაცვლე პოლუსების მქონე ღრუ ცილინდრული ფორმის მაგნიტები უზრუნველყოფებ ინდიკატორის ელემენტების მდგრად მდგომარეობას მართვის იმპულსის მოხსნის შემდეგ და

ამიტომ საიმედოდ ინარჩუნებენ წინა ინფორმაციას მაშინაც კი, როცა ინდიკატორზე მოქმედებს ვიბრაცია.

გამოკვლეულია ასეთი სისტემის მართვის თავისებურებანი და დადგენილია, რომ იმპულსური მართვისას ადგილი აქვს მიღებად რხევებს, რომლებიც გამოწვეულია მრავალმრიცხოვანი პარამეტრების გავლენით.

შედგენილია მართვადი იმპულსური ზემოქმედების შედეგად გამოწვეული მოძრაობის დაზუსტებული განტოლება, რომელიც ითვალისწინებს ძირითად მოქმედ ფაქტორებს: ბრუნვის ელექტრომაგნიტურ, მშრალი ხახუნის, სიბლანტის და ფირფიტის გრეხის ძალის მომენტებს.

რხევების რიცხვის შესამცირებლად შემოთავაზებულია მართვის რამდენიმე მიღგომა.

მოყვანილია მცირე სიმძლავრიანი, აქსიალურად დამაგნიტებული ტორის ფორმის მუდმივი მაგნიტის შემცველი, მრავალფენოვანი გენერატორის აგების პრინციპი. დასაბუთებულია მათი პერსპექტიულობა მძიმე მრეწველობაში უქმად მბრუნავი დერძების მექანიკური ენერგიის ელექტრულ ენერგიაში გარდამსაქმნელად.

გენერატორის აგების ორიგინალური პრინციპი, მისი აღმგზები და უძრავად განთავსებული კოჭების მომჰქერების შეერთება იძლევა საშუალებას, რომ გენერატორი გამოვიყენოთ როგორც დენის ან როგორც ძაბვის წყარო.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითად შედეგებზე გამოქვეყნებულია 14 სამეცნიერო სტატია, აპრობაცია გავლილია 3 საერთაშორისო კონფერენციაზე, მიღებულია 3 პატენტი და შედგენილია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს 2 ანგარიში.

SUMMARY

The actuality of the work is proved, the aims are determined and the considered solvable scientific-technical tasks in the dissertation are formulated.

The comparative analysis of the existing principals, means and methods of control and measuring technique is carried out. The prospect of using electromagnetic initial transducers is determined.

The classification of the electromagnetic initial transducers and the analysis of their merits and demerits are given.

On the basis of the analysis the use of the constant magnetic energy without a magnetic conductor in the speed transducer is determined to be perspective.

The classification of the inductive initial transducers by the design feature is given. The classification of the sources of errors for the case when the constant magnet acts like an excitation winding is made up.

The metrological characteristics of inductive transducers are estimated. It is determined that the influence of the field with the magnetic induction of $5 \cdot 10^{-4}$ Tc gives not more than 0,2% of errors.

Theoretical footings and principles for constructing a three dimensional initial transducer of angular movement and velocity are considered. It is proved that the quasi-cosinusoidality of the magnetic field of a spherical form makes possible to actuate electromotive force (emf) in the closed circuit in case of its insignificant angular rotation, since it causes changes of magnetic linkage.

Devised is the generalized coordinate method for determining a triangle area for the case when on the sphere of R radius is placed the contour made of winding not belonging to the big circle of sphere giving the possibility in case when three coordinates are known to calculate the value of the area, which is in direct proportion to the emf.

For the special case the same problem is solved by determining the changes of mutual induction, when a constant magnet is substituted by the contour with direct current.

By the experiment it is determined that by introducing additional sections in two measuring contours of hollow semisphere, besides the contour placed along the perimeter, the maximum sensitivity of the transducer was increased 1.5 times on average and made 27 mB° .

The physical footings of constructing a two-sided indicator are considered, the principles and peculiarities of control are substituted by the visual information.

The two-position indicator using ranked hollow cylindrical by form and radially magnetized magnets is developed.

Hollow cylindrical by the form and radially magnetized magnets ranked with the variable polarity provide steady state of the indicator elements after cutting off a control impulse and therefore securely preserve the previous information even when the vibration effects on the indicator.

The peculiarities of such control system are investigated, and it is determined that when impulse control damped vibrations stipulated by the influence of numerous parameters take place.

The specified equation of motion caused by the influence of the control impulse, which takes into account the principal acting factors: moments of force - electromagnetic rotation, dry friction, moment of viscosity, torsion, is made.

Some methods of control are proposed for minimizing a number of vibrations.

The principle of constructing a multi-layer generator of low power consisting of axially magnetized constant magnet of a torus form is given. The prospect of its use

in heavy industry for converting the mechanical energy of the idle rotating axle into the electrical energy is proved.

The original principle of the generator construction, its excitation and connection of the ends of fixed coils gives possibility to use the generator as a source of current or power.

The basic results of the dissertation work were published in 14 scientific papers, they were apporobated on 3 international conferences, 3 patents were taken out and 2 scientific-research reports were made.

სარჩევი

ნახაზების ნუსხა	X
დისერტაციაში გამოყენებული აპრეზიატურები	XII
შესაბამის	XIII
I თავი. სამუშაოს აქტუალობა, მიზანი და კვლევის ამოცანები 19	
1.1. სამუშაოს აქტუალობა და მიზანი	19
1.2. არსებულ მაკონტროლებებს მოწყობილობათა ანალიზი	19
1.3. ინდუქციური პირველადი გარდამქმნელების კლასიფიკაცია კონსტრუქციული ნიშნის მიხედვით	23
1.4. ხაზოვანი და კუთხეური სიჩქარის ინდუქციური პირველადი გარდამქმნელების ცდომილებების ანალიზი	25
1.5. კვლევის ამოცანები	37
II თავი. კუთხეური გადაადგილების სამკორდაჭინატული პირველადი არდამქმნელის თეორიული საფუძვლები და აგების პრინციპები 38	
2.1. მაგნიტური ველის სამი ორთოგონალური მდგენელის გამოთ- ვლის გამოსახულებები	38
2.2. სამკორდინატული ინდუქციური პირველადი გარდამქმნელის აგების პრინციპი	40
2.3. ნახევარსფერული ფორმის ინდუქციური პირველადი გარდამ- ქმნელების მგრძნობიარობის გაზრდის გზები	48
2.4. ურთიერთინდუქციურობა საერთო ცენტრის მქონე წრიულ და სფერულ ზედაპირებზე ბრტყელპარალელურად განლაგე- ბულ ნახევარწრეულ კონტურებს შორის.....	58
2.5. შედეგები II თავის მიხედვით	62
III თავი. ორხელური ინდიკატორების ფიზიკური საფუძვლებისა და აგების პრინციპების დამუშავება 63	
3.1. უკონტაქტო ორხელური ინდიკატორის აგების ფიზიკური საფუძვლები	63
3.2. ინდიკატორის აგების პრინციპი და კონსტრუქციული თავისებურებანი	71
3.3. მწერივად განლაგებულ მაგნიტებზე დინამიური ძალების მოქმედების გამოთვლა	74
3.4. ღრუ ცილინდრული ფორმის მაგნიტების მოძრაობის დინამიური განტოლების შედგენა.....	78
3.5. პრიზმული ფორმის მაგნიტებზე აგებული ორპოზიციური დინამიური ობიექტის უკონტაქტო მართვის თავისებურებანი...84	
3.6. ინდიკატორის შესრულების კონკრეტული მაგალითი.	93
3.7. შედეგები III თავის მიხედვით	93
IV თავი. მეორადი გარდამქმნელებისათვის მცირე სიმძლავრიანი, მუდმივი მაგნიტების შემცვლელი გეოერატორის დამუშავება ..95	
4.1. გენერატორის აგების ფიზიკური საფუძვლები და თავისებურებანი	96
4.2. გენერატორის მაკეტის მოქმედების ფუნქციონალური სქემა ..102	
4.3. გენერატორის გამომავალი სიგნალის ექსპერიმენტალური გამოკვლევა	102
4.4. შედეგები IV თავის მიხედვით	106

დასკვნა	107
ბამოყვებული ლიტერატურა.....	110
დანართი 1. ურთიერთინდუქციურობის გამოთვლის პროგრამები გარდამქმნელის გამომავალი მახასიათებელის დასად- გენად და სტაციონალური მაგნიტური ველის ინდუქ- ციის გამოთვლის ბლოკ-სქემა.....	116
დანართი 2. ძირითადი ექსპერიენტალური გამოკვლევების ცხრილები და მიღებული მახასიათებლები	130
დანართი 3. დამუშავებული პირველადი გარდამქმნელების კონსტრუქციული თავისებურებანი	134
დანართი 4. დამუშავებული მაკეტების ფოტოსურათები	139

ნახაზების ნუსხა

თავი 1

1.1.	ელექტრომაგნიტური გარდამქმნელების კლასიფიკაცია	22
1.2.	ინდუქციური პირველადი გარდამქმნელების კლასიფიკაცია კონსტრუქციული ნიშნის მიხედვით	24
1.3.	ცდომილებების წყაროების კლასიფიკაცია	27

თავი 2

2.1.	ნახევარსფეროს ფორმის მაგნიტის ზედაპირზე მაგნიტური ველის განაწილების სახე	39
2.2.	სფერული ფორმის მაგნიტის ზედაპირზე მაგნიტური ველის განაწილების სახე	39
2.3.	მაგნიტური ველის დაძაბულობის განაწილების რიცხობრივი მნიშვნელობები ზედეპირიდან და მანძილით დაშორებით	39
2.4.	ორი მიმდევრობით შეერთებული ნახევარრკალით შედგენი- ლი იდენტური გამზომი კონტურების შესრულების სქემა	43
2.5.	სამი მიმდევრობით შეერთებული ნახევარრკალით შედგენი- ლი იდენტური გამზომი კონტურების შესრულების სქემა	43
2.6.	აღმგზნები რგოლის მობრუნების შემთხვევაში ე.მ.ძ.-ს მიმართულებები თითოეულ გამზომ ხვიაში	44
2.7.	გამზომ გრაგნილის თითოეულ ნახევარრკალში ე.მ.ძ.-ბის ზედგების სქემა	44
2.8.	სამკორდინატული გადამწოდის ფუნქციონალური სქემა	45
2.9.	დიდი რადიუსის სამი იდენტური ნახევარრკალური ფორმის გრაგნილების განთავსება სფეროს ზადაპირზე	51
2.10.	მუდმივი მაგნიტის φ კუთხით წანაცვლებისას ნახევარრკა- ლური ფორმის გრაგნილების მიერ მაგნიტური ძალწირების გადაკვეთით მიღებული ფართობი	51
2.11.	R რადუსიან სფეროზე განთავსებული ნახევარრკალური ფორმის კონტურის სიბრტყე არ გადის სფეროს ცენტრზე	53
2.12.	სფერული სამკუთხედის ზოგადი ფორმა	53
2.13.	სფერული სამკუთხედის ფართობის განსაზღვრის ზოგადი სქემა	56
2.14.	სფერული სამკუთხედის ფართობის პროექცია X სიბრტყეზე	56
2.15.	საერთო ცენტრის მქონე წრეწირული და სფერულ ზეაპირზე ბრტყელპარალელურად განლაგებული ორი ნახევარწრე წირული კონტურები	61
2.16.	კონტურების პროექციები X სიბრტყეზე	61

თავი 3

3.1.	ღრუ ცილინდრული ფორმის შედგენილი მაგნიტები	64
3.2.	ორი სრული ნახევარრკალიდან შედგენილი ღრუ ცილინ- დრული ფორმის მაგნიტის მაგნიტური ველის სახე	65
3.3.	ორი ერთმანეთისაგან იძულებით დაშორებული ღრუ ცილინ- დრული ფორმის მაგნიტებს შორის მაგნიტური ველის სახე	65
3.4.	მწკიფში განლაგებულ ღრუ ცილინდრული ფორმის მაგნიტე- ბის დინამიკა გარე მაგნიტური ველის ზემოქმედების დროს	68
3.5.	მბრუნავი მაგნიტის გეომეტრიული პარამეტრები	68

3.6. მმართავი ელექტრომაგნიტის მაგნიტოგამტარის ბუნებების დახრის კუთხის განსაზღვრის მეთოდის სქემა.....	70
3.7. მაგნიტოგამტარის ბუნებების საშვალო ხაზის სიგრძის განსაზღვრის მეთოდის სქემა	70
3.8. სექციონირებული ორხედური ინდიკატორის ფუნქციონალური სქემა.....	72
3.9. ორხედური ინდიკატორის კონსტრუქციული სქემა.....	72
3.10. ორხედური ინდიკატორის დინამიური მართვის ელექტრული სქემა.....	72
3.11. მაგნიტის დიპოლის სახით წარმოდგენა	76
3.12. ორი ღრუ ცილინდრული ფორმის და რადიალურად დამაგ- ნიტებულ მაგნიტებზე მოქმედი ძალები	76
3.13. მაგნიტებზე ძალების მოქმედების მახასიათებელი.....	77
3.14. გარე მაგნიტური ზემოქმედების მოხსნისას მექანიკური რხევე ბის ხასიათის სახე	77
3.15. ორხედური ინდიკატორის სისტემა ღრუ ცილინდრული ფორმის მაცნიტებით	80
3.16. მართვის იმპულსების დიაგრამები.....	80
3.17. ორხედური ინდიკატორის ადაპტური მართვის სისტემა რადიალურად დამაგნიტებული ოთკუთხა პრიზმის ფორმის მაგნიტებით.....	89
3.18. ადაპტური მართვის იმპულსების დიაგრამები.....	89
3.19. მოძრაობის დიაგრამები	91

თავი 4

4.1. ტოროიდალური ფორმის აქსიალურად დამაგნიტებული მაგ ნიტის მაგნიტური ველის სივრცული განაწილება	97
4.2. მაგნიტოგამტარის პოლუსური ბუნებების გეომეტრიული ფორმები	97
4.3. მაგნიტოგამტარის ჭრილის კონფიგურაცია	98
4.4. ორი უძრავი არამაგნიტური დისკოების შემცველი და მათზე სიმეტრიულად განთავსებული ელექტრომაგნიტები აღმგზნები კოჭებით და ორი მოძრავი ტოროიდალური ფორმის მაგნიტე ბი თანხვდენილად მიმართული დამაგნიტებით	98
4.5. ორი უძრავი არამაგნიტური დისკოების შემცველი და მათზე სიმეტრიულად განთავსებული ელექტრომაგნიტები აღმგზნები კოჭებით და ორი ტოროიდალური ფორმის მოძრავი მაგნიტები საპირისპიროდ მიმართული დამაგნიტებით	98
4.6. გენერატორის ფუნქციონალური სქემა	100
4.7. გენერატორის ჩანაცვლების სქემა	100
4.8. გენერატორში გამოყენებული მაგნიტის ზედაპირული პოტენ- ციალის განაწილება	100
4.9. გენერატორის მაგნიტური გულარის ბუნებებს შორის ველის გადანაწილება როცა $d=0$	104
4.10. გენერატორის გამომავალი სიგნალის ცვლილება მაგნი- ტური გულარის ბუნებებს შორის მანძილის ცვლილებისას.....	104
4.11. ექსპერიმენტული გამომავალი მახასიათებელი ელექტრომა გნიტის გამჭვლი ნაკადის ინტენსიონის შემცირებისას	105
4.12. ექსპერიმენტული გამომავალი მახასიათებელი ბრუნვთა რიცხვის გაზრდისას	105

დისერტაციაში გამოყენებული აბრევიატურები

- აგ** - აღმგზნები გრაგნილი
გბ - გამზომი გრაგნილი
მბ - მეორადი გარდამქმნელი
მმ - მუდმივი მაგნიტი
მს - მაგნიტური სისტემა
იპგ - ინდუქციური პირველადი გარდამქნელი
ემბ - ელექტრომამოძრავებელი ძალა
მრმ - მარეგისტრირებელი მოწყობილობა
მ.ქ.პ. - მარგი ქმედების კოეფიციენტი
უპგ - ურთიერთინდუქციური პირველადი გარდამქნელი
პრგ - პარმონიული რხევების გენერატორი
 \vec{H} [ა/მ] - მაგნიტური ველის დაძაბულობა
 \vec{B} [ტლ] - მაგნიტური ინდუქცია
 M [ჰნ] - ურთიერთინდუქციურობა
 L [ჰნ] - ინდუქციურობა
 ε_σ [ვ] - თვითინდუქციის ემბ
 f [ჰც] - კუთხეური სიხშირე
 ω [ჰც] - ციკლური სიხშირე
 W [ვალ] - ხვიათა რიცხვი
 K [%] - მ.ქ.პ.
 E [ვ/მ] - მგრძნობიარობა
 $\mu_0 = 4\pi \cdot 10^{-7} [\text{ჰნ/მ}]$ - უნივერსალური მაგნიტური მუდმივა

შესავალი

თანამედროვე პირობებში ფრიად მნიშვნელოვანია მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთი მიღწევების გამოყენება, როგორებიცაა სამრეწველო დანადგარების სწრაფი განახლება, ახალი ხელსაწყოების, პროგრესული ტექნოლოგიებისა და მოქნილი წარმოებების დანერგვა, ვინაიდან შედეგად მიიღება დიდი ეკონომიური და სოციალური ეფექტი.

ინფორმატიკის, აგტომატიკის, გამოთვლითი ტექნიკის და ხელსაწყოთმშენებლობის დარგების განვითარება წარმოუდგენელია თანამედროვე მაღალეფების და საიმედო გარდამქმნელების შექმნის გარეშე. ამიტომ, პერსპექტიულია ლოკალური და დინამიური მართვის ობიექტების აღჭურვა ინფორმაციის უკონტა, ასევე მართვის საშუალებების დამუშავება და წარმოებაში მათი შემდგომი გამოყენება (დანერგვის სახით) მკაცრი ტექნოლოგიური რეჟიმების შესანარჩუნებლად.

ამ თვალსაზრისით, არსებული ტექნიკური საშუალებების სრულყოფა და ახალი გარდამქმნელების დამუშავება, მათი საექსპლუატაციო მახასიათებლების გაუმჯობესება და ელექტრომაგნიტური (კერძოდ, ინდუქციური) გარდამქმნელების ახალი ფუნქციური შესაძლებლობების გამოკვლევა და შემდგომი მიზანმიმართული გამოყენება წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას. ტექნიკის რიგი წარმოებისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ პირველადი გარდამქმნელები, რომლებიც საიმედოობით, მგრძნობიარობით, პარამეტრის პირდაპირი კონტროლის მეთოდით და აგების სიმარტივით აკმაყოფილებენ წარმოების მზარდ მოთხოვნებს. ამ მოთხოვნებს გარკვეული თვალსაზრისით აკმაყოფილებს ინდუქციური გარდამქმნელები განაწილებული პარამეტრებით, რომლებშიც მაგნიტური ენერგიის წყაროდ გამოიყენება მუდმივი მაგნიტები.

მაკონტროლებელ პირველად გარდამქმნელებში, მაბრუნებელი საშუალებების შექმნასა ან მექანიკური ენერგიის გარდაქმნაში მუდმივი ენერგიის წყაროს გამოყენება, ერთის მხრივ, გვაძლევს მოხმარებული ენერგიის მკაცრად შემცირებისა, და, მეორეს მხრივ, -უკონტაქტო და ამიტომ საიმედო გარდამქმნელების და უმარტივესად მართვადი ხელსაწყოების დამზადებისა და მათი პრაქტიკაში ფართო გამოყენების საშუალებას.

დისერტაცია ეძღვნება კუთხეური სიჩქარის მაკონტროლებელი ახალი გაუმჯობესებული პირველადი გარდამქმნელის ფიზიკური საფუძვლების

და აგების პრინციპების დამუშავებას, აგრეთვე სხვადასხვანაირად დამაგნიტებული ტოროიდალური ფორმის მუდმივი მაგნიტების მიერ შექმნილი ველის გავლენის გამოკვლევას მაბრუნებელი ელექტრომაგნიტური საშუალებების და მექანიკური ენერგიის მეორად გარდაქმნელებში მცირე სიმძლავრიანი ელექტრული ენერგიის წყაროს შესაქმნელად.

ასეთი გარდამქმნელები აიგება პრინციპულად ახალ ტექნიკურ გადაწყვეტაზე და გამოირჩევიან ორიგინალობითა და უნივერსალობით.

სამუშაოს მიზანს შეადგენს მაღალი საექსპლუატაციო-ფუნქციონალური და მეტროლოგიური მახასიათებლების მქონე კუთხეური გადაადგილების ინდუქციური პირველადი გარდამქმნელის აგების პრინციპების, კონსტრუქციისა და თეორიული საფუძვლების დამუშავება და ტოროიდალური ფორმის მუდმივი მაგნიტების მიერ შექმნილი ველის გავლენის გამოკვლევა მაბრუნებელი ელექტრომაგნიტური საშუალებების და მექანიკური ენერგიის მეორად გარდაქმნელებში მცირე სიმძლავრიანი ელექტრული ენერგიის წყაროს შესაქმნელად.

- დასახული მიზნების მისაღწევად გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები:
1. მოყვანილია კუთხეური გადაადგილების და სიჩქარის კონტროლის ელექტრომაგნიტური და ასევე ინდუქციურ საშუალებების და მათი ცდომილებების ანალიზი; ექსპერიმენტალურად და თეორიულად დადგენილია ინდუქციური სამკოორდინაციული ნახევარსფერული გარდამქმნელების კონსტრუირების შესაძლებლობა, მიზანშეწონილობა და ფუნქციონირების პრინციპები;
 2. დამუშავებულია სხვადასხვა მოცულობითი ფორმის მქონე გარდამქმნელების პროექტირების თეორიული საფუძვლები, გამომავალი პარამეტრის ანგარიშის მეთოდები, ალგორითმები და პროგრამები;
 3. შედგენილია მოძრაობის განტოლება, რომელიც ასახავს მწკრივში მონაცვლე პოლარობით განლაგებული ღრუ ცილინდრული ფორმის სიმეტრიის დერმის გარშემო მბრუნავ მაგნიტებზე მოქმედი გარე მართვადი იმპულსების მიერ გამოწვეული დინამიური ძალების ზემოქმედებას;

4. ჩატარებულია გარე ძალების მიერ გამოწვეული რხევების დემორების საშუალებების ანალიზი და შემოთავაზებულია მისი ნაწილობრივი ან სრული კომპენსირების რამდენიმე ხერხი;
5. შესწავლილია ტოროიდალური ფორმის მუდმივი მაგნიტების მიერ შექმნილი ვალის გადანაწილება რთული კონფიგურაციის მქონე მეორადი გარდაქმნელების მაგნიტოგამტარებში და დადგენილია მექანიკური ენერგიის ელექტრულში გარდაქმნის გამომავალი სიმძლავრის გაზრდის გზები;
6. ექსპერიმენტულად განსაზღვრულია დამუშავებული გარდამქმნელების სტატიკური მახასიათებლები და მგრძნობიარობა, აგრეთვე სხვა საექსპლუატაციო მაჩვენებლები.

სამუშაოს შესრულების პროცესში გამოყენებული იყო კვლევის ანალიზური, რიცხვითი და ექსპერიმენტული მეთოდები. ანალიზური მეთოდები დამყარებული იყო ელექტროტექნიკის ზოგადი თეორიისა და პირველადი გარდამქმნელების თეორიის დებულებებზე. რიცხვითი მეთოდები გამოყენებულ იქნა ინდუქციური გარდამქმნელის ძირითადი საპროექტო სიდიდეების გამოთვლების ჩასატარებლად ეგმ-ზე. ექსპერიმენტული კვლევა ჩატარდა აქტიური ექსპერიმენტის მეთოდების გამოყენებით.

დისერტაციაში გადმოცემული დებულებების უტყუარობა დადასტურდა თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების შედეგების თანხმდებით.

მიღებული შედეგების სამეცნიერო სიახლე მდგრმარეობს შემდეგ ში:

- დადგენილია კუთხური გადაადგილების ახალი ინდუქციური ელექტრომაგნიტური პირველადი გარდამქმნელების შექმნის შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა, ხოლო ორიგინალური სქემოტექნიკური გადაწყვეტილების გამოყენებით მიღებულია სამი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, სიჩქარის პროპორციული, გამომავალი სიგნალები;
- შედგენილია მწერივში მონაცვლე პოლარობით განლაგებული ღრუცილინდრული ფორმის მაგნიტების მოძრაობის განტოლება და მიღებულია გარე მოქმედი ძალების მოქმედების მოხსნის შემდეგად

გამოწვეული მიღებადი რხევების ნაწილობრივი ან სრული დემო-
რების რამდენიმე ხერხი;

- შესწავლილია ტოროდალური ფორმის მუდმივი მაგნიტების მიერ
შექმნილი ველის გადანაწილება გარდაქმნელების პროცესის ულ-
მაგნიტოგამტარებში და გამოკვლეულია მექანიკური ენერგიის ელექ-
ტრულში გარდაქმნის გამომავალი სიმძლავრის გაზრდის გზები;
- ექსპერიმენტულად განსაზღვრულია დამუშავებული გარდამქმნელე-
ბის სტატიკური მახასიათებლები და მგრძნობიარობა.
- დამუშავებულია აღნიშნული პირველი გარდამქმნელის კონსტრუ-
ქციათა ძირითადი საპროექტო პარამეტრების რიცხვით-ანალიზური
მეთოდები და მათი გამოთვლის ალგორითმები და პროგრამები.

ჩატარებული კვლევის პროცესში დადგენილი ტექნიკური გადაწყვე-
ტების სიახლე დადასტურებულია საქართველოს პატენტებით გამო-
გონებებზე: პატენტი № 1624, საქაატენტის საინფორმაციო ბიულეტენი
№3, 1999წ.; პატენტი № 2609, საქაატენტის საინფორმაციო ბიულეტენი
№21, 2001 წ.; პატენტი № 3220, საქაატენტის საინფორმაციო ბიულეტენი
№17, 2003 წ.

ჩატარებული თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების საფუძ- ველზე დამუშავებულია:

1. სამკორდინატული ინდუქციური ელექტრომაგნიტური გარდამქმნე-
ლი. მის დრუ ნახევარსფეროზე ურთიერთორთოგონალურად განთავსე-
ბულია საზომ-საკონტროლო, სპეციალური ფორმით დახვეული, სამი
გალვანურად დამოუკიდებელი გამზომი გრაგნილი. თითოეულ გამზომ
გრაგნილში ნაკადშებმის ცვლილებით მიიღწევა სიგნალის ცვლილება.
მიღებული სიგნალის სიდიდე მობრუნების სიჩქარის პროპორციულია;
2. იმპულსებით მართვადი ორხედური ინდიკატორი. მისი თითოეული
ელემენტი შედგება ღრუ ცილინდრული ფორმის რადიალურად დამაგ-
ნიტებული მაგნიტისაგან და მასში ჩაშენებული ბრტყელი ფირფიტე-
ბისაგან. მწკრივში განთავსებისას ელემენტები ქმნიან სიბრტყეს,
რომლებზეც დატანილია ხედური ინფორმაცია. ხედური ინფორმაციის
შეცვლას უზრუნველყოფს საპირისპირო პოლარობის მართვის იმ-
პულსი, რომლის მოხსნის შემდეგ სისტემა მყარად ინარჩუნებს ახალ
მდგომარეობას შიდა მაგნიტური კელის გავლენის გამო.

3. მუდმივ მაგნიტებზე აგებული მეორადი გენერატორი, რომლის მაგნიტური ძალწირები იკვრება სიმეტრიის დერძის გარეთ მდებარე მაგნიტოგამტარის სამუშაო ღრეჩოში. გენერატორი განკუთვნილია წარმოებაში უქმად მბრუნავ დერძებზე დასამაგრებლად და აკუმულირებული ენერგიის წყაროს შესავსებად. გენერატორის არამაგნიტური და, მაგალითად, როლგანგის მბრუნავი დერძის შესაბამისი ბოლოები შეერთებულია ოლდგეიმის მუფტის გამოყენებით.

დამუშავებული გარდამქმნელების გამოყენება მრეწველობაში საშუალებას მოგვცემს:

- ფიქსირებულ დიაპაზონში მართვის ობიექტების მოძრავი ნაწილების გადაადგილებისას მოვახდინოთ კუთხური სიჩქარის პირდაპირი კონტროლი და გავზარდოთ მიღებული სიგნალის საიმედოობა. დამუშავებული სამკოორდინატული გარდამქმნელი ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ როგორც მარეგისტრირებელი მოწყობილობა მართვის, რეგულირებისა და კონტროლის სისტემებში;
- ვაწარმოოთ დამუშავებული ორხედური ინდიკატორის იმპულსური მართვა წინდაწინ განსაზღვრულ დროის მოკლე შუალედებში და ამით უზრუნველვყოთ როგორც დინამიური ცვალებადი ინფორმაციის მიწოდება (მაგალითად, საგზაო-სატრანსპორტო საშუალებებისათვის), ასევე ელემენტი სარეკლამო მომსახურეობისათვის. აღსანიშნავია, რომ ინდიკატორის აგების პრინციპიდან გამომდინარე მართვადი იმპულსის მოხსნის შემდეგ ის არა მარტო ცვლის ფირფიტების ორ სხვადასხვა მხარეს წინდაწინ დატანილ ხედურ ინფორმაციას, არამედ ინარჩუნებს მას სხვა პოლარობის მართვადი იმპულსის მოსვლამდე და ამიტომ შუალედებში არ მოიხმარს ძვირადღირებულ ელექტროენერგიას.
- გამოვიყენოთ წარმოებაში უქმად მბრუნავი დერძები მეორადი მოხმარების ელექტრული ენერგიის შესაქმნელად (აკუმულატორები, გასათბობი მოწყობილობები, დაბალი ენერგიის მომხმარებელი სავენტილაციო კვანძები და სხვა)
- გარდა ამისა, პრაქტიკული ღირებულება გააჩნია პირველადი გარდამქმნელის ექსპერიმენტული კვლევის შედეგებს, თეორიული კვლევის შედეგების საფუძველზე დამუშავებულ მის პარამეტრთა ანგარიშის მეთოდიკას, ალგორითმებსა და პროგრამებს.

დამუშავებული გარდამქმნელების გამოყენებიდან მიღებული ეკონომიკური უფექტი ვერ დაითვლება შედარების ბაზის უქონლობის გამო **დაცვაზე გასატანი საკითხებიდან მნიშვნელოვანია:**

- ინდუქციური ელექტრომაგნიტური ნახევარსფერული სამკოორდინატული პირველადი გარდამქმნელების ფიზიკური საფუძვლები და აგების პრინციპები;
- ღრუ ნახევარსფეროზე, გალვანურად დამოუკიდებელი, გამზომი გრაგნილების ურთიერთგანთავსების სქემა და გრაგნილების დახვევის მეთოდიკა;
- ორხედური ინდიკატორის ფუნქციონირების პრინციპი;
- მიღევადი რხევების დემოირების საშუალებების ანალიზი;
- მეორადი გენერატორის აგების ფიზიკური საფუძვლები;
- ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგების ანალიზი.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი ძირითადი თეორიული და პრაქტიკული დებულებანი წარდგენილ და განხილულ იქნა თეზისების სახით 2004 წელს სუდაკში ჩატარებულ მე-17 სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე “გაზომვის, კონტროლისა და მართვის სისტემების გადამწოდები და ინფორმაციის გარდამქმნელები” და მოხსენების სახით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა.ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე “მართვისა და ენერგეტიკის პრობლემები” PCPE-2004 და საქართველოს ტექნიკურ ყნივერსტიტეტში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე “ინფორმაციული ტექნოლოგიები მართვაში” ITC`07.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითად შედეგებზე გამოქვეყნებულია 14 სამეცნიერო სტატია, 3 პატენტი გამოგონებაზე და შედგენილია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს 2 ანგარიში.

დისერტაცია შედგება შესავლის, 4 თავის, დასკვნის გამოყენებული ლიტერატურული წყაროების ნუსხისა და 4 დანართისაგან. ნაშრომის ძირითადი ტექსტი გადმოცემულია 114 გვერდზე, აქედან 24 გვერდზე მოყვანილია 45 სქემა და გრაფიკი. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა შედგება 82 ლიტერატურული წყაროსაგან, ხოლო დანართს უკავია 28 გვერდი.

თავი I. სამუშაოს აზრულობა, მიზანი და კვლევის ამოცანები

1.1. სამუშაოს აზრულობა და მიზანი

პერსპექტიული, საექსპლუატაციოდ მოსახერხებელი, ეფექტური, დაბალფასიანი და ადვილად გასაწყობი ხელსაწყოების შექმნა და მათი წარმოების გაფართოება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, ასევე მათი, როგორც საინფორმაციო წყაროს რთულ ტექნოლოგიურ პროცესებში გამოყენება სადღეისოდ წარმოადგენს მეტად აქტუალურ ამოცანას.

ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია მაღალი სიზუსტის მქონე პირველადი გარდამქმნელების დამუშავება, რაც მოითხოვს არა მარტო მათი ფიზიკური საფუძვლებისა და პრინციპების დამუშავებას, არამედ გარდამქმნელებში წარმოებული მოვლენების დრმა შესწავლას, მათ მათემატიკურ აღწერას, გამომავალი მახასიათებლების გაწრფივებას მუდმივი მაგნიტის ველის სივრცული განაწილების შესწავლის გზით და გამზომი კონტურების კონფიგურაციის განსაზღვრას ემპირიული ან ფიზიკური მოდელირების გამოყენებით.

1.2. არსებული მაკონტროლებები მოწყობილობათა ანალიზი

არსებული პირველადი გარდამქმნელების ფუნქციონირების პრინციპების, მათი ფიზიკური საფუძვლების ანალიზის ჩატარებამ გვიჩვენა, რომ ცნობილი გარდამქმნელები განსხვავდებიან კონსტრუქციის სირთულით, რთული კინემატიკური კავშირებით, დიდი ენერგოტევადობით და მასა-გაბარიტული მაჩვენებლებით. მათ შორის ელექტრომაგნიტური პირველადი გარდამქმნელები არიან ადვილად გადასაწყობი, დაბალფასიანი, ექსპლუატაციაში მოქნილი, და ამიტომ, უფრო პერსპექტიული.

ელექტრომაგნიტური პირველადი გარდამქმნელების სისტემატიზაციისათვის, მეტროლოგიური და საექსპლუატაციო მახასიათებლების შეფასების კრიტერიუმებისათვის იყენებენ სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნებს.

მოყვანილი კლასიფიკაციის შესაბამისად (ნახ. 1.1) პირველად გარდამქმნელებს განასხვავებენ მოძრავი ნაწილით, ფიზიკური პარამეტრის

ცვლილებით, მაგნიტური ენერგიის წყაროს ზემოქმედებით და მოხსნილი საინფორმაციო წყაროს მიხედვით.

მოძრავი წყაროს მიხედვით არსებობს პირველადი გარდამქმნელები მოძრავი მაგნიტით, ეკრანით, გრაგნილით, მოკლედჩართული ხვით, გულარით და პროფილირებული მაგნიტოგამტარით.

ფიზიკური პარამეტრის ცვლილების მიხედვით არსებობენ ინდუქტიური, ინდუქციური და ტრანსფორმატორული გარდამქმნელები.

ინდუქტიური გარდამქმნელები აწარმოებენ სიჩქარის გარდაქმნას ინდუქტიურობის ცვლილებაში. ინდუქტიური გარდამქმნელები მრავალგვარია: ცვლადი საპაერო ღრებოთი; გადანაწილებული პარამეტრით; კბილოვანი გარდამქმნელები; ვინტის სახის მქონე გარდამქმნელები და სხვები [1].

ინდუქციურ გარდამქმნელებს მიეკუთვნება გარდამქმნელები, რომლებშიც გამზომ გრაგნილებში აღძრული ელექტრომამოძრავებელი ძალა წარმოადგენს მაგნიტური ნაკადის ნაკადშებმის ცვლილების სიჩქარეს [2].

ინფორმაციის აღრიცხვის ფიზიკური ხერხებიდან პერსპექტიულად ითვლება მაგნიტური და ფერომაგნიტური (ბარკგაუზენის ეფექტის საფუძველზე) ხერხები. მაგნიტური გარდამქმნელები ჩაკეტილი მაგნიტური ზოლოვანი ფურცლით, ან მაგნიტური ბარაბნით, რომელზეც დატანილია ნაჭდევი, გამოირჩევიან დიდი გარჩევისუნარიანობით. დატანილი ნაჭდევის სიმკვრივე ერთ მილიმეტრზე შეადგენს რამდენიმე ათეულს. მიღწეულია ნაჭდევის დატანა 3 კუთხური წამის ერთეულის ოდენობით [3]. მაგნიტური გარდამქმნელების ნაკლოვანება გამოიხატება იმაში, რომ მგძნობიარე ელემენტს გარე მაგნიტური ველის გავლენით შემოაქვს ცდომილება.

ზოგ სამუშაოებში [4,5] შეთავაზებულია ბარკგაუზენის ნახტომების თვლა, ფერომაგნიტური მასალების გადამაგნიტების დროს (რკინა, ნიკელი, პელმალოი).

გადამაგნიტების სიჩქარის გაზრდისას 0.11-დან 1.24-მდე ნახტომების რიცხვი მცირდება 45%-მდე. ბარკგაუზენის ეფექტის გამოყენებით შესაძლოა აიგოს გარდამქმნელების ორი ჯგუფი: ფერომაგნიტის სივრცული გადამაგნიტებით და ფერომაგნიტის გადამაგნიტებით დროში ცვლადი მაგნიტური ველით. ამგვარი გარდამქმნელების ცდომილება

განპირობებულია არაცალსახა შედეგებით, გამომავალი მახასიათებლების არაწრფივობით, გაძლიერების არასტაბილურობით, მაგნიტური ველის ფლუქტუაციით, გარე მაგნიტური ველების და ტემპერატურის ცვლილების მაღალი მგბნობიარობით.


კუთხური გადაადგილების სიჩქარის სიგნალი, შეიძლება მიღებული იყოს ადგილმდებარეობის გარდამქმნელების [7,8] გამოყენებით, თუ მოვახდენთ სიგნალის შემდგომ დაფერენცირებას. ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი გარდამქმნელების ცდომილება განპირობებულია მოქმედების პრინციპით და გარდამქმნელების შემაღვენელი ელემენტებით.

მაღალი სიზუსტის თვალსაზრისით შეგვიძლია ავდნიშნოთ ტრანსფორმატორული და მაგნიტოელექტრული გარდამქმნელები [9]. ტრანსფორმატორულს მიეკუთვნება გარდამქმნელები ფერომაგნიტის გარეშე (ინდუქტორისინები და აკუპინები) და ელექტრომაგნიტური კავშირებით (სელსინები, რედუსინები და ბრუნვითი ტრანსფორმატორები), ამასთან სელსინებს არ გააჩნიათ გაზომვის მაღალი სიზუსტე. ბრუნვითი ტრანსფორმატორები მექანიკური რედუქციით გამოიყენებიან ანალოგურ სისტემებში.

კუთხური სიჩქარის გარდამქმნელებში შესაძლებელია ჩვეულებრივი მუდმივი ან ცვლადი დენის გამოყენება. ამ გარდამქმნელებში ელექტრომამოძრავებელი ძალა აღწევს დიდ მნიშვნელობებს სიჩქარის დაბალი მნიშვნელობის დროს, რაც იძლევა სიზუსტის ამაღლების საშუალებას გაზომვისას 0-დან 400 ბრ/წთ-მდე. უნდა აღინიშნოს, რომ ტახოგენერატორების ცდომილებები დაკავშირებულია დუზის რეაქციის კბილოვან ხარვეზებთან, ინერციულობასთან გაშვების რეჟიმში, კოლექტორის მუსის გავლენასთან, რომელ კინემატიკურ კავშირებთან.

მაგნიტური ენერგიის წყაროს ზემოქმედებით ცნობილი ბრუნვითი პარამეტრების ელექტრომაგნიტური პირველადი გარდამქმნელები პირობითად შეგვიძლია დავყოთ შემდეგ ზემოქმედების სახეებად: მუდმივი მაგნიტი, ელექტრომაგნიტი და კონტური დენით.

ელექტრომაგნიტური პირველადი გარდამქმნელების გამომავალი მახასიათებელი დამოკიდებულია მაგნიტურ სიბლანტესა და ჰისტერეზისზე, კვების წყაროს სიხშირესა და ტემპერატურაზე. ყველა ჩამოთ-



ნახ. 11. ებებ კლასიფიკაცია

ვლილი ხარგები ამცირებს ელექტრომაგნიტური გარდამქმნელების ეფექტურობას მაგნიტური გულარის გამოყენების გამო.

პერსპექტიულად მიგვაჩნია გარდამქმნელში მუდმივი მაგნიტის ენერგიის გამოყენება მაგნიტური ველის გამტარის გარეშე, რაც ერთის მხრივ, გამორიცხავს მაგნიტური სიბლანტესა და ჰისტერეზისს და მეორე მხრივ, ამცირებს მასა-გაბარიტულ მაჩვენებლებს. ამ გარდამქმნელების ძირითად ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს გამომავალი სიგნალის დაბალი სიმძლავრე, რაც ადვილად გამოსარიცხია მაღალი სიზუსტის გამაძლიერებლის გამოყენებით.


1.3 06-ზეციური პირველადი გარდამშველების პლასიფიკაცია კონსტრუქციული ნიშნის მიხედვით

მექანიკური პარამეტრების მაკონტროლებელი გადამწოდების ურთიერთშედარებამ ფუნქციონირების პრინციპის მიხედვით გვიჩვენა, რომ გამომავალი მახაიათებლის სტაბილურობის, ინფორმაციული სიგნალის დამუშავების სწრაფქმედების, მგრძნობიარობისა და სხვა მეტროლოგიური პარამეტრების თვალსაზრისით, შედარებით პერსპექტიულს წარმოადგენენ ელექტრომაგნიტური ურთიერთინდუქციური პირველადი გარდამქმნელები.

ცნობილია, რომ მეორად გარდამქმნელთა საშუალებების გამოყენებით ინდუქტონებიდან ინფორმაციული სიგნალის მიღება შესაძლებელია ყოველი 2 მეტის შემდეგ, რაც წარმოადგენს პირველადი გარდამქმნელის ბიჯს. გარჩევისუნარიანობის გაზრდა ტექნოლოგიური სირთულეების გამო ჯერჯერობით შეუძლებელია. ამიტომ მაღალი მგრძნობიარობის მქონე საშუალო სისტემიანი პირველადი გარდამქმნელები, საშუალებას გვაძლევს მკვეთრად გავზარდოთ გარჩევისუნარიანობა. ასეთი გარდამქმნელები დამუშავებულია ა.ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტში.

იპგ-ის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ნიშნის მიხედვით მოყვანილია ნახ. 1.2.

მექანიკური პარამეტრების კონტროლის არსებული პირველადი გარდამქმნელები იყოფა გარდამქმნელებად პროფილირებული და მოცულობითი ფორმის მქონე გრაგნილებით, ხოლო თითოეული მათგანი, თავის



ნამ. 1.2. ინდუსტრიული პირველადი გარღვევებში ნიშნის გაუსიფიკაცია
კონსტრუქციებით ნიშნის გაუსიფიკაცია

მხრივ – წრფივი და კუთხეური გადაადგილების მაკონტროლებელ საშუალებებად. კონსტრუქციული ნიშნის მიხედვით პროფილირებული უპგ იყოფა ბრტყელპარალელურ, ცილინდრულ და წაკვეთილკონუსურ გარდამქმნელებად, ხოლო კუთხეური პროფილირებულიები – ბრტყელპარალელურ, დისკურ და ნახევარსფერულ გარდამქმნელებად.

საზოვანი გადაადგილების მაკონტროლებელი მოცულობითი უპგ-ები იყოფა ბრტყელპარალელურ, ცილინდრულ და წაკვეთილკონუსურ გარდამქმნელებად, ხოლო კუთხეური მოცულობითი უპგ-ები – ნახევარცილინდრულ, წაკვეთილ ნახევარკონუსურ, ნახევარ ან მეოთხედსფერულ გარდამქმნელებად.

გამზომი გრაგნილების ფორმის ან რაოდენობის მიხედვით უპგ იყოფა ერთ-, ორ-, სამ-, გაორმაგებულ, ჯვრისებურ, ნაბეჭდ, ორფენოვან, მრავალფენოვან და კოჭურ გამზომ გრაგნილებიან გარდამქმნელებად.

უპგ-ებში შესაძლებელია შემოვიტანოთ გალვანურად განმხოლოებული როგორც გამზომი, ასევე აღმგზნები დამატებითი გრაგნილები უპუკავშირის ორგანიზაციის მიზნით მრავალბმული ავტომატური მართვის სისტემებისათვის.

განსახილველი გარდამქმნელების ღირსებას წარმოადგენს გაწყობისა და გადაწყობის შესაძლებლობა პირველადი გარდამქმნელის დაუშლელად, ასევე მხოლოდ მეორადი გრაგნილის პროფილის კონფიგურაციის ან მოცულობითი ფორმის ცვლილებით.

1.4. საზოგანი და კუთხეური სიჩქარის ინდუქციური პირველადი გარდამშველების ცდომილებების ანალიზი

ინდუქციური პირველადი გარდამქმნელების (იპგ) კლასის ცდომილებების წყაროების კლასიფიკაცია ანალოგიურია ურთიერთინდუქციური პირველადი გარდამქმნელების კლასიფიკაციისა [10-14] იმ განსხვავებით, რომ ამგზნები გრაგნილის როლს ასრულებს მუდმივი მაგნიტი ან მუდმივდენიანი კოჭა. ნახ.1.3 მოყვანილი კლასიფიკაციის მიხედვით ზოგადად განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ა) ცდომილებების ძირითადი და დამატებითი წყაროები.

ძირითადი ცდომილებების წყაროები თავს იჩენენ მაშინ, როცა იპგ ფუნქციონირებს ექსპლუატაციის ნორმალურ პირობებში (სტაბილური

ელექტრული პარამეტრები: დენი, ძაბვა, სიხშირე; უცვლელი ტემპერატურა; კვების სინუსოიდალურობა; დატვირთვის უცვლელობა და ა.შ.).

ძირითადი ცდომილებების წყაროებია თეორიული, ტექნოლოგიური და საექსპლუატაციო ცდომილებები.

თეორიული ცდომილებები, როგორც წესი, წარმოიქმნება მაშინ, როცა არასრულად აისახება კანონზომიერებები, რომლებიც საფუძვლად უდევს ფიზიკურ მოვლენას, რის საფუძველზეც აიგება გარდამქმნელები. ზოგ შემთხვევაში ჩვენ გააზრებულად უგულებელვყოფთ სრული სურათის ასახვისათვის უველა წვრილმანი ფაქტორის გათვალისწინებას, რითაც გამორიცხულია გარდამქმნელის მახასიათებლის გამოთვლის გადატვირთვა, მაგრამ შემოტანილია უმნიშვნელო ცდომილება. თეორიულ ცდომილებებს მიეკუთვნება გაწრფივების აპროქსიმაციის უზუსტობა, გამოწვეული რთული მათემატიკური გამოსახულებების ჩანაცვლებით უფრო მარტივი გამოსახულებებით. მეორადი გარდამქმნელების გამოყენებისთვის შესაძლებელია ისეთი შესწორების შეტანა, რომლებიც გაითვალისწინებს თეორიულ ცდომილებების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გამომავალი მახასიათებლის გაწრფივებას.

ტექნოლოგიური ცდომილებები [15] განპირობებულია გარდამქმნელის კონსტრუქციული პარამეტრების გადახრით გამოთვლილი მნიშვნელობისაგან. მათ რიცხვს მიეკუთვნება აწყობის და გაწყობის, რეგულირების, გრადუირების ანუ დაჭვანტვის და გრაგნილთა დახვევის უზუსტობები, გრაგნილების სიბრტყეების არასიბრტყეობა, თითოეული გრაგნილის ღერძული არასიმეტრიულობა, გგ-ების გადახრა თანაღერძულობისაგან, კუთხური გადაადგილების უპგ-თვის სივრცული არაორთოგონალობა, გრაგნილთა ექსეცენტრისიტეტი და აგ-ს და გგ-ის არაკონკსიალურობა.

საექსპლუატაციო ძირითადი ცდომილებები გამომჟღავნდება გარდამქმნელის ექსპლუატაციის ნორმალურ პირობებში და მათი ზემოქმედება შეუძლებელია გათვალისწინებული იყოს სტატიკური და დინამიური მახასიათებლების დადგენისას. მათ მიეკუთვნება უპგ-ის მოძრავი და უძრავი ნაწილების კონსტრუქციულ დეტალებს შორის ლუფტი, მექანიკური პისტერეზისი, კონსტრუქციული დეტალების ცვეთა, გამომავალი მახასიათებლის განმეორებადობა მოძრავი ნაწილის პირდაპირი და

03 ცდომილებების წყაროები		დამატებითი ცდომილებების წყაროები	
თეორიული	ტექნიკური	საექსპლორაციო	რეაქტური
აღწარმოტალი უწენე- ცილდან გადახნა გაწრფივის აპრო- ცემაციის უზუსტობა	პგ აწყობისა და გაწყობის უზუსტობა გა რეგულირების უზუსტობა	ლუზტი მექანიკური ჰისტერიზია	გარეშე ელ-მაგნიტური კვლების გავლენა კვების დანილის ცვლილება
გრავიურების ან დაგვანტის უზუსტობა	გრავიურების ან დაგვანტის უზუსტობა	ტანისტრუქციული ნაწილების ცვეთა გადანაცვლება	გრავიური გრავიულების უზუსტობის ცვლილება გრავიური გრავიული უზუსტობის ცვლილება
გრავიურების დახვევების უზუსტობა	* სიმეტრიის ცენტრის გადანაცვლება	გრავიური კვლეული უზუსტობის ცვლილება	გრავიური კვლეულის ნინა- ლობის ცვლილება
გრავიურების სიძრტეების ანაბარალელურობა	* ჩქაროსნული უზუსტობია	მაგნიტური კვლეული არასიმეტრიულობა	სიძრტურის ცვლილება ნინა- ლობის ცვლილება
გრავიურების ლერტელუ- ო არასიმეტრიულობა	* ცენტრულის შეთავ- სების უზუსტობა	მაგნიტური “დაბურება”	ნულის დრეიფი წნევის გავლენა
შე-ბის გადახნა თბალერტელობისაგან	* მხოლოდ პუტნური გადადგილების პგ - სთვის	* მაგნიტის დამზადების უზუსტობა	ატმოსფეროს გავლენა
* სივრცული არათორიზონალობა	* გრავიურის ან უსკენტრისიტეტი	ლენანობის გავლენა	გარემოს მაგნიტური შედებებისაგან
მაგნიტის ან აგ და გა არაკონსისალურობა	ნახ. 1.3 ცდომილებების წყაროების კლასიფიკაცია		

უპუ გადაადგილებისას, სიმეტრიის დერძის გადანაცვლება, ჩქაროსნული უზუსტობა და ცენტრების შეთავსების უზუსტობა.

დამატებითი ცდომილებების წყაროებია შიდა, გარე და რეჟიმული ცდომილებები.

შიდა ცდომილებებს მიეკუთვნება კვების ძაბვის ამპლიტუდის რხევები, კვების დენის სიდიდის ცვლილება, კვების სიხშირის არასტაბილურობა, კვების ძაბვის სინუსოიდალურობის ხარისხი, გამზომი გრაგნილების ურთიერთზემოქმედება და გრაგნილთა პარაზიტული ტევადობები.

დამატებითი ცდომილებების გარე წყაროები გამოვლინდება მაშინ, როცა ადგილი აქვს გარე ფაქტორების არასტაბილურობას. მათ შორისაა გარე ელექტრომაგნიტური გელის ფერომაგნიტური ექრანის და აგრესიული გარემოს გავლენა, ვიბრაციით გამოწვეული ცდომილება, ტემპერატურის გავლენა (გრაგნილების წინაღობის ცვლილება, სითბური გაფართოება), წნევა, ტენიანობა და გარემოს მაგნიტური შეღწევადობა.

დამატებითი ცდომილებების რეჟიმული წყაროები თავს იჩენენ გარდამქმნელების ფუნქციონირების დროს დატვირთულ ან დინამიურ რეჟიმში მუშაობისას. რეჟიმული ცდომილებები იყოფა დატვირთვის არამუდმივ და დინამიურ ცდომილებებად, რომელიც დაგვიანების ცდომილების მიხედვით იყოფა ინერციულ ელექტრულ და გენერატორულ ცდომილებებად.

ბ) ძირითადი ცდომილებების წყაროების წარმოშობის ანალიზი და მათი შემცირების გზები.

მაკონტროლებელ და საზომ ტექნიკაში პგ-ის გამომავალი მახასიათებელი სასურველია წარმოადგენდეს წრფეს. ხშირშემთხვევაში ის მიახლოებით წრფივია. ამიტომ ძირითადი ცდომი-ლებები განპირობებულია ხაზოვანი ფუნქციიდან გადახრით. გადახრა შესაძლებელია შეფასებული იყოს მრავალი მეთოდით [15,16] მათ რიცხვს მიეკუთვნება: ფიქსირებული წერტილების მეთოდი, რომელშიც მაკონტროლებელი სიდიდის საწყის და საბოლოო წერტილებზე ავლებენ წრფეს და ანგარიშობენ წრფიდან მაქსიმალური გადახრის შეფარდებას გამომავალი სიდიდის უდიდეს მნიშვნელობასთან; კვადრატული გადახრის მინიმუმის მეთოდი, ანუ დეტერმინებული ხაზოვანი ფუნქციის გატარება ისე, რომ მისი საწყისი წერტილი გადიოდეს ნულზე, რომლის დროსაც გადახრება

ბის კვადრატების ჯამი მინიმალურია; დაშვებათა მინიმუმის მეოთხი, რომლის დროსაც გადახების კვადრატების ჯამი მინიმალურია, მაგრამ არ მოითხოვება ის, რომ გამომავალი მახასიათებელი გადიოდეს ნულ წერტილზე.

უპგ-ში არაწრფივობის ხარისხი [16] შეფასებულია შემდეგნაირად

$$\gamma_{\text{სრულ}} = \sum_{n=1}^{\infty} \left(-\frac{2\delta}{\theta+1} \right)^n, \quad n \in N \quad (1.1)$$

სადაც $\delta = \frac{\Delta M}{M}$ ურთიერთინდუქციის ფარდობითი ცვლილებაა, რო-

მელიც სიდიდეების $\frac{\Delta x}{x}$ და $\theta = \frac{Z_{\text{გაზ}} Z_{\text{მღ}}}{\omega^2 M^2}$ პროპორციულია.

ამ გამოსახულებიდან ჩანს, რომ ცდომილების შესამცირებლად აუცილებელია თ-ს გაზრდა ანუ გამზომი და აღმგზნები გრაგნილების წინადობების გაზრდა და W-ისა და M-ის შემცირება.

ძირითადი ცდომილებების ტექნოლოგიური წყაროების წარმოშობის მიზეზებია არა მარტო გრაგნილების დამზადების [14], სივრცული გრაგნილების არასიბრტყელია, არამედ რეგულირების უზუსტობაც. აწყობის და რეგულირების დროს ბრტყელი გრაგნილები შესაძლოა განთავსდეს ცერად ან დაკარგონ დერძული სიმეტრიულობა. მაშინ ურთიერთინდუქციურობის ცვლილების ნაზრდი ამ კუთხით პირდაპირ-პროპორციული გახდება ყველა ამ შემთხვევაში.

$$\gamma \equiv \delta + \varepsilon \omega = \frac{\Delta M \cdot \varepsilon \cdot \omega}{M} \quad (1.2)$$

აქედან გამომდინარეობს, რომ M-ის ან გრაგნილებს შორის ბმის კოეფიციენტის გაზრდისას შემცირდება ასეთი ცდომილება. მაშასადამე გგ-ის და აგ-ის ხვიების რიცხვი უნდა გაიზარდოს.

კუთხური გადაადგილების ერთ-, ორ- და სამკოორდინატული ურთიერთინდუქციური პგ-ის გამომავალ მახასიათებელზე მოქმედებს გრაგნილთა სივრცული არაორთოგონალურობა, გრაგნილთა ექსცენტრისიტეტი და შესაძლო არაკოაქსიალურობა. ვინაიდან გრაგნილთა სივრცული ურთიერთ უკონტაქტო განთავსება მოითხოვს მაღალი სიზუსტის მქონე დანადგარების გამოყენებას.

ცალკე გამოყოფილი გრადუირების ან დაქვანტვის უზუსტობა მიეკუთვნება სისტემურ ცდომილებას, მაგრამ სკალის შედგენისას ადგილი აქვს შემთხვევით ფაქტორს. ამ ცდომილებების განაწილების კანონი შეესაბამება ექსპონენციალურ კანონს [17].

საექსპლუატაციო ცდომილებები გამომდინარეობს იმ დაუძლეველი ტექნოლოგიური უზუსტობიდან, რომლებიც გამოაშკარავდება პგ-ის კონსტიტუციის აწყობის დროს. მათ რიცხვს მიეკუთვნება ლუფტი, რაც წარმოადგენს მექანიკური გადაადგილების მაკონტროლებელი საშუალებების ცდომილების ძირითად წყაროს. რა თქმა უნდა, ლუფტი სხვადასხვა სახისაა, მაგრამ ტექნიკურ ლიტერატურაში მიიჩნევენ, რომ ისინი ღებულობენ დისკრეტულ საპირისპირო ნიშნის მნიშვნელობას. მათი მნიშვნელობები დამოკიდებულია კონკრეტულ კონსტრუქციულ შესრულებაზე. თუ წარმოვიდგენთ მმართველი ღერძიდან გადახრას, როგორც სივრცულ სიდიდეს, მაშინ ლუფტი დაიშლება სამ მდგენელად: გრძივი, განივი, პორიზონტალური და განივი ვერტიკალური. ბოლო ორი სიდიდე გაცილებით მცირეა, ვიდრე გრძივი ლუფტი, ვინაიდან კალიბროვანი ღერძი და მათზე მოძრავი კონსტრუქციის ნაწილი მაღალი სიზუსტით მზადდება. გრძივი ლუფტი კი დამოკიდებულია ობიექტის მაკონტროლებელ ორგანოსთან კინემატიკური კავშირის სიხისტეზე. თუ გრძივი ლუფტის სიდიდეს გავყოფთ გარდამქმნელის გადაადგილების მაქსიმალურ მნიშვნელობაზე, მივიღებთ გრძივი გადაადგილების ცდომილებას. ანალოგიურად გამოითვლება მექანიკური პისტერეზისით გამოწვეული ცდომილება, ვინაიდან მისი სიდიდე დამოკიდებულია კინემატიკური კავშირის ტექნიკურ შესრულებაზე და ამ კავშირის სიხისტეზე. პგ-ის მოძრავი ნაწილის ჩამორჩენის ან წინსწრების სიდიდის შეფარდება მაქსიმალურ კონტროლირებად სიდიდესთან განსაზღვრავს მექანიკური პისტერეზისით გამოწვეულ ცდომილებას. გგ-ის ბრტყელ-პარალელური შესრულება ამცირებს მექანიკური ლუფტით შემოტანილ ცდომილებას იმიტომ, რომ აგ-ის წანაცვლებისას ჯამური გამომავალი სიდიდე უმნიშვნელოდ იცვლება [18].

მოძრავი ნაწილების ურთიერთხასუნი იწვევს დეტალების ცვეთას, რის შედეგადაც იზრდება განივი ლუფტის სიდიდე. ამ სიდიდის შესამცირებლად ისე უნდა შეირჩეს კონსტრუქციული მასალები, რომ, ერთის

მხრივ, ცვეთა დავიდეს მინიმუმზე და მეორეს მხრივ, არ უშლიდეს მაგნიტური ველის ნაკადის გავრცელებას და შესაბამის გადანაწილებას.

კუთხური გადაადგილების პგ-ში გრაგნილების სიმეტრიის ცენტრის გადანაცვლება იწვევს აგ-ის მაგნიტური ველის მაგნიტური ძალწირების სიმკვრივის შეცვლას გგ-ის ურთიერთსაპირისპირო უბნებში. იმ შემთხვევაში, თუ ნაკადშებმის გაზრდა და შემცირება რიცხობრივად ერთმანეთის ტოლია (რაც შეუძლებელია), მაშინ ცდომილებას აღგილი არ ექნება. ზოგადად ცდომილების გამოსათვლელი ფორმულაა:

$$\gamma_{o \rightarrow o_1} = \frac{|\Delta\psi_1 - \Delta\psi_2|}{\psi_{\text{აქ}}}$$
 (1.3)

სიჩქარის ცვლილებაზე დამოკიდებულ უზუსტობას ადგილი აქვს დინამიურ რეჟიმში მომუშავე პგ-ში. უპგ-ში ფიქსირებული კუთხური გადაადგილებით დიდი სიჩქარეების განვითარებას ადგილი არა აქვს. ამიტომ დამატებითი შექმნილი ემბ-ის სიდიდე უმნიშვნელოა.

აგ-ის და გგ-ის ცენტრების შეთავსების უზუსტობა განპირობებულია მოძრავი და უძრავი ნაწილების სიგრცეული განლაგებით. ამ მიზეზით გამოწვეული ცდომილება შესაძლებელია უგულებელვყოთ ორი ნაწილის ერთ პლატფორმაზე განთავსებით და მათი ცენტრების შეთავსებით აქტიური ექსპერიმენტის გამოყენების გზით.

გ) დამატებითი ცდომილებების წყაროების წარმოშობის ანალიზი და მათი შემცირების გზები.

დამატებითი ცდომილებები წარმოიშობა უპგ-ის მუშაობის პირობების ნომინალურისაგან გადახრისას.

მოყვანილ კლასიფიკაციის (ნახ. 1.3.) მიხედვით დამატებითი ცდომილებების წყაროები იყოფა შიგა, გარე და რეჟიმულ წყაროებად.

შიგა ცდომილების წყაროებიდან ძირითადად მივიჩნევთ კვების წყაროს პარამეტრებს (დენი, ძაბვა და სიხშირე). იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოვიყენებთ ფერორეზონანსურ სტაბილიზატორებს [19], კვების წყაროს ძაბვის სიდიდის ცვლილება შეიძლება შემცირდეს $\pm 3\%$ -მდე. ამ სიდიდის ზემოქმედების შესამცირებლად უნდა გავზარდოთ გარდამქმნელის მგრძნობიარობა, რომლის დროსაც გამომავალი სიგნალის ერთსა და იმავე ცვლილებას შეესაბამება უფრო მცირე გადაადგილება.

გაცილებით მეტი ცდომილება შემოაქვს კვების ძაბვის არასინუსო-დალურობას. ეს იწვევს მაღალი რიგის პარმონიკების ზემოქმედებას გა-მომავალ სიგნალზე. ამ მიზეზით გამოწვეული ცდომილებისაგან თავის დასაღწევად მიზანშეწონილია ცვლადი დენი გარდავქმნათ მუდმივად და შემდეგ ისევ გადავიდეთ ცვლადი დენის წყაროზე სინუსოიდის გაუმ-ჯობესებული ხარისხით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვების წყაროს სიხშირის ცვალებადობას შემოაქვს ცდომილება, რომელიც განისაზღვრება [15, 20]

$$\gamma_{\omega} = \frac{\Delta\omega}{\omega} \cdot \frac{1}{1 + \varphi^2}, \quad (14)$$

სადაც – $\varphi_{\omega} = \frac{\omega L}{R_s}$ აგ-ში ფაზათა წანაცვლებაა.

როგორც ჩანს (1.4), ფარდობითი ცდომილების γ_{ω} შესამცირებლად სიხშირის ვ გაზრდასთან ერთად შესაძლებელია ვიმოქმედოთ ფაზათა წანაცვლების სიდიდის გაზრდაზე, რაც მიიღწევა აღმგზნები გრაგ-ნილის აქტიური წინაღობის შემცირებით და ინდუქტიური წინაღობის გაზრდით.

გამზომი გრაგნილის ურთიერთქმედებით გამოწვეული ცდომილებები მცირე გავლენას ახდენს საინფორმაციო სიგნალის ფორმირებაზე. ეს ფაქტი გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ გრაგნილებში ინდუცი-რებული სიგნალების სიმძლავრე დახსლოებით 10-ზე მეტჯერ მცირეა აგ-ის სიგნალის სიმძლავრეზე, ხოლო თუ გავითვალისწინებოთ იმას, რომ მაგალითად, ბრტყელპარალელური გარდამქმნელის კონსტრუ-ქციისას თვით გგ-ებს შორის მანძილი 2-ჯერ აღემატება აგ-სა და გგ-ს შორის მანძილს, მაშინ გგ-ის ურთიერთზემოქმედება შემცირდება 100-ზე მეტჯერ. მაშასადამე, რაც უფრო დავაშორებთ ერთმანეთისაგან გგ-ებს ცდომილება შემცირდება.

პარაზიტული ტევადობები წარმოიშობა არსებული ტევადური კავშირებით. ისინი წარმოადგენენ მცირე სიდიდის ცდომილებების წყაროს, ვინაიდან უპგ-ები ფუნქციონირებენ დაბალ სიხშირულ დიაპა-ზონში. სიხშირის გაზრდისას პარაზიტული ტევადობები იჩენენ თავს, რაც სპეციალური შესწავლის საგანია.

დამატებითი ცდიმილებების გარეშე წყაროების ანალიზი კლასიფიკაციის მიხედვით გვიჩვენებს, რომ ცდომილებებზე გავლენას ახდენს გარეშე ელექტრომაგნიტური ველი და ფერომაგნიტური ეკრანის მექანიკური ვიბრაცია და ტემპერატურა, ატმოსფერული პარამეტრები და გარემოს მაგნიტური შეღწევადობები. გარეშე ელექტრომაგნიტური ველის, ფერომაგნიტური ეკრანის და მექანიკური ლუფტების გავლენა შესაძლებელია ნაწილობრივ გავაკომპენსიროთ გგ-ის თანამიმდევრულ-თანხვედრილი შეერთებით და ორწყვილად დახვეული მავთულის გამოყენებით. [15] ანგარიშში მოყვანილი გამოკვლევების მიხედვით დადგენილია, რომ $5 \cdot 10^{-4}$ ტლ ინდუქციის მაგნიტური ველის გავლენას შემოაქვს ცდომილება, რომელიც არ აღემატება $0,2\%$. ვიბრაციის და ტემპერატურის ცვლილების გავლენა შესაძლებელია შეფასდეს [17] მოყვანილი ორიგინალური ფორმულებით, რომელიც განსაზღვრავს ტემპერატურაზე დამოკიდებული ნებისმიერი პარამეტრის ფარდობით ცდომილებას:

$$\gamma_{\Pi} = \frac{1}{\varepsilon} \cdot \frac{\delta \varepsilon}{\delta M} \cdot \frac{\delta M}{\delta \Pi} \cdot \frac{\delta \Pi}{\delta T} \cdot \Delta T \quad (1.5)$$

სადაც Π სიმბოლოში იგულისხმება აგ-ის r და გგ-ის R წინადობები, ჰაერის მაგნიტური გამტარობის q და მაგნიტური ეკრანის მაგნიტური გამტარობის g ან სხვა ტემპერატურაზე დამოკიდებული პარამეტრი.

რა თქმა უნდა, გრაგნილების გაფართოების კოეფიციენტი განსხვავდება ფუძეშრის გაფართოების კოეფიციენტისაგან, რაც ცვლის გრაგნილების გეომეტრიულ ფორმებს და ამის გამო წარმოადგენს ცდომილების წყაროს. ამიტომ, მავთულის და ფუძეშრის გაფართოების ტემპერატურული კოეფიციენტები უნდა იყოს მიახლოებით ტოლი.

ტემპერატურის გავლენამ შეიძლება გამომავალი მახასიათებლის მგრძნობიარობა ან გაზარდოს ან შეამციროს. ეს ცდომილება [17] მონაცემებით შეიძლება შეადგენდეს $0,1 \div 1\%$ -მდე ყოველი 1°K -ისათვის. იგივე მიზეზით შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ნულის დრეიფს, რომელიც იგივე მონაცემებით $0,01 \div 0,1\%$ შეადგენს ყოველ 10°K -ისათვის. ჩვენი გამოკვლევით) ადგილი აქვს ორივე სიდიდის ერთდროულ ცვლილებას.

რაც შეეხება ატმოსფერული (წნევის და ტენიანობის ცვლილება) და გარემოს მაგნიტური შეღწევადობის გავლენების ზემოქმედებას, უნდა

ადინიშნოს, რომ მათი წვლილი საერთო ცდომილების სიდიდეში უმნიშვნელოა და ამიტომ არ განვიხილავთ.

რეჟიმული დამატებითი ცდომილებების წყაროები.

მათ რიცხვს მიეკუთვნება დატვირთვის არამუდმივობა, დინამიური დაგვიანების ცდომილებანი (ინერციული და ელექტრული) და გენერატორული ცდომილება.

პირველადი გარდამქმნელი იტვირთება მეორადი გარდამქმნელით, რომელიც შეიცავს გამაძლიერებლებს, გამართვის ელემენტებს და სხვა არასტაბილურ გარდამქმნელებს, რომლებიც დატვირთვის არამუდმივობას განსაზღვრავენ და ამიტომ შემოაქვთ ცდომილება, რომელიც შეიძლება შემცირდეს აქტიური ელემენტების (მაგალითად, გამაძლიერებლის) ნულის დრეიფის და მახასიათებლის სტაბილიზირებით.

დ) დინამიური ცდომილებების წარმოშობის წყაროები.

ზოგადად დინამიური ცდომილებები განისაზღვრება როგორც სხვაობა დინამიურ და სტატიკურ რეჟიმში მიღებულ გამომავალი მახასიათებლების სიდიდეების შორის [19] და განისაზღვრება გადახრების საშუალო კვადრატული მნიშვნელობით.

დინამიური დაგვიანების ცდომილებები დაკავშირებულია გარდამქმნელის ინერციულობასთან და გარდაქმნის ელექტრულ სქემებში გარდამავალ პროცესებთან. ინერციულობა ძირითადად დაკავშირებულია მაგნიტოგამტარის არსებობასთან, რომელსაც შემოაქვს მაგნიტური ჰისტერეზისი. უპგ-ში მაგნიტოგამტარი გამორიცხულია, მაგრამ გგ-ების არსებობას შემოაქვს ინდუქტიურობა, რაც იწვევს სიგნალის გარდაქმნის დროის ზრდას. თუ გავითვალისწინებთ, ერთის მხრივ, რომ ელექტრომაგნიტური ტალღა ვრცელდება სინათლის სიჩქარით, და მეორეს მხრივ, რომ სიხშირის გაზრდასთან ერთად მცირდება სიგნალის გარდაქმნის და გაჯერების დრო, მაშინ ცხადი გახდება, რომ დინამიური დაგვიანების ცდომილებები მცირე სიდიდეებს წარმოადგენენ.

ზოგადად თუ მაგნიტურ გელში L კონტური მოძრაობს v სიჩქარით, მაშინ მაქსგელის მეორე განტოლება შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით [21]:

$$\varepsilon = \phi_L(E + [\vec{V} \cdot \vec{B}]) dJ \quad (6)$$

სადაც $\phi_L EdJ$ - ტრანსფორმატორული ემბ-ია, რომელიც განპირობებულია დროში მაგნიტური ნაკადის ცვლილებით; $\phi_L [\overset{\rho}{V} \cdot \overset{B}{A}] dJ$ - გენერატორული ემბ, რომელიც განპირობებულია მაგნიტურ ველში კონტურის მოძრაობით v სიჩქარით.

(6)-დან გამომდინარეობს, რომ რეზულტირებული ემბ შედგება ორი მდგენელისაგან, რომლებიც ერთმანეთის მიმართ წანაცვლებულია 90° -ით (ეს გამოწვეულია მეორე მდგენელში შემავალი ვექტორული ნამრავლით). პირველი შესაკრები განსაზღვრავს სტატიკურ მახასიათებელს, მეორე კი – დინამიურს. დინამიურ რეჟიმში მომუშავე გარდამქმნელების ანალიზისათვის ვიყენებთ ან დიფერენციალური განტოლებების შედგნის და მათი ანალიზის მეთოდს ლაპლასის გარდაქმნის გამოყენებით (იშვიათად), ან სიხშირულ მეთოდს ფურიეს გარდაქმნის გამოყენებით, რომელიც ხშირად გამოიყენება გარდამქმნელების და მაკონტროლებელ-საზომი ხელსაწყოების ანალიზისათვის. გენერატორული ცდომილებები შესწავლილია [17, 21, 22, 23, 25] და ამიტომ ავღნიშნოთ მხოლოდ, რომ მათ შესამცირებლად აუცილებელია გარდმქმნელის სიხშირის გაზრდა.

ე) გარდამქმნელის საერთო ცდომილება.

გადაადგილების მთელ კონტროლირებად დიაპაზონში ადიტიურად (ჯამურად), მულტიპლიკაციური (გარდაქმნის სიდიდის პროპორციული) და კვადრატული (გარდაქმნის სიდიდის კვადრატის პროპორციული) ცდომილებების სიდიდეები იცვლება ისე, რომ ჯამური ცდომილება გაცილებით ნაკლებია ცალ-ცალკე აღებული ცდომილებების ალგებრულ ჯამზე იმიტომ, რომ ზოგი ცდომილება ურთიერთკორელირებულია და მათი მნიშვნელობა საპირისპირო ნიშნისაა.

ცდომილების ზუსტი მნიშვნელობის განსაზღვრისათვის იყენებენ η-მეთოდს, მაგრამ პრაქტიკაში მისი გამოყენება შეზღუდულია, ვინაიდან პარამეტრის ცვლილების სარწმუნო საზღვრების კორექტული აჯამვისათვის აუცილებელია ინტეგრირების ოპერაციის ჩატარება. ამიტომ ბევრი ტექნიკური გაზომვისათვის საჭმარისია კვადრატული სარწმუნო საზღვრების უბრალო აჯამვა [25].

ალბათობის თეორიიდან ვიცით, რომ დისპერსია წარმოადგენს შემთხვევითი სიდიდეების მნიშვნელობის გაბნევის ზომას მისი საშუალო

მნიშვნელობისაგან. ამოტომ დისპერსიის თვისებები შესაძლებელია მორგებული იყოს ცდომილებების გამოთვლის დროს. ორი შემთხვევითი სიდიდის ჯამის დისპერსია [26, 27, 28, 29]

$$D(\xi_1 + \xi_2) = D(\xi_1) + D(\xi_2) + 2\text{cov}(\xi_1, \xi_2), \quad (1.7)$$

სადაც $\text{cov}(\xi_1, \xi_2) = \rho(\xi_1, \xi_2)\sqrt{D(\xi_1).D(\xi_2)}$ - შემთხვევითი სიდიდების მნიშვნელობების კორელაცია; $\rho(\xi_1, \xi_2)$ - კორელაციის კოეფიციენტია.

ვინაიდან შემთხვევითი სიდიდის ξ საშუალო კვადრატული გადახრა σ დისპერსიის კვადრატის ტოლია, ამიტომ

$$\sigma(\xi_1 + \xi_2) = \sqrt{\sigma(\xi_1)^2 + \sigma(\xi_2)^2 + 2\rho(\xi_1, \xi_2)\sigma(\xi_1).\sigma(\xi_2)}. \quad (1.8)$$

აქედან გამომდინარეობს, რომ

$$\sigma(\xi_1 + \xi_2) = \begin{cases} \sigma(\xi_1) + \sigma(\xi_2) & \text{თუ } \rho(\xi_1, \xi_2) = 1, \text{ კორელირებულია მკაცრად} \\ & \text{დადებითად}, \\ |\sigma(\xi_1) - \sigma(\xi_2)| & \text{თუ } \rho(\xi_1, \xi_2) = -1, \text{ კორელირებულია მკაცრად} \\ & \text{ხაზოვნად და უარყოფითად}, \\ \sqrt{\sigma(\xi_1)^2 + \sigma(\xi_2)^2} & \text{თუ } \rho(\xi_1, \xi_2) = 0, \text{ არაკორელირებულია.} \end{cases}$$

მაშინ ზოგადად წყვილ-წყვილად აღებულ სიდიდეებს შორის საშუალო კვადრატული გადახრა გამოითვლება ზოგადი გამოსახულებით:

$$\sigma_\varepsilon = \sqrt{\sum_{i=1}^{n_1} \sigma(\xi_i)^2 + \sum_{i=j=n_1+1}^{n_2} (\sigma(\xi_i) + \sigma(\xi_j)) + \sum_{i=j=n_2}^n |\sigma(\xi_i) - \sigma(\xi_j)|}, \quad (1.9)$$

სადაც $i \in [1, n_1]$ არაკორელირებული სიდიდეების რაოდენობაა, $i \in [n_1 + 1, n_2]$ - მკაცრად ხაზოვანი დადებითად კორელირებული სიდიდეების რაოდენობათა ნუმერაცია, $i \in [n_2 + 1, n]$ - მკაცრად ხაზოვანი უარყოფითად კორელირებული სიდიდეების რაოდენობათა ნუმერაციაა.

ალბათობის თეორიიდან გამომდინარე ეს წესი შეიძლება გამოვყენოთ არა მარტო შემთხვევითი, არამედ სისტემატური ცდომილებების დასადგენად.

იპგ-ში მნიშვნელოვანი ცდომილებები განპირობებულია ტემპერატურის ცვლილებით და სიხშირული ტევადობით. მათი კომპენსაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს ცდომილებების რიცხვით მნიშვნელობებს.

1.5 პლაზის ამოცანები

1. თეორიულად და ექსპერიმენტალურად დადგინდეს ინდუქციური ტიპის გარდამქმნელების კონსტრუირების შესაძლებლობა, მიზანშეწონილობა და ფუნქციონირების პრინციპები;
2. შესწავლილ იქნას მაგნიტური გელის გადანაწილება მოცულობითი (სფერული, ღრუ ცილინდრული და ტოროიდალური) ფორმის მაგნიტების ზედაპირებზე და მათ მიმდებარე არეებში.
3. შეიქმნას სამკოორდინატული ინდუქციური ტიპის გარდამქმნელი, რომელიც უზრუნველყოფს სამივე დამოუკიდებელ არხში ე.მ.დ. ალბრას, რომლებიც განსაზღვრავენ მაგნიტური ვექტორის ადგილმდებარების ცვლილების სიჩქარეს.
4. დადგინდეს მოძრაობის განტოლება, რომელიც ასახავს მწკრივში განლაგებული ღრუ ცილინდრული ფორმის სიმეტრიის დერძის გარშემო მბრუნავ მაგნიტებზე მოქმედი გარე მართვადი იმპულსების მიერ გამოწვეული დინამიური ძალების ზემოქმედებით;
5. ჩატარდეს გარე ძალების მიერ გამოწვეული რხევების დემფირების საშუალებების ანალიზი და დადგინდეს მისი ნაწილობრივი ან სრული კომპენსირების გზები;
6. შესასწავლილ იქნას ტოროიდალური ფორმის მუდმივი მაგნიტების მიერ შექმნილი გელის გადანაწილება ისეთი ტოპოლოგიის მქონე მაგნიტოგამტარებში, რომელიც უზრუნველყოფუნ, ერთის მხრივ, ინტენსიური ველის შექმნას და მეორე მხრივ, ამცირებენ მაგნიტური ველის ძალწირების გაფანტვას, და ამასთან დადგინდეს გარდამქმნელის მექანიკური ენერგიის ელექტრულში გარდაქმნის გამომავალი სიმძლავრის გაზრდის გზები;
7. ექსპერიმენტალულად განისაზღვროს დამუშავებული გარდამქმნელების სტატიკური მახასიათებლები და მგრძნობიარობა, აგრეთვე სხვა საექსპლუატაციო მაჩვენებლები.

II თავი. პუთიშვილი გადაადგილების სამკორორდინატული პირველადი გარდამძნელის თეორიული საფუძვლები და აბების პრიციპები

2.1. მაბნიტური ველის სამი ორთოგონალური მდგრენელის გამოთვლის გამოსახულებები

ფარადეის მიერ 1831 წელს აღმოჩენილი ელექტრომაგნიტური ინდუქციის მოვლენა მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერ ჩაკეტილ კონტურში მაგნიტური ნაკადის ცვლილებისას, იმ ზედაპირზე, რომელიც შემოსაზღვრულია ამ კონტურით, აღიძვრება ელექტრომამოძრავებელი ძალა, რომლის სოდიდე მაგნიტური ნაკადის ცვლილების პროპორციულია

$$\varepsilon = -k \frac{d\Phi}{dt}$$

სადაც k - პროპორციულობის კოეფიციენტია. SI სისტემაში $k=1$.


მინუსი “-“ ლენცის წესის მიხედვით განაპირობებს უ.მ.დ.-ის გარე მაგნიტური ნაკადის ცვლილების საპირისპირო მიმართულებას.

ზოგადად, სტაციონალურ მაგნიტურ ველში მაგნიტური ნაკადი $\Phi = (\vec{B} \cdot \vec{S}) \cos \alpha$ ორი ვექტორის სკალარული ნამრავლის ტოლია, სადაც α კუთხე \vec{B} ვექტორსა და S ფართობის ნორმალს (ან სიბრტყის პერპენდიკულარული ვექტორს) შორის კუთხეა.

იმ შემთხვევაში, როცა მაგნიტის ფორმა წარმოადგენს ნახევარსფეროს, ან სრულ სფეროს, მაგნიტური ველის გადანაწილება კოსინუსოდის ფორმას იღებს (ნახ. 2.1).


თუ ნახევარსფეროს ფორმის მაგნიტებში გასაგები მიზეზების გამო ფუძეში ველის მიმართულება პირობითად უარყოფითია, სფეროს ფორმის მაგნიტებში - პოლუსებს შორის დიამეტრულ სიმეტრიულ სიბრტყის პერიმეტრზე მაგნიტური ველის პოტენციალი უდრის ნულს (ნახ. 2.2). ცხადია, რომ მაგნიტური ველის თითოეული მდგრელი პროპორციული იქნება შესაბამის კოორდინატებზე პროექციებისა:

$$\left\{ \begin{array}{l} B_I = B \cdot \cos \alpha \\ B_{II} = B \cdot \cos \beta \\ B_{III} = B \cdot \cos \delta \\ -90^\circ \leq \alpha, \beta, \delta \leq 90^\circ \end{array} \right| \begin{array}{l} R \neq const \\ B = F(\alpha, \beta, \delta) \\ B = B_\vartheta \cos \Theta \\ -90^\circ \leq \Theta \leq 90^\circ \end{array}$$



6a b. 2.1

6a b. 2.2



6a b. 2.3

$$\text{ანუ} \quad \begin{cases} B_I = B_\vartheta \cos \Theta \cdot \cos \alpha & -90^\circ \leq \alpha, \beta, \delta \leq 90^\circ \\ B_{II} = B_\vartheta \cos \Theta \cdot \cos \beta \\ B_{III} = B_\vartheta \cos \Theta \cdot \cos \delta \end{cases}$$

როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში (ნახ. 2.1.ა და 2.2.ა) მაგნიტური გელის ინდუქცია თავის მაქსიმალურ მნიშვნელობებს (-90°-დან 90°-მდე არეში) იღებს იმ შემთხვევაში, როცა გაზომვებს ვაწარმოებთ მაგნიტურის ზედაპირზე. ზედაპირიდან დაცილებისას მაგნიტური გელის ინდუქციის განაწილება მნიშვნელოვნად მცირდება. მაშასადამე, რაც უფრო ახლოს განლაგდებიან გამზომი გრაგნილები მაგნიტის ზედაპირთან, მით უფრო ინტენსიური გელის არეში აღმოჩდებიან (ნახ. 2.3).

2.2. სამკოორდინატული ინდუქციური პირველადი ბარდამშმნელის აბების პრინციპი

ვინაიდან დამაგნიტების ღერძის მიმართ სფერული ფორმის მუდმივი მაგნიტის ზედაპირის მაგნიტური გელის გადანაწილებას აქვს სიმეტრიული ფორმა, ამიტომ გელი არაერთგაროვანია. ეს გარემოება იძლევა საშუალებას აღმგზნები სფეროს უმნიშვნელო მობრუნების შემთხვევაშიც კი (პირობით ჩაკეტილ) კონტურში აღძრას ინდუქციის ელექტრო მამოძრავებელი ძალა (ე.მ.ძ.), ვინაიდან იწვევს ნაკადშებმულობის ცვლილებას. ექსპერიმენტალურად გამოკვლეული იყო გამზომ კონტურებში აღძრული ე.მ.ძ. გაზრდის კონსტრუქციული ხერხები. კვებს არ იწვევს ის, რომ სფეროს ზედაპირზე კონტურების და მათში შემავალი გრაგნილი ხვიების რიცხვის გაზრდით მიიღწევა სასურველი შედეგი. თუ ცნობილ სამკოორდინატულ ურთიერთინდუქციულ გარდამქმნელში [30] პირველი გამზომი კონტური განთავსებულია ნახევარსფეროს ფუძის პერიმეტრზე, ხოლო ორი სხვა (ფორმით იდენტური კონტური) შესრულებულია პირობითი რვიანის სახით, მაშინ ახალ გარდამქმნელში იცვლება სფერულ ზედაპირზე ამ ორი გამზომი კონტურების განთავსდების ტოპოლოგია. ამასთან პირველი კონტურის კონფიგურაცია არ იცვლება ვინაიდან განთავსებულია ნახევარსფეროს ფუძის პერიმეტრზე და მისი გამომავალი სიგნალის გაზრდა შესაძლებელია კონტურში შემავალი ხვიების რიცხვის გაზრდით. ნახ. 2.4 და ნახ. 2.5-ზე მოყვანილია იდენტური კონტურების შესრულების სქემა. ისრები მიუთითებს გამზომი კონტურების შესრულების სქემას.

ბის დახვევის მიმართულებას. ერთ შემთხვევაში (იხ. ნახ. 2.4) გამზომი კონტურის შემადგენელი ორი იდენტური ნაწილი განთავსებულია სფეროს ზედაპირზე მისი სიმეტრიის OX ღერძის მიმართ სიმეტრიულად **d** მანძილზე, ხოლო მეორე შემთხვევაში (იხ. ნახ. 2.5) გამზომი კონტური შედგენილია სამი ნაწილისაგან რომლითაგან ერთი ცენტრულურია და განთავსებულია სიმეტრიის OX ღერძის გასტრვივ და მეორე და მრსამე იდენტური ნაწილები განთავსებულია წინა ნახატზე მოყვანილ სურათის ანოლოგურად. დანართში და 2 მოყვანილია ექსპერიმენტალური მონაცემები და შესაბამისი გრაფიკები, რომლებიდან ჩანს, რომ ნახ. 2.5-ზე მოყვანილი სქემით დამზადებული გამზომი კონტური 4-ჯერ გაზიდილ გამომავალ სიგნალს იძლევა.

ნახ. 2.6.-ზე ნაჩვენებია ე.მ.დ.-ს მიმართულებები თითოეულ გამზომ ხვიაში აღმგზნები რგოლის მობრუნების შემთხვევაში. ღრუ ნახევარსფეროს ფუძის პერიმეტრზე დახვეულ 1–2 გრაგნილში (იხ. ნახ. 2.7 და 2.8) აღმრული ე.მ.დ. ε_{III} ერთი მიმართულებისაა და არა თუ არ კომპენსირდება, არამეტ ორჯერ ძლიერდება. მეორე 1–3 და მესამე 1–4 გრაგნილებში სიგნალის სიდენტული გამოითვლება კონტურის თითოეულ მონაკვეთში ინდუცირებული სიგნალების არითმეტიკული ჯამის სახით:

$$\begin{aligned}\varepsilon_I &= 4 \cdot (\varepsilon' - \varepsilon') + 2 \cdot (\varepsilon'^* - \varepsilon'^*) + \varepsilon_1 + \varepsilon_3 + \varepsilon_5 = \varepsilon_1 + \varepsilon_3 + \varepsilon_5 \text{ და} \\ \varepsilon_{II} &= 4 \cdot (\varepsilon'' - \varepsilon'') + 2 \cdot (\varepsilon''^* - \varepsilon''^*) + \varepsilon_2 + \varepsilon_4 + \varepsilon_6 = \varepsilon_2 + \varepsilon_4 + \varepsilon_6 .\end{aligned}$$


ამიტომ, როგორც ვხედავთ პარაზიტული სიგნალები ε' , ε'^* და ε'' , ε''^* მოლიანად აკომპენსირებენ ერთანეთს, ხოლო ε_1 ; ε_2 ; ε_3 ; და ε_4 ; ε_5 ; ε_6 , რომლებიც აღიძვრებიან თითოეულ ნაჩვენებ უბანზე – შესაბამისად იკრიბება.

შესაძლებელია პირველად გარდამქმნელში მაგნიტი ჩავანაცლოთ წრე-წირული ტოროიდალური ფორმით დამზადებულ აღმგზნები კონტურით და მასში გავატარებო მუდმივი დენი. ამ შემთხვევაში მაგნიტური ველი ვერ შეაღწევს ნახევარსფეროს შიგნით ვინაიდან აღმრულ ველს არ გააჩნია მაგნიტური ველის გამტარი თუნდაც თვით მაგნიტის სახით. ამიტომ ვერ მივიღებო ნახ. 2.1, 2.2 და 2.3 მოყვანილ მაგნიტური ძალ-წირების სასურველ გადანაწილებას გარდა იმ შემთხვევისა როცა გა-


მოვიყენებთ დიდი სიდიდის დენს ან შევამცირებთ გარდამქმნელის გაბარიტულ ზომებს.

სამკორდინატული გადამწოდის ფუნქციონალური სქემა მოყვანილია ნახ.2.8-ზე. ინდუქციური სამკორდინატიანი გადამწოდის [30] პირველადი გარდამქმნელის აღმგზნებ რგოლს წარმოადგენს სიმერტრიული გეომეტრიული ფორმის მქონე და დერძსიმეტრიულად დამაგნიტული მუდმივი მაგნიტი (მოყვანილ შემთხვევაში R_0 -რადიუსიანი სფერო). აღმგზნები რგოლი თავისი გარსაცმით მოთავსებულია დრუ ნახევარსფეროს შიგნით, ისე რომ სფეროს და დრუ ნახევარსფეროს ცენტრები ერთმანეთს ემთხვევიან. გადამწოდის პირველადი გარდამ-ქმნელი 1 კონსტრუქციულად შესრულებულია სფერული ფორმის მოძრავი მუდმივი მაგნიტისაგან 1–1 და სამ ურთიერთორთოგონალურად და უძრავად განლაგებულ (ამასთან, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ) გამზომ გრაგნილებისა-გან 1–2, 1–3 და 1–4, რომლებიც დახვეული არიან სხვადასხვა დარაკებიან დრუ ნახევარსფერულ ზედაპირზე. პირველი გამზომი გრაგნილი 1–2 დახვეულია დრუ ნახევარსფეროს ფუძის პერიმეტრზე. მეორე 1–3 და მესამე 1–4 გამზომი გრაგნილები შეიძლება შევასრულოთ არა მარტო სიმეტრიული რვიანის სახით, რომელიც სრულადად აღწერილი [35], არამეტ ორი ან სამი კოჭების ერთობრიობისაგან შედგენილ გრაგნილების სახით (იხ. ნახ. 2.4 და 2.5). მათი სიმეტრიის დერძები ერთმანეთის მიმართ დაძრულია 90^0 -ით და განლაგებულია ნახევარსფეროზე პირველ გამზომ გრაგნილოან ერთად ისე, რომ თითოეული ამ გრაგნილის ყველა უბანი ურთიერთორთოგონალურია სხვა გრაგნილის მიმართ.


სქემოტენიკურად ინდუქციური სამკორდინატიანი გადამწოდი შეიცავს პირველად გარდამქმნელს 1 აღმგზნები რგოლით 1–1 შესრულებულს სფერული ფორმის მუდმივი მაგნიტისაგან. ყოველი გამზომი გრაგნილების 1–2, 1–3 და 1–4 ბოლოები მიერთებული არიან ორპოზიციური ღილაკების 2–1, 2–2 და 2–3 შესასვლელებთან შესაბამისად, ხოლო მეორე ბოლოები გაერთიანებული არიან და დამიწებული. ორპოზიციური ღილაკების პირველი გამოსასვლელი შეერთებულია ანალოგური მანქანის 3 შესაბამის შესასვლელებთან (საჭიროების შემთხვევაში), ხოლო მეორე გამოსასვლელები ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელების 4–1, 4–2 და 4–3 პირველ შესასვლელებთან, რომლების მეორე




ნახ. 2.4. ორი მიმდევრობით შეერთებული ნახევარრკალით შედგენილი იღენტური გამზომი კონტურების შესრულების სქემა




ნახ. 2.5 სამი მიმდევრობით შეერთებული ნახევარრკალით შედგენილი იღენტური გამზომი კონტურების შესრულების სქემა



ნახ. 2.6 ადგზნები რგოლის მობრუნების შემთხვევაში ე.მ.პ.-ს მიმართულებები ტითოეულ გამზომ ხვიაში



ნახ. 2.7 გამზომ გრაგნილის თითოეულ ნახევარ რკალში ე.მ.პ.-ების ზედდების სქემა



ნახ. 2.8 სამკოორდინატული გადამწოდის ფუნქციონალური სქემა

შესასვლელები გაერთიანებული და შეერთებული არიან მმართავი სიგნალების მაფორმირებელთან 5, რომელიც მიერთებულია ტაქტური იმპულსების გენერატორთან 6, რომელიც შეერთებულია ელექტრულ გამომთვლელ მანქნის 7 გამშვებ გამოსას-ვლელთან. ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელების ამოსასვლელები მიერთებული არიან შესაბამის ოპერატულ-დამამახსოვრებელი მოწყობილობების 8-1, 8-2 და 8-3 საინფორმაციო შესასვლელებთან, ხოლო მათი მეორე შესას-ვლელები გაერთიანებული არიან ელექტრონული გამომთვლელი მანქანის ინფორმაციის ამოკითხვის გამოსას-ვლელთან, და 8-1, 8-2 და 8-3 გამოსასვლელები მიერთებული არიან ელექტრონულ გამომ-თვლელი მანქნის 7 შესაბამის შესასვლელებთან.

ინდუქციური სამკოორდინატიანი გადამწოდი მუშაობს შემდეგნაირად: აღმგზნებ რგოლის 1-1 მუშაობის დროს თითოეულ გამზომ გრაგნილში 1-1, 1-2 და 1-4 აღიძვრება ე.მ.ძ., რომელიც მიეწოდება 2-1, 2-2 და 2-3 ლილაკების მეშვეობით ან პირდაპირ ანალოგურ გამომთვლელ მანქანას 3, ან ელექტრონულ გამომთვლელ მანქანას, იმის მიხედვით, თუ რომელ მანქანასთან უწევს მუშაობა თპერატორს. მაგნიტის მოძრაობის დროს ინფორმაციული სიგნალი იცვლება, ხოლო გაჩერებისას – განულდება, ამიტომ ელექტრონული გამომთვლელი მანქანის 7 გამშვები გამოსას-ვლელიდან ტაქტური იმპულსების გენერატორზე 6 მიეწოდება სიგნალი, რომელიც აძლევს იმპულსების მიწოდების უფლებას სიგნალების მაფორმირებელზე 5. ეს უკანასკნელი კი რთავს ანალოგურ-ციფრულ გარდამქმნელებს 4-1, 4-2 და 4-3. ინფორმაცია უკვე ციფრული ფორმით მიეწოდება ოპერატულ-დამამახსოვრებელ მოწყობილობებს 8-1, 8-2 და 8-3, რომლებშიც ინფორმაცია ინახება ელექტრონული გამომთვლელი მანქანიდან ინფორმაციის ამოკითხვის გამოსასვლელიდან იმპულსის მიღებამდე. ეგმ-ში ინფორმაციის გადატანის შემდეგ ოპერაცია მეორდება. სივრცული კოორდინატების მიღწევისას აღმგზნები რგოლის იძულებითი გადაადგილება შეწყდება.

გადამწოდის სიზუსტე დამოკიდებულია ღრუ ნახევარსფეროს და სფერული ფორმის აღმგზნები რგოლის დამზადების სიზუსტეზე, ნახევარსფერულ ზედაპირზე დარაკების განლაგების სიზუსტეზე და ნახევარსფეროს და სფეროს ცენტრების შეთავსებაზე სივრცეში.

ინფორმაციული სიგნალის დონე განისაზღვრება შექმნილი მაგნიტური კელის სიდიდით, რომელიც დამოკიდებულია მაგნიტური ფხვნილის დისპერსიაზე, თვით მასალაზე და დამაგნიტების ტექნოლოგიურ პრეცენტებზე.

დამაგნიტებაზე ალექტრული ენერგიის ხარჯის შემცირების თვალსაზრისით მიზანშეწონილია სფერული მაგნიტი დამზადდეს ორი იდენტური ნახევარსფეროსაგან, რომლებიც დამაგნიტებულია ერთნაირად, ხოლო ფუძის მიმართ საპირისპირო მიმართულებით.

ძვირად ღირებული მაგნიტური ფხვნილის ეკონომიის თვანსაზრისით ნახევარსფეროები უნდა შესრულდეს დრუ ფორმის სახით, ხოლო ზედაპირული მაგნიტური კელის ინდუქციის განაწილების შენარჩუნებისათვის ნახევარსფეროების დრუ ფორმა წარმოადგენს სიმეტრიულ ნახევარელიფსონდს, რომლის უდიდესი დერძი განლაგებულია და ემთხვევა ნახევარსფეროს ფუძის სიმეტრიის დერძს და ნაკლებია მის დიამეტრზე.

აღმგზნები რგოლის დრუ ნახევარსფეროს შიგნით მოთავსება განაპირობებს მაგნიტური ენერგიის გაფანტვის შემცირებას და მაგნიტური ვალის ცვლილების მაქსიმალურ გამოყენებას საინფორმაციო სიგნალის ფორმირებისათვის.

ინდუქციური გადამწოდი არ შეიცვლის გამოსასვლელ მახასიათუბლებს, თუ მოძრავი ელემენტები იქნებიან ნახევარსფერო გამზომი გრაგნილებით, ხოლო უძრავი ელემენტი—აღმგზნები რგოლი ან/და მაშინაც კი, როცა ნახევარსფერო და სფერო იქნება მოძრავი.

ინდუქციური გადამწოდი ანალოგურ გამოთვლით მანქანებში გამოყენება პირდაპირ, ხოლო ემბ-ში მათი გამოყენება ანალოგურ ციფრული გარდამქმნელის გარეშე შეუძლებელია. ბოლო შემთხვევაში ეგმ-ში პერიოდულად უნდა მოდიოდეს სიგნალი რომელიც აღრიცხავს აცგ-ში ჩაწერილ და დამახსოვრებულ ინფორმაციას.

2.3. ნახევარსფერული უორმის ინდუქციური პირველადი

ბარდამქმნელების მბრძობიარობის ბაზრდის გზები

როგორც ავღნიშნეთ, სხვადასხვა ტიპის მყისიერი წრფივი და კუთხური სიჩქარეების პირდაპირი კონტროლის პირველად გარდამქმნელებისაგან [31,32,33] უკონტაქტობით, სწრაფქმედებით, მაღალი მგრძნობიარობით, გამომავალი სიგნალის სიმძლავრით, ცალსახა დამოკიდებულებით შემავალ და გამომავალ სიდიდეებს შორის, გამომავალი მახასიათებელის ხაზოვნობით სიჩქარის კონტროლის დიდ დიაპაზონში, რეგულირებადობის განხორციელებლის შესაძლებლობით, კონსტრუქციის სიმარტივით, ავტონომიურობით (არ ესაჭიროება სპეციალური კვების წყარო), დაბალი მასა-გაბარიტული მაჩვენებლებით და მაღალი საიმედობით გამოირჩევიან ელექტრომაგნიტური პირველადი გარდამქმნელები მუდმივი მაგნიტით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, მაგალითად, იაპონიაში მიღებულია მაგნიტები ისეთი მაგნიტური ველის ინდუქციით, რომელიც მრავალჯერ აღემატება სამარი-კობალტის შენადნობით მიღებულ მაქსიმალურ ინდუქციას და ზემოთ ჩამოთვლილ მაგნიტის გამოყენების ღირსებებს, მაშინ ცხადია, რომ ახლო მომავალში შეიქმნება გარდამქმნელები, რომლებიც ფართო გამოყენებას ჰქონებს არა მარტო მაკონ-ტროლებელ და საზომ ტექნიკაში, არამედ მრეწველობის მძიმე პირობებში და რეალურ დროში დინამიური ტექნოლოგიური პროცესების სრული ან ნაწილობრივი ავტომატიზაციის განხორციელებისათვის.

პირველადი გარდამქმნელების გამომავალი მახასიათებლების მგრძნობიარობის გაზრდისათვის გარდა მაგნიტების მიერ მძლავრი მაგნიტური ველის ინდუცირებისა მნიშვნელოვანია მივაღწიოთ მაქსიმალურ ნაკადშების მაგნიტური ველის ძალწირებსა და მოძრავ გამზომ გრაგნილებს შორის, რაც უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებილია გამზომ გრაგნილის კონფიგურაციაზე და მათ მიერ გადაკვეთილი მაგნიტური ძალწირების რიცხვზე. ეს რიცხვი შესაძლებელია გაიზარდოს თუ საშუალება გვექნება გამოვიყენოთ მრავალკონტურებით შექმნილი ისეთი გარდამქმნელები, რომლებიც უზრუნველყოფენ გამომავალი, ინფორმაციის მატარებელი, სიგნალის მნიშვნელობის გაზრდას.

თუ მაგნიტურ ველში კონტური მოძრაობს v სიჩქარით, მაშინ მაქსველის მეორე განტოლების თანახმად კონტურში აღძრული ვლექტრომაგნიტური ძალა (**ემბ**) შედგება ტრანსფორმატორული ემბ-ისა, რომლის წარმოქმნა განპირობებულია დროში მაგნიტური ნაკადის ცვლილებით და გენერატორული ემბისაგან, რომელიც განპირობებულია მაგნიტურ ველში კონტურის v სიჩქარით მოძრაობით [33]. ვინაიდან მუდმივი მაგნიტი თანაბრად განაწილებული ველით ვერ აღძრავს ტრანსფორმატორულ ემბ-ას, მაშინ გენერატორული ემბ-ის გამოსათვლელი ზოგადი გამოსახულება შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

$$\varepsilon_{\delta} = [\overset{\text{F}}{v} \cdot \overset{\text{F}}{B}] dJ.$$

ამ გამოსახულებიდან გამომდინარეობს, რომ ამ მდგენელში შემავალი $\overset{\text{F}}{v}$ და $\overset{\text{F}}{B}$ სიდიდეების ვექტორული ნამრავლი განსაზღვრავს დინამიურს მახასიათებელს. ვექტორული ნამრავლის განსაზღვრის თანახმად ε_{δ} რიცხობრივად ტოლია $\overset{\text{F}}{v}$ და $\overset{\text{F}}{B}$ ვექტორების სიგრძეების მონაკვეთებისაგან შექმნილი პარალელოგრამის ფართობისა. გენერატორულ რეჟიმში მომუშავე გარდამქმნელების ზოგადი ანალიზისათვის გამოიყენება ან ლაპლასის დიფერენციალური განტოლებების შედგენის მეთოდი ან სიხშირულ მეთოდში ფურიეს გარდაქმნის გამოყენებით, რომელიც სიმარტივის გამო ხშირად გამოიყენება გარდამქმნელების და მაკონტროლებელ-საზომი საშუალებების ანალიზისათვის. თითოეული მეთოდის გამოყენება დაკავშირებულია სირთულეებთან ვინაიდან მხოლოდ კერძო შემთხვევებში მიიღება ზოგადი ამონახსნის სახე.

არსებობს ანალიზის ჩატარების მარტივი გზა, რომლის გამოყენება იძლევა ხარისხობრივი სურათის გამოვლენის საშუალებას, რაც ნაწილობრივ ამარტივებს გამოკვლევებს პირველადი გარდამქმნელის კონსტრუქციულ თავისებურებების დადგენაში.


ცნობილია, რომ მაგნიტური ველის ნაკადშებმის სიჩქარის ცვლილება განაპირობებს ემბ-ის სიდიდეს. თუ ერთდროულად იცვლება გამჭოლი მაგნიტური ველის ნაკადი და განიკვეთის ფართობი, რომელსაც განჭოლავს ველი, მაშინ ემბ-ის გამოსათვლელად გამოიყენება ცნობილი გამოსახულებანი

$$\varepsilon_{\varrho} = - \frac{d\Psi}{dt} = - k \cdot \frac{d\Phi}{dt} = - k \cdot \frac{d(\vec{B} \cdot \vec{S})}{dt} = - k \left(\frac{dB}{dt} \cdot S + \frac{dS}{dt} \cdot B \right)$$


ცხადია, ისმის კითხვა – როგორ ვაწარმოოთ ორივე პარამეტრის ერთდროული ცვლილება, თუ ვიყენებთ მუდმივ მაგნიტს?

ექსპერიმენტით დადგენილია, რომ ნებისმიერი ფორმის მაგნიტს გააჩნია მკაფიოდ გამოხატული პოლუსები. მისი მაგნიტური ძალაშირები შეკრულია. მაგნიტის კიდურებზე მაგნიტური პოტენციალის განაწილება სხვადასხვაა. ეს გარემოება განაპირობებს მის ზედაპირზე მაგნიტური პოტენციალის არაერთგვაროვან განაწილებას, რაც მოქმედებს რა მაგნიტური ველის გადანაწილებაზე სივრცეში არ იძლევა ერთგვაროვანი ველის შექმნის საშუალებას. ამ ამოცანის გადასაჭრელად იყენებენ სხვადასხვა ფორმის მაგნიტოგამტარებს და ფერომაგნიტურ მასალებს, რასაც შემოაქვს კონსტრუქციული სირთულეები. თუ ბრტყელპარალელური ფორმის მაგნიტის კვაზიერთგვაროვნობა მიიღწევა მისი ღერძულ-სიმეტრიული ცენტრალური ნაწილის და მაგნიტის განაპირა (კიდურა) არეების გამორიცხვის საშუალებით. სხვა მოცულობითი ფორმის მაგნიტებში ეს მიუღწევადია. მაგალითად, რადიალურად დამაგნიტებულ ღრუცილინდრული და სფერული ფორმის მაგნიტების მაგნიტური ველის ინდუქციის მახასიათებელი წარმოადგენს კოსინუსოიდის ერთ და მისი სარკისებური ანარეკლის მეორე (პირველის მიმართ ღერძსიმეტრიულ) ნახევარპერიოდებს. ეს გარემოება იძლევა საშუალებას მაგნიტური ველის ინდუქცია წარმოვიდგინოთ $B = Bo \cdot \cos \alpha$, სადაც $-\pi/2 \leq \alpha \leq \pi/2$ სახით. ორივე შემთხვევაში ემბ-ის მნიშვნელობის ცვლილება ძირითადად დამოკიდებულია გრაგნილების აქტიური ნაწილებისგან შემდგარი სტაციონალური ველით დაკავებულ გარემოში კონტურის მიერ გადადგილების დროს გადაფარული მაგნიტური ძალაშირების რაოდენობაზე. ანუ ემბ-ის მნიშვნელობა კონტურის მიერ შემოფარგლულ ფართობის პროპორციულია.

განვიხოლოთ სამი R რადიუსიანი ნახევარრკალური ფორმის გრაგნილებისგან 1-1, 1-2 და 1-3 შემდგარი (იხ. ნახ. 2.9) გამზომი კოტურები რომლებიც განთავსებულია, მაგალითად, ნახევარსფერულ ზედაპირებზე. მის გეომეტრიულ ცენტრში მოთავსებულია სფერული ფორმის მაგნიტი,



ნახ. 2.9. დიდი რადიუსის სამი იდენტური ნახევარრკალური ფორმის გრაგნილების განთავსება სფეროს ზედაპირზე



ნახ. 2.10. მუდმივი მაგნიტის φ კუთხით წანაცვლებისას ნახევარრკალური ფორმის გრაგნილების მიერ მაგნიტირუ ძალწირების გადაგვეთით მიღებული ფორმები


რომელიც დამაგნიტულია რადიალურად. მაგნიტური ინდუქციის ვექტორი B_n დეკარტულ კოორდინატთა დერძებთან OX , OY და OZ შეადგეს α , β და γ კუთხეებს შესაბამისად. გარე სფეროზე ერთ-მანეთის მიმართ უცვლელად მდებარე იდენტური და ერთი და იგივე მასალისგანან დამზადებული დ რადიუსიანი ნახევარრკალური ფორმის დიდი წრეების სიბრტყეებზე განთავსებული გრაგნილებისგან შემდგარი გამზომი კონტურები ერთეულ დროში წაგნაცვლოთ ფ კუთხით (ნახ2.10)

ეს წანაცვლება გამოიწვევს თითოეული კონტურის მიერ ΔS ფართობის შემოფარგლას, ანუ გადაკვეთს გარკვეული რაოდენობის მაგნიტურ ძალწირებს, რომლებიც შემობრუნების კუთხის პროპორციულია. ამ კერძო შემთხვევისათვის თითოეული ΔS ფართობი გამოითვლება გამოსახულებით $\Delta S = \varphi \cdot R^2$,


სადაც φ ორი დიდი წრეების სიბრტყეებს შორის ორწახნაგა კუთხეა. თუ გარე სფერულ ზედაპირზე განთავსდება n რაოდენობის ნახევარრკალური ხვიები, რომლებიც შეადგენენ გრაგნილს, მაშინ მათ მიერ გადაფარული ფართობი გამოიანგარიშება გამოსახულებით: $\Delta S_{\Sigma} = n \cdot \varphi \cdot R^2$. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში აღმრული ემბ-ის მნიშვნელობა გაიზრდება n -ჯერ, თუ გამზომი კონტურების სიგნალები არ იმოქმედებენ ერთ-მანეთზე.

განვიხილოთ ზოგადი შემთხვევა, როდესაც R რადუსიან სფეროზე განთავსებული გრაგნიელებისგან შემდგარი კონტური არ მიეკუთვნება დიდ წრეს, ანუ კონტურის განთავსების სიბრტყე არ გადის სფეროს ცენტრზე (იხ. ნახ. 2.11). ამ შემთხვევაში სფერული ზედაპირის წანაცვლებისას R_0 რადიუსის ნახევარრკალების წვეროები შემოწერენ r რადიუსის წრეებს, ხოლო კონტურის მიერ შემოფარგლული ფართობი იქნება სფერულ ზედაპირზე განთავსებული ABCD მრუწირული ოთხუთხედის ფართობის ტოლი. ფართობის განსაზღვრის ამოცანის გადასაჭრელად ამ ოთხკუთხედის ფართობის განსაზღვრისათვის ოთხკუთხედის ორი ნებისმიერი საპირისპიროდ მდებარე წვერო შევაერთოთ ერთმანეთან. მივიღებთ ორ სფეროზე განთავსებულ სამკუთხედს.

თუ ამ სამკუთხედების რკალები (გვერდები) წარმოადგენენ დიდი წრეების ნაწილებს, მხოლოდ მაშინ სამკუთხედს უწოდებენ სფერულ



ნახ. 2.11 R რადიუსიან სფეროზე განთავსებული ნახევარ რკალური ფორმის კონტური სიბრტყე არ გადის სფეროს ცენტრზე



ნახ. 2.12 სფერული სამკუთხედის ზოგადი ფორმა

სამკუთხედს. ასეთი კერძო შემთხვევისათვის (იხ. ნახ. 2.12) დადგენილია, რომ ფართობი გამოითვლება შემდეგი გამოსახულებით

$$S = R^2 \cdot (A + B + C - \pi) = \delta \bullet R^2,$$

თუ ამ სამკუთხედების რკალები (გვერდები) წარმოადგენენ დიდი წრეების ნაწილებს, მხოლოდ მაშინ სამკუთხედს უწოდებენ სფერულ სამკუთხედს. ასეთი კერძო შემთხვევისათვის (იხ. ნახ. 2.12) დადგენილია, რომ ფართობი გამოითვლება შემდეგი გამოსახულებით

$$S = R^2 \cdot (A + B + C - \pi) = \delta \bullet R^2,$$

სადაც R სამწახნაგა $OABC$ კუთხის რადიუსია, δ – სფერული სამკუთხედის კუთხეების სიჭარბეა, ხოლო A, B და C კუთხეები ამ სამწახნაგა კუთხის ორწახნაგა კუთხეებია და იზომება რადიანებში. (ეს ფორმულა პირველად 1629 წელს გამოაქვეყნა პოლანდიულმა ა.ჯირარმა და ცნობილია მისი სახელით). ყველა სხვა შემთხვევისათვის სფერულ ზედაპირზე განთავსებული ფართობის პოვნის კოორდინატული მეთოდის დადგენა გაამარტივებს საინჟინრო გამოთვლებს და მასთან დაკავშირებულ გამოკვლევებს.

დავუშვათ, რომ სივრცეში მოცემულია სფერო (x_o, y_o, z_o) ცენტრით და R რადიუსით (იხ. ნახ. 2.13), რომელიც განისაზღვრება ცნობილი განტოლებით: $(z-z_o)^2 + (x-x_o)^2 + (y-y_o)^2 = R^2$.

ამ სფეროზე მდებარეობს სამი განსხვავებული წერტილი:

$$A = (x_1, y_1, z_1), \quad B = (x_2, y_2, z_2), \quad C = (x_3, y_3, z_3).$$

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გამოვთვალოთ აღნიშნულ წერტილებით შემოჭიმული სფერული სამკუთხედის ფართობი. ცხადია, რომ ABC სფერული სამკუთხედის პროექცია $x \times y$ სიბრტყეზე არის ჩვეულებრივი სამკუთხედი $A'B'C'$, რომლის წვეროების კოორდინატები იქნება: $A' = (x_1, y_1), \quad B' = (x_2, y_2), \quad C' = (x_3, y_3)$.

$A'B'$, $B'C'$ და $A'C'$ წრფეები განისაზღვრება შესაბამის განტოლებებით:

$$y = \frac{y_1 - y_2}{x_1 - x_2} x + \frac{x_1 y_2 - x_2 y_1}{x_1 - x_2} = \alpha(x), \quad y = \frac{y_3 - y_2}{x_3 - x_2} x + \frac{x_3 y_2 - x_2 y_3}{x_3 - x_2} = \beta(x),$$

$$y = \frac{y_1 - y_3}{x_1 - x_3} x + \frac{x_1 y_3 - x_3 y_1}{x_1 - x_3} = \gamma(x).$$

სფეროს განტოლებიდან გვებულობთ, რომ:

$$z = z_3 \pm \sqrt{r^2 - (x - x_3)^2 - (y - y_0)^2},$$

ამიტომ სამართლიანია ტოლობები:

$$\frac{\partial z(x, y)}{\partial x} = \pm \frac{x - x_0}{\sqrt{r^2 - (x - x_0)^2 - (y - y_0)^2}},$$

$$\frac{\partial z(x, y)}{\partial y} = \pm \frac{y - y_0}{\sqrt{r^2 - (x - x_0)^2 - (y - y_0)^2}}.$$

თუ $A'B'C'$ სამკუთხედის არეს ავდნიშნავთ σ -თი, მაშინ ცნობილი დამოკიდებულობის თანახმად, საძიებელი S ფართობი გამითვლება

$$\text{ტოლობით: } S = \iint_{\sigma} \sqrt{1 + \left(\frac{\partial z(x, y)}{\partial x} \right)^2 + \left(\frac{\partial z(x, y)}{\partial y} \right)^2} d\sigma.$$

მაშინ სამართლიანია ტოლობა:

$$S = \iint_{\Delta A'B'C'} \sqrt{1 + \left(\frac{\partial z(x, y)}{\partial x} \right)^2 + \left(\frac{\partial z(x, y)}{\partial y} \right)^2} dy dx.$$

სადაც σ არე, ანუ $\Delta A'B'C'$ გამოსახულია მე-2.14 ნახაზზე.

მარტივად შეიძლება შემოწმდეს, რომ სამართლიანია ტოლობა:


$$\sqrt{1 + \left(\frac{\partial z(x, y)}{\partial x} \right)^2 + \left(\frac{\partial z(x, y)}{\partial y} \right)^2} = \frac{r}{\sqrt{r^2 - (x - x_0)^2 - (y - y_0)^2}}.$$

აქედან გამომდინარეობს, რომ:


$$\begin{aligned} S &= \iint_{\Delta A'B'C'} \frac{r}{\sqrt{r^2 - (x - x_0)^2 - (y - y_0)^2}} dy dx = \\ &= \left[\int_{x_1}^{x_2} \left(\int_{\alpha(x)}^{\gamma(x)} \frac{r}{\sqrt{r^2 - (x - x_0)^2 - (y - y_0)^2}} dy \right) dx + \int_{x_2}^{x_3} \left(\int_{\beta(x)}^{\gamma(x)} \frac{r}{\sqrt{r^2 - (x - x_0)^2 - (y - y_0)^2}} dy \right) dx \right]. \end{aligned}$$

ვინაიდან $r^2 - (x - x_0)^2 = (y - y_0)^2 + (z - z_0)^2 > 0$, ამიტომ x ცლადის ფუნქცია

$q(x) = \sqrt{r^2 - (x - x_0)^2}$ განსაზღვრულია კორექტულად. აღნიშნულის გათვალისწინებით, მუდმივის სიზუსტით სამართლიანია ტოლობა:



ნახ. 2.13 სფერული სამკუთხედის ფართობის განსაზღვრის ზოგადი
სქემა



ნახ. 2.14. სფერული სამკუთხედის ფართობის პროექცია X სიბრტყეზე

$$\int \frac{r}{\sqrt{r^2 - (x-x_0)^2 - (y-y_0)^2}} dy = r \int \frac{d\left(\frac{y-y_0}{q(x)}\right)}{\sqrt{1 - \left(\frac{y-y_0}{q(x)}\right)^2}} = r \arcsin\left(\frac{y-y_0}{q(x)}\right)$$

ბოლო ტოლობიდან ვდებულობთ:

$$\begin{aligned} \int_{\alpha(x)}^{\gamma(x)} \frac{r}{\sqrt{r^2 - (x-x_0)^2 - (y-y_0)^2}} dy &= r \left(\arcsin\left(\frac{\gamma(x)-y_0}{q(x)}\right) - \arcsin\left(\frac{\alpha(x)-y_0}{q(x)}\right) \right), \\ \int_{\beta(x)}^{\gamma(x)} \frac{r}{\sqrt{r^2 - (x-x_0)^2 - (y-y_0)^2}} dy &= r \left(\arcsin\left(\frac{\gamma(x)-y_0}{q(x)}\right) - \arcsin\left(\frac{\beta(x)-y_0}{q(x)}\right) \right). \end{aligned}$$

საბოლოოდ საძიებელი S ფართობი დებულობს სახეს:

$$\begin{aligned} S &= r \int_{x_1}^{x_2} \left(\arcsin\left(\frac{\gamma(x)-y_0}{q(x)}\right) - \arcsin\left(\frac{\alpha(x)-y_0}{q(x)}\right) \right) dx + \\ &\quad + r \int_{x_2}^{x_3} \left(\arcsin\left(\frac{\gamma(x)-y_0}{q(x)}\right) - \arcsin\left(\frac{\beta(x)-y_0}{q(x)}\right) \right) dx = \\ &= r \int_{x_1}^{x_3} \arcsin\left(\frac{\gamma(x)-y_0}{q(x)}\right) dx - r \int_{x_1}^{x_2} \arcsin\left(\frac{\alpha(x)-y_0}{q(x)}\right) dx - r \int_{x_2}^{x_3} \arcsin\left(\frac{\beta(x)-y_0}{q(x)}\right) dx. \end{aligned}$$

მიღებული ტოლობიდან გასაგებია, რომ S ფართობის რეალური რიცხვითი რეალიზაციისათვის აუცილებელია შემდეგი სახის განსაზღვრული ინტეგრალების გამოითვლა:

$$I = \int_a^b \arcsin\left(\frac{cx+d}{\sqrt{r^2 - (x-x_0)^2}}\right) dx,$$

სადაც a, b, c და d ყოველ პონქრეტულ შემთხვევაში ცალსახად განისაზღვრებიან მოცემული $x_1, x_2, x_3, y_1, y_2, y_3$ და y_0 სიდიდეებით.

ეს კარგად ჩანს $\alpha(x), \beta(x)$ და $\gamma(x)$ ფუნქციათა სტრუქტურიდან. აღნიშნული მუდმივები არ არის დამოკიდებული z_1, z_2, z_3, z_0 სიდიდეებზე, რადგან პროექტირების სიბრტყედ ჩვენ თავიდანვე ავირჩიეთ $x \times y$. ცხადია, რომ ანალოგიური შედეგის მიღება შეიძლება ნებისმიერი სხვა პროექტირების სიბრტყის შემთხვევაშიც. მართალია, ინტეგრალი I ელემეტარულია, ანუ შეიძლება მისი გამოთვლა ანალიზურად, მაგრამ მისი ანალიზური სახე საკმაოდ რთულია. აღნიშნულის გათვალისწინე-

ბით, პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია I ინტეგრალის რიცხობრივი რეალიზაცია.

მიღებული შედეგი იძლევა საშუალებას მყისიერი სიჩქარის პირველადი გარდამქმნელების აგებისას წინდაწინ განვსაზღროთ თუ რა რაოდენობის და სახის კონტურთა რიცხვი განლაგდება სფერულ ზედაპირზე და შემდეგ რიცხობრივი მეთოდების გამოყენებით გამოვთვალოთ არა მარტო *ეძვის* რიცხობრივი მნიშვნელობა, არამედ განვსაზღვროთ მოცემული ტიპის გარდამქმნელების ტექნიკური მახასიათებლები – მგრძნობიარობა, ხაზოვანი გარდაქმნის დიაპაზონი და სხვა. ცხადია, რომ მგრძნობიარობის გაზრდა პირდაპირ დამოკიდებულია გამოყენებული მუდმივი მაგნიტის მაგნიტური ძალწირების სიმკვრივეზე და გამზომი გრაგნილების კონფიგურაციის ტოპოლოგიაზე, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალური ფართობის ნაზრის მიღწევას.

2.4. ურთიერთინდუქციურობა საერთო ცენტრის მქონე წრიულ და სფერულ ზედაპირებზე ბრტყელარალელურად განლაგებულ ნახევარწრეულ კონტურებს შორის

მოცულობითი ფორმის ურთიერთინდუქციური პირველადი გარდამქმნელების გამომავალი სიგნალის და მგრძნობიარობის გაზრდა უკავშირდება აღმგზნებ და გამზომ კონტურებს შორის ურთიერთინდუქციურობის გაზრდას. ამ მიზნით მიმართვენ კონტურების რაოდენობის გაზრდას. მას, მართალია, შემოაქვს დამატებითი ცდომილება, მაგრამ გამომავალი სიგნალის რამდენიმე რიგით გაზრდა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია.

განვიხილოთ დამატებითი კონტურის შემოტანის შემთხვევა პირველად გარდამქმნელში, რომლის აღმგზნებ და გამზომ კონტურებს წარმოადგენენ შესაბამისად წრიული კონტური და მასთან საერთო ცენტრის მქონე სფერულ ზედაპირზე ბრტყელპარალელურად განლაგებული ნახევარწრეული კონტურები (ნახ. 2.15.)

ასეთ შემთხვევაში სუპერპოზიციის პრინციპის თანახმად საერთო ურთიერთინდუქციურობა ანუ ურთიერთინდუქციურობა l_1 რკალსა და l_2 და l_3 რკალებს შორის ტოლი იქნება ორი შესაკრების ჯამისა [34-41]:

$$M = M_{12} + M_{13},$$

სადაც M არის საერთო ურთიერთინდუქციურობა, ხოლო M_{12} არის ურთიერთინდუქციურობა l_1 წრიულ რკალსა და l_2 რკალს შორის, ხოლო M_{13} - ურთიერთინდუქციურობა l_1 და l_3 ნახევარრკალს შორის.

ნახევარწრეწირული აღმგზნებ და გამზომ კონტურს შორის ურთიერთინდუქციურობა გამოითვლება ფორმულით [41,42]:

$$M_{l_1 l_2} = \frac{\mu_0 r R}{4\pi} \int_{\varphi_1=0}^{\pi} \int_{\varphi_2=0}^{\pi} \frac{A^* d\varphi_1 d\varphi_2}{B^* \cdot D}, \quad \text{სადაც}$$

$$A^* = E^* \sin \varphi_1 \cos(\varphi_2 + \varphi_3) \cos(\eta + \alpha) + \cos \varphi_1 \sin \varphi_2 \cos \gamma \cos(\varphi_2 + \varphi_3) - \sin \varphi_1 \cos \alpha$$

$$E^* = \sqrt{1 - \sin^2 \varphi_2 \cos^2 \gamma}.$$

$$B^* = \sqrt{1 + \cos^2(\varphi_2 + \varphi_3) - 2E^* \cos(\varphi_2 + \varphi_3) \cos \eta},$$

$$D = \sqrt{R^2 + d^2 + r^2(E^{*2} + \sin^2 \varphi_2 \cos^2 \gamma) - 2R[d \cos \varphi_1 (\cos \varphi_2 + \cos \varphi_3) + r(\sin \varphi_2 \cos \gamma - E^* \cos(\varphi_2 + \varphi_3))] - 2d[r \cos \varphi_1 \cos(\varphi_2 + \alpha) + \cos \lambda \sin(\varphi_2 + \varphi_3) - \cos \mu \sin \varphi_2 \cos \gamma]}.$$

ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში მიღებულია, რომ R -რადიუსიანი ნახევარწრეწირული რკალი უძრავია, ხოლო მეორე r -რადიუსიანი ნახევარწრეწირი განთავსებულია სფერული ფორმის გარსზე, რომლის ცენტრი შეთავსებულია R -რადიუსიანი ნახევარწრეწირული რკალის ცენტრთან და დახრილია γ კუთხით $O'Z_\theta$ ღერძის მიმართ, რომელიც პარალელურია OZ ღერძისა. r -რადიუსიანი ნახევარწრეწირის სიბრტყე და მისი ცენტრი დაშორებულია კოორდინატთა სათავიდან d მანძილით. თვით d მონაკვეთი დახრილია კოორდინატთა ღერძებთან τ, λ, μ კუთხებით. R და r რადიუსის მქონე ნახევარწრეწირების მიმდინარე კოორდინატებია შესაბამისად $A(x_1; y_1; z_1)$ და $B(x_2; y_2; z_2)$. ამ წერტილების თავისსავე ცენტრებთან შემაერთებული რადიუსები თავისსავე დიამეტრებთან შეადგენენ შესაბამისად φ_1 და φ_2 კუთხებს. l_2 ნახევარწრეწირის $K_1 L_1$ დიამეტრი დახრილია KL წრფის მიმართ φ_3 კუთხით, რომელიც მდებარეობს r -რადიუსიანი ნახევარწრეწირისა და $X_0 O' Y_0$ სიბრტყეების გადაკვეთაზე. წრფე მობრუნებულია $O'X_0 // OX$ ღერძების მიმართ α კუთხით. პარალელური გადატანით $OA // O'A'$ კუთხე

r და R რადიუსებს შორის უდრის β . φ_3 კუთხის $0 \div \frac{\pi}{2}$ ცვლილებისას r

რადიუსიან ნახევარწრეწირზე გამავალი სიბრტყე $X'O'Y'$ სიბრტყეს გადაკვეთს გარდა იმ შემთხვევისა, როცა $\varphi_3=0$. ანუ როცა ნახევარწრეწირის დიამეტრი ბრუნავს $X'O'Y'$ სიბრტყეში.

ჩვენ შემთხვევაში [42] ΨOZ სიბრტყის პარალულურად შიდა სფერულ ზედაპირზე განლაგებულია ორი r_1 და r_2 რადიუსების მქონე ნახევარწრეწირული რკალები, რომლებიც აღნიშნულია შესაბამისად l_2 და l_3 . მათი ცენტრების დაშორება ნახევარსფეროთა საერთო ცენტრიდან უდრის შესაბამისად d_1 და d_2 :

ცხადია, რომ l_2 და l_3 რკალების r_1 და r_2 რადიუსები ცალსახადაა დამოკიდებული პატარა ნახევარსფეროს რადიუსსა და d_1 და d_2 მანძილებზე. ამ დამოკიდებულების განსასაზღვრავად განვიხილოთ აღნიშნული რკალების პროექციები XOY სიბრტყეზე (ნახ. 2.16):


$$r_1 = \sqrt{r^2 - d_1^2}, \quad r_2 = \sqrt{r^2 - d_2^2}.$$

მაშასადამე, ჯამური ურთიერთინდუქციურობა


$$M = M_{l_1 l_2} + M_{l_1 l_3} = \frac{\mu_0 R}{4\pi} \int_{\varphi_1=0}^{2\pi} \int_{\varphi_2=0}^{\pi} \left(\frac{r_1 A_1^*}{B_1^* \cdot D_1} + \frac{r_2 A_2^*}{B_2^* \cdot D_2} \right) d\varphi_1 d\varphi_2.$$

მიღებული გამოსახულებიდან ჩანს, რომ ჯამური ურთიერთინდუქციურობა დამოკიდებულია R , d_1 , d_2 , α , φ_1 , φ_2 , φ_3 , γ , λ , μ და τ პარამეტრების სიდიდეებზე.

ურთიერთინდუქციურობის გამოვლის განხილული მიღგომით მიღებული შედეგი საშუალებას იძლევა სფერულ ზედაპირზე ოპტიმალურად განვალაგოთ გამზომი კონტურები ისე, რომ მივიღოთ მაქსიმალური გამომავალი საინფორმაციო სიგნალი.



ნახ. 2.15 საერთო ცენტრის მქონე წრეწირული და სფერულ ზედაპირზე ბრტყელპარალელურად განლაგებული ორი ნახევარწრეწირული კუნტურები



ნახ. 2.16 კონტურების პროექციები X სიბრტყეზე

2.5. შედებები II თავის მიხედვით

1. მოყვანილია სტაციონალური მაგნიტური გელის ინდუქციის სამი ორთოგონალური მდგენელის გამოთვლის გამოსახულებები სფერული და ნახევარსფერული ფორმის მაგნიტებისათვის.
2. გამოკვლეულია მაგნიტური გელის ინდუქციის განაწილება მაგნიტის ზედაპირზე და მის გარეთ მდებარე სივრცეში.
3. დასაბუთებულია, რომ დამუშავებული სამკოორდინატული პირველადი გარდამქმნელი სფერული ფორმის მქონე მუდმივი მაგნიტით მიეკუთვნება ინდუქციური გარდამქმნელების კლასს.
4. დამუშავებულია კუთხეური სიჩქარის სამკოორდინატული ინდუქციური ნახევარსფერული ფორმის პირველადი გარდამქმნელის ფიზიკური საფუძვლები, მოქმედების პრინციპი რადიალურად დამაგნიტებული სფერული ფორმის მუდმივი მაგნიტის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ერთდროულად სამი გალვანურად დამოუკიდებელი სიგნალის მიღებას.
5. განხილულია გამზომ გრაგნილებში ელექტრომამოძრავებელი ძალის სიდიდის განსაზღვრა მაგნიტური ძალწირების ნაკადშებმის ცვლილების გაანგარიშების გზით. ამ მიზნით მიღებულია სფეროს ზედაპირზე მაგნიტური ძალწირების მიერ გადაკვეთილი ფართობის გამოსათვლელი ფორმულა, რომელიც იძლევა საშუალებას სფეროზე სამი კოორდინატის ცოდნის შემთხვევაში გამოვიანგარიშოთ ფართობის სიდიდე, რაც პირდაპირპროპორციულია ელექტრომამოძრავებელი ძალისა.
6. მიღებულია საერთო ცენტრის მქონე წრეწირული სახის და სფერულ ზედაპირზე ბრტყელპარალელურად განლაგებული ნახევარწრეწირული კონტურებს შორის ურთიერთინდუქციურობის გამოსათვლელი განზოგადებული გამოსახულება ქერძო შემთხვევისათვის, რაც გამოიყენება მგძნობიარობის ცვლილების სიდიდის შესაფასებლად.
7. ექსპერიმენტალურად დადგენილია, რომ დამატებითი ხვიების შემოტანით გარდამქმნელის მაქსიმალური მგძნობიარობა გაიზარდა საშუალოდ 1,5-ჯერ და შეადგინა 27 [მგ/0].

**III თავი. ორხედური ინდიკატორების ფიზიკური საფუძვლებისა
და აბების პრინციპების დამუშავება**

**3.1. უკონტაქტო ტრენაჟერი ინდიკატორის აბების
ფიზიკური საფუძვლები**

მასობრივი და კოლექტიური სარგებლობის ინფორმაციის ასახვის მრავალი ხერხი არსებობს:


მექანიკური, ელექტრომექანიკური, ოპტიკური, ელექტრული და ელექტრომაგნიტური. ყველაზე სრულყოფილად მიიჩნევა ელექტრომაგნიტური მოვლენების გამოყენებით აგებული ინფორმაციის წყაროები ცვალებადი ნიშნით, ისეთი, როგორიცაა ინდიკატორი [43,44], მატრიცული ინდიკატორული ხელსაწყო [45], ცვლადი საინფორმაციო ნიშანი [46,47], ტაბლო [48], მრავალფეროვანი ინდიკაციის ხელსაწყო [49], მაგნიტური ველის ზემოქმედების გამოყენების საშუალებით აგებული მბრუნავი ინდიკატორი [50-57].

ორხედური ინდიკატორი გამოიყენება მართვადი საგზაო ნიშნების ასაგებად, რათა უზრუნველვყოთ უსაფრთხო მოძრაობა საავტომობილო გზაზე [58].


ინდიკატორის ელემენტი შედგება ღრუ ცილინდრული ფორმის რადიალურად დამაგრებული ერთი მუდმივი მაგნიტისგან მაინც, რომელშიც ჩაშენებულია მსუბუქი არამაგნიტური მასალისაგან დამზადებული ორმხრივი ინფორმაციული ელემენტი (მაგალითად: ფირფიტა, ფირფიტის სისტემა ან ღრუ ცილინდრი).

მუდმივ მაგნიტების თითოეული ღრუ ცილინდრული ფორმის მაბრუნებული ელემენტი შედგენილია ოთხი ერთმანეთთან მჭიდროდ შეერთებული რგოლებისაგან (მაგალითად, წებოთი). ერთმანეთის მიმართ მოპირდაპირედ განლაგებული რგოლები იდენტური ფორმისაა და დამზადებულია ერთი და იგივე მასალისაგან, რომელთა შორის ერთი წყვილი რადიალურად დამაგნიტებული მაგნიტებია მეორე წყვილი შესრულებულია არამაგნიტური მასალისაგან ნახ. 3.1 ა, ბ, გ და დ.


წყვილ-წყვილად და მოპირდაპირედ განლაგებული რგოლების სიმეტრიის დერძები ურთიერთმართობულია. ყველა ერთ მწკრივში განლაგებული H-სებრი ფორმის ელექტრომაგნიტების მაგნიტოგამტარის გვერდითი ტორსები ჩაზნექილი ფორმისაა, რომლის ჰორიზონტალური სიმეტ-




s)



b)




d)




g)

б)в. 3.1



ნახ. 3.2. ორი სრული ნახევარრკალიდან შედგენილი დრუ ცილინდრული ფორმის მაგნიტუბს შორის მაგნიტური გელის სახე



ნახ. 3.3 ორი ერთმანეთისაგან იძულებით დაშორებული დრუ ცილინდრული ფორმის მაგნიტუბს შორის მაგნიტური გელის სახე

რიის დერძი მართობულია ცილინდრული ფორმის მაბრუნებული ელემენტის ვერტიკალური სიმეტრიის დერძისადმი, ხოლო ჩაზნექილობის რადიუსი არანაკლებია მაბრუნებული ელემენტის გარე რადიუსისა.

აღსანიშნავია, რომ თვით გარე ცილინდრული ფორმის ღრუშედგენილი მაგნიტის შიგა კონფიგურაციის შეცვლით მიიღწევა სხვადასხვა ტექნიკური ამოცანის გადაჭრა.

თუ გვესაჭიროება რხევების რიცხვის შემცირება, მაშინ შიდა ნაწილს ვაძლევთ შეკუმშული ელიფსის ფორმას, რომლის ვერტიკალური დიდი ზომა და მასზე გამავალი სიმეტრიის დერძი ემთხვევა მაგნიტების სიმეტრიის დერძს, ხოლო პორიზონტალური სიმეტრიის დერძი ემთხვევა არამაგნიტური რკალების სიმეტრიის დერძს - მიიღება კვაზითანაბარგანაწილებული ველი (ნახ. 3.1 გ). ამ ველის ზემოქმედებით იზრდება დამუხრუჭების პერიოდი და ამიტომ მცირდება რხევების რიცხვი მმართავი იმპულსის მოხსნის შემდეგ.

თუ გვესაჭიროება სწრაფი რეაგირება, ინდიკაციის სიბრტყის ზუსტი დაყენება და მმართავი იმპულსის სიმძლავრის შემცირება, მაშინ შიდა ნაწილს ვაძლევთ გაშლილი ელიფსის ფორმას, რომლის ვერტიკალური მცირე ზომა და მასზე გამავალი სიმეტრიის დერძი ემთხვევა მაგნიტების სიმეტრიის დერძს, ხოლო პორიზონტალური სიმეტრიის დერძი ემთხვევა არამაგნიტური რკალების სიმეტრიის დერძს. მიიღება ვიწროდ მიმართული ველი გაზრდილი მაგნიტური პოტენციალით (ნახ. 3.1 დ). ეს იწვევს მმართავი იმპულსის ამპლიტუდის და ხანგრძლივობის და, მაშასადამე, მოხმარებული სიმძლავრის შემცირებას, დინამიური რხევების რიცხვის გაზრდას, რხევების სწრაფ მიღევადობას, ხედური ინფორმაციის ცვლილებას და საინფორმაციო სიბრტყის ზუსტ დაყენებას.

ცალკე აღებული რადიალურად დამაგნიტებული ღრუში ცილინდრული ფორმის მაგნიტების გარე მაგნიტური ველის განაწილება მოყვანილია ნახ. 3.2, ხოლო გეომეტრიული ფორმით იდენტურად დამზადებული ორი ცილინდრული ფორმის მაგნიტებს შორის მაგნუტური ველის გადანაწილება მოყვანილია ნახ. 3.3-ზე.


სტატიკურ მდგომარეობაში მწკვრივში მაგნიტებს შორის მდებარე ყველა H-სებრი გულარის ელექტრომაგნიტები დამატებით ასრულებენ არა მარტო ღრუში მაგნიტების მიერ შექმნილი მაგნიტური ველის გამტა-

რებლის როლს, არამედ ამცირებენ გამოყენებული ღრუ მაგნიტების რაოდენობის რიცხვს ინდიკატორის ინფორმაციული ელემენტების ფირფიტების 5 განივი ზომის ორჯერ გაზრდით.


ინდიკატორის ელემენტების სამაგრებს აქვს იდენტური ზომები და ისინი დამზადებულია არამაგნიტური მასალისაგან (მაგალითად, ებონიტისაგან). პირველი სამაგრი ჩაშენებულია ღრუ ცილინდრული ფორმის მაგნიტი, მეორე სამაგრი კი ორმხრივი ინფორმაციული ელემენტის მეორე მხარეზეა განთავსებული.

მაგნიტის ბრუნვითი დერძების ჩაშენებით მის სიმეტრიის დერძის თანხვდენილი მიმართულებით იძლევა მწკრივად განლაგებული მონაცემები პოლუსების მქონე ღრუ ცილინდრული ფორმის მაგნიტები ფირფიტების ხედური ნაწილების ერთ სიბრტყეში განთავსების საშუალებას (ნახ. 3.4a).

მაგნიტები დაიწყებენ ბრუნვას, როცა გარე მართვადი მაგნიტური ველის მიმართულება შეიცვლება საპირისპიროზე. მაგნიტების მობრუნების მიმართულებას განაპირობებენ კიდურა მაგნიტები. მაგნიტების ლუწი რაოდენობის განთავსება (ნახ. 3.4a,გ) განპირობებულია იმით, რომ გარე მაგნიტური ველის ზემოქმედებით თითოეული მაგნიტი იწყებს მობრუნებას მეზობლად მდებარე მაგნიტის საპირის პირო მიმართულებით, ე.ი. მწკრივად განლაგებული მაგნიტები კენტ ადგილებზე ბრუნავენ ერთი მიმართულებით, ხოლო ლუწი ადგილებზე განლაგებული მაგნიტები – საპირისპირო მიმართულებით. სექციებში კიდურა მაგნიტები მოძრაობენ საპირისპირო მიმართულებით, ამიტომ შუაში განლაგებული მაგნიტის მეზობელი მაგნიტები (როცა კენტი მაგნიტების რაოდენობაა) (ნახ. 3.4ბ) იბრუნებენ სხადასხვა მიმართულებით. ამ შემთხვევაში, სექციის შუაში განლაგებულ მაგნიტზე მოქმედებენ ურთიერთმაკომპანირებელი განმზიდი მაგნიტური ძალები მეზობელი მაგნიტებიდან. ამიტომ, შუაში განლაგებული მაგნიტი განუსაზღვრელ მდგომარეობაშია, არ შემოტრიალდება და დაირღვევა ინფორმაციის სურათი, რაც მიზანშეწონილი არ არის. ე.ი. სექციას ან ინდიკატორს უნდა ჰქონდეს მაგნიტის ლუწი რაოდენობა.



ნახ. 3.4 მწკრივში განლაგებულ ღრუ ცილინდრული ფორმის მაგნიტუდის დინამიკა გარე მაგნიტური გელის ზემოქმედების დროს



ნახ. 3.5 მბრუნავი მაგნიტის გეომეტრიული პარამეტრები

გარე მაგნიტური ველის შექმნა და შესაბამისად ინდიკატორის მართვა შესაძლებელია ელექტრომაგნიტის გამოყენებით. ცხადია, რომ თვით ელექტრომაგნიტი არ უნდა აფერხებდეს ინდიკატორის ხედურ მხარეს. ამიტომ ის განთავსებულია ინდიკატორის ელემენტების უკან და შესრულებულია Π-სებრი სახით დახრილი ბუნუკებით. ამ შემთხვევაში ელექტრომაგნიტის მაგნიტური ველის ძალწირები ინდიკატორის მაგნიტებში შევა რაღაც კუთხით, ვინაიდან კიდურა მაგნიტები ავალებენ მათ შორის მდებარე მაგნიტებს ბრუნვის მიმართულებას. განვიხილოთ ზოგიერთი გეომეტრიული თანაფარდობა. რაც გათვალისწინებულია ინდიკატორის აგებისას დავადგინოთ კიდურა მაგნიტებში სავარაუდო გარე მაგნიტური ველის მაგნიტური

ძალწირების შესვლის კუთხის დამოკიდებულება გეომეტრიულ პარამეტრებზე (იხ. ნახ.3.5):


$$\left\{ \begin{array}{l} x = R \cdot \operatorname{tg} \alpha \cdot (1 - \sin \alpha) \\ y = R \cdot (1 - \cos \alpha) \\ x + y = l \cdot \operatorname{tg} \alpha \end{array} \right| \Rightarrow \frac{l}{R} = 1 - \operatorname{tg} \alpha \Rightarrow \alpha = 2 \operatorname{arctg} \left(1 - \frac{l}{R} \right).$$

ამ შემთხვევისათვის ნახ.3.6 მოყვანილია გრაფიკი.


თუ Π -სებრი სახის მაგნიტოგამტარის ბუნუკები აღგენენ α კუთხეს, მაშინ ზოგადად ბუნუკების საშუალო ხაზის სიგრძე (იხ. ნახ.3.7) გამოითვლება გამოსახულებით:

$$\left\{ \begin{array}{l} m + n + R < \frac{R}{\sin \alpha} \\ d = \frac{m}{2 \sin \alpha \cdot \cos \alpha} \end{array} \right| \quad m < \frac{2R \cdot \cos \alpha \cdot (1 - \sin \alpha)}{\sin \alpha},$$

სადაც d -მაგნიტოგამტარის სისქეა.



ნახ. 3.6 მმართავი ელექტრომაგნიტის მაგნიტოგამტარის ბუნუკების
კუთხის განსაზღვრის მეთოდის სქემა



ნახ. 3.7 მაგნიტოგამტარის ბუნუკების საშუალო ხაზის სიგრძის განსაზღვრის მეთოდის სქემა


3.2 ინდიკატორის აგების პრინციპი და კონსტრუქციული თავისებურებანი

განვიხილოთ ინდიკატორის აგების პრინციპი და კონსტრუქციული თავისებურებანი. დიდი ან საშუალო ნიშნის ან სურათის მისაღებად მიზანშეწონილია მაგნიტები დავაჯგუფოდ სექციებიდ. ამიტომ მართვის კვანძი დაყოფილია და სექციონირებულია, ყოველ სექციაში შემავალი ინდიკატორის ელემენტები განლაგებულია მწკრივად მონაცვლე პოლუსებით (ნახ. 3.8). თითოეული სექცია შესრულებულია ელექტრომაგნიტის სახით Π -სებრი მაგნიტოგამტარით, რომელიც შემომწვდომია მაგნიტების ლურჯი რაოდენობისა. სექციების მართვის გრაგნილები შეერთებულია ერთმანეთთან (მაგალითად: პარალელურად ან მიმდევრობით). მართვის ელექტრომაგნიტის საერთო გამოსასვლელები გადამრთველი ელემენტების მეშვეობით შეერთებულია


მუდმივი დენის წყაროსთან, ხოლო გადამრთველი ელემენტი შეერთებულია მართვის ლოგიკურ ელემენტთან. ამასთან, ინდიკატორის ელემენტების შემადგენელი ნაწილი უძრავადაა დამაგრებული ერთმანეთთან (მაგალითად წიბოთი) და შეადგენს მთლიან კონსტრუქციას, რომლის ტორსების მხრიდან ამობურდულია.

დერძულსიმეტრიული და სიღრმით ერთნაირი დრუ ნახვრეტები. მათი მეშვეობით ინდიკატორის ელემენტები თავსდება ინდიკატორის კორპუსის მოპირდაპირე გვერდზე უძრავად განლაგებულ ბრუნვის დერძზე. ინდიკატორის ელემენტების შემადგენელი ნაწილების განივი ზომები არ აღემატება დერძებს შორის მანძილს, მაგნიტის და მეორე სამაგრი ელემენტის გრძივი ზომები ბევრად ნაკლებია ორმხრივი ინფორმაციული ელემენტის შესაბამის ზომებზე, ხოლო Π -სებრი მაგნიტოგამტარის პოლუსების სიგანე არ აღემატება მუდმივი მაგნიტის გრძივ ზომას.


ელექტომაგნიტის მოსაზღვრე სექციები ინდიკატორში განლაგებულია კორპუსის მოპირდაპირე გვერდზე; სექციები, მათ პოლუსებს შორის განლაგებულია მაგნიტებით, განთავსებულია ერთ სიბრტყეში; სექციების მართვის გრაგნილები შეერთებულია წყვილწყვილად პარალელურად, ხოლო წყვილები მიმდევრობით; პირველი და მეორე სამაგრების ზომები იდენტურია და დამზადებულია არამაგნიტური მასალისაგან



ნახ. 3.8 სექციონირებული ორხედური ინდიკატორის ფუნქციონალური სქემა



ნახ. 3.9 ორხედური ინდიკატორის კონსტრუქციული სქემა



ნახ. 3.10 ორხედური ინდიკატორის დინამიური მართვის ელექტრული სქემა

(მაგალითად: ებონიტი, ტექსტოლიტი, ორგანული მინა). თუ გარე მაგნიტური ველის მიმართულება ემთხვევა ინდიკატორის ელემენტების მაგნიტების ველის მიმართულებას, კიდურა მაგნიტებს გარდა სხვა მაგნიტები არ შემოტრიალდება. იმპულსის გავლის შემდეგ კიდურა მაგნიტები, თვით მაგნიტების ველის ზემოქმედებით, უბრუნდებიან საწყის მდგომარეობას, ე.ი. განლაგდებიან წრფის გასწვრივ, რომელიც ემთხვევა სექციებში განლაგებული მაგნიტების მიერ შექმნილი მაგნიტური ველის ძალწირებს. თუ მიწოდებული სიგნალი საპირისპირო პოლარობისაა, მაშინ, პრაქტიკულად, მყისად ყველა მაგნიტი შემოტრიალდება 180 გრადუსით, გარდა სექციებში კიდურა მაგნიტებისა, რომელთა შემობრუნების კუთხე ნაკლებია, ვინაიდან იმპულსის მოქმედების დროს გარე მაგნიტური ველი შედის მათში გარკვეული კუთხით ინდიკატორის ელემენტების სიმეტრიის დერძის მიმართ. იმპულსის მიწოდების შეწყვეტის შემდეგ კიდურა მაგნიტებს შორის განლაგებული მაგნიტები ქმნიან მათი სიმეტრიის დერძებზე გამავალ სიბრტყეში საკუთარ ველს, რომელიც შემოაბრუნებს კიდურა მაგნიტებს, ე.ი. კიდურა მაგნიტების ადგილმდებარეობა თვითკორექტირდება.

იმ შემთხვევაში, თუ სექცია შედგება მხოლოდ ორი ინდიკატორული ელემენტისაგან, დენის იმპულსის მიწოდებისას ორივე ელემენტი შემობრუნდება, მაგრამ მათ შორის სხვადასხვა სახის პირველი მაგნიტური პოლუსები განლაგებულია ერთმანთან უფრო ახლოს, ვიდრე ამავე მაგნიტების მეორე პოლუსები. ამიტომ მართვადი იმპულსის მოხსნის შემდეგ ახლოს მდებარე პოლუსები მიიზიდებიან ერთმანეთისკენ და გამოსახულების სურათი არ შეიცვლება.

მწკრივად განლაგებული მონაცელე პოლუსების მქონე დრუ ცილინდრული ფორმის მაგნიტები უზრუნველყოფებ ინდიკატორის ელემენტების მდგრად მდგომარეობას მართვის იმპულსის მოხსნის შემდეგ და ამიტომ საიმედოდ ინარჩუნებენ წინა ინფორმაციას მაშინაც კი, როცა ინდიკატორზე მოქმედებს კიბრაცია.

სექციების ერთმანეთზე გავლენის და მაგნიტოგამტარის პოლუსურ ბუნიკებში ველის გადანაწილების გამოსარიცხავად და, როგორც შედეგი, ინდიკატორის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნვენსაყო-

ფად, ელექტრომაგნიტის მოსაზღვრე სექციები განთავსებულია ინდიკატორის კორპუსის მოპირდაპირე გვერდებზე (ნახ. 3.8).

სექციების გრაგნილების წყვილ-წყვილად პარალელურად და ამ წყვილების მიმდევრობით შეერთება, ერთი მხრივ, გამორიცხავს ერთდროულად ორი გრაგნილის მწყობრიდან გამოსვლას, ხოლო მეორე მხრივ, აჩქარებს ინდიკატორის ტექნოლოგიურ რემონტს. სექციების კენტი რაოდენობის შემთხვევაში გრაგნილები ან პარალელურად შეერთდებიან ან კომბინირებულად, ელექტრული დენის ოპტიმალური გადანაწილების გათვალისწინებით (ნახ. 3.10).

გარდამქმნელის ფუნქციონირებაზე შესაძლებელია იმოქმედოს მაგნიტის "დაძველების" მოვლენამ, რაც გამოწვეულია, ძირითადად, დროის და მექანიკური ვიბრაციის ზემოქმედების ფაქტორებით, მაგრამ ინდიკატორის ელემენტების მაგნიტების შემაგნიტება ხდება გარე მართვადი იმპულსების ზემოქმედებით. ტრანსპორტირებისას ან სანგრძლივი შენახვისას დამაგნიტებულობა შეიძლება შემცირდეს, მაგრამ ინდიკატორის მუშაობის უნარის აღსადგენად საკმარისია გარე მუდმივი მაგნიტური ველის მოდება, რაც აგვაცილებს ინდიკატორის დაშლას და ღრუ მაგნიტების შეცვლას.

3.3. მუკრიგად განლაპივულ მამნიჭებელი დინამიური პალების მოძმევების გამოთვლა

1785 წელს ფრანგი მეცნიერი შ.კულონი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს მაგნიტური პოლუსები და მათი ურთიერთქმედება ელექტრული მუხებების ურთიერთქმედების ანალოგიური ფორმულით აღიწერება და დაიწყო ცალკეული მაგნიტური პოლუსების ძებნა. მაგრამ ამაოდ.

დღეისათვის ფიზიკაში არსებული არც ერთი თეორია არ ეწინააღმდეგება ცალკეული მაგნიტური მუხების ან როგორც უწოდებენ მაგნიტური მონოპოლის არსებობას. ეს პიპოთეზა გამოთქვა ინგლისელმა მეცნიერმა დირაგმა (1931). ამიტომ მაგნიტურ მუხებს უწოდებენ დირაკის მონოპოლს.

ამგვარად, თუ მოვათავსებთ ერთგვაროვან მაგნიტურ ველში რაიმე ფორმის მაგნიტს, მაშინ დიდი მიახლოებით შეიძლება ითქვას, რომ

გვაქვს “დიპოლი” (ნახ. 3.11), რომლის პოლუსებზე მოქმედებს წყვილ-ძალა.

თუ რადიალურად დამაგნიტული ღრუ ცილინდრის ფორმის მაგნიტს განვათავსებთ ერთგვაროვან მაგნიტურ ველში, მაშინ უფრო გამართლებულია მაგნიტის დიპოლის სახით წარმოდგენა (ნახ. 3.11). გარე მაგნიტური ველის ზემოქმედებით ღრუ ცილინდრის ფორმის მაგნიტი (და მათზე უძრავად დამაგრებული ღერძები) იწყებს მობრუნებას თავისი ღერძის გარშემო იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ შექმნილი ველის მიმართულება ეწინააღმდეგება გარე მაგნიტური ველის მიმართულებას და მასზე ნაკლებია. ამ შემთხვევაში მაგნიტი მოძრაობს წყვილძალის მოქმედების მეშვეობით.

თუ კი ორ ერთნაირ ღრუ ცილინდრის ფორმის და რადიალურად დამაგნიტებულ მაგნიტებზე ვიმოქმედებთ გაცილებით მეტი სიდიდის გარე მაგნიტური ველით (ნახ. 3.12), მაშინ თითოეული მაგნიტი იწყებს ერთმანეთის მიმართ საპირისპირო ბრუნით მოძრაობას იმიტომ, რომ ერთნაირი მუხტის მქონე პოლუსები განიზიდებიან ერთმანეთისაგან, ხოლო საპირისპირო მუხტის მქონე პოლუსები - მიიზიდებიან. რა თქმაუნდა, თვით მაგნიტსაც გააჩნია მიზიდულობის ძალა, რომლის სიდიდე დამოკიდებულია არა მარტო მაგნიტის შემადგენელ მასალასა და მისი დამზადების ტექნოლოგიაზე, არამედ შემობრუნების კუთხეზე. ამრიგად:

$$F_{1\theta} = F - F_1(\Theta) \quad \text{და} \quad F_{2\theta} = F + F_2(\Theta),$$


$$\text{სადაც} \quad F(\Theta) = f \frac{m^2}{(d + 2R(1 - \cos \Theta))^2} = f \frac{m^2}{\left(d + 4R \sin^2 \frac{\Theta}{2}\right)^2};$$

R – მაგნიტური ცილინდრის რადიუსია;


d – ორ მაგნიტს შორის დაშორება;

m – მაგნიტის მუხტია.


$F_1(\Theta)$ და $F_2(\Theta)$ ცვლილების გრაფიკები მოყვანილია ნახ. 3.13.




ნახ. 3.11 მაგნიტის დეპოლის სახით წარმოდგენა



ნახ. 3.12 ორი ღრუ ცილინდრული ფორმის და რადიალურად დამაგნიტებულ მაგნიტებზე მოქმედი ძალები



ნახ. 3.13 მაგნიტუდზე ძალების მოქმედების მახასიათებელი



ნახ. 3.14 გარე მაგნეტური ზემოქმედების მოხსნისას მექანიკური რჩევების ხასიათის სახე

ცხადია, რომ $F_2 > F_1$ და ამიტომ ცილინდრული მაგნიტული მოძრაობენ თავიანთი დერძების გარშემო არა თანაბარი კუთხური სიჩქარით, არამედ აჩქარებულად. ეს კი იძლევა გარე მაგნიტური ველის ზემოქმედების მოხსნის საშუალებას. მაშინაც კი, როცა $\Theta=90^\circ$, ვინაიდან მაშინ აჩქარებულად მოძრავი დრუ ცილინდრული ინერციის გავლენით გააგრძელებენ მოძრაობას და გაცდებიან 90° -იან ზღვარს შემდეგ კი იმოძრავებენ $F_2(\Theta) > F_1(\Theta)$ ძალის მეშვეობით.

თუ კი გარე მაგნიტური ძალის ზემოქმედება გაგრძელდება უფრო დიდ ხანს და შეწყდება $\Theta > 90^\circ$ კუთხის გავლის შემდეგ მაგნიტული და მასზე დაშენებული ფირფიტები დაიწყებენ მექანიკურ მიღევად რხევებს (იხ.ნახ. 3.13). რაც უფრო დიდია გარე მაგნიტური ველის დაძაბულობა, მით უფრო მეტია გარდამავალი რხევების რიცხვი (ნახ. 3.12, 3.13).


იმისათვის, რომ რხევების რიცხვი შევამციროთ, ან მთლიანად უგულებელვყოთ, საჭიროა გარე მაგნიტური ველის იმპულსის ისეთი ფორმირება, რომ მაგნიტული 180° -ით შემობრუნებისას ერთმანეთს მიუახლოვდენ დაბალი ხაზოვანი სიჩქარით, რაც შესაძლებელია არა მარტო საპირისპირო პოლარობის იმპულსის მოკლე დროში მიწოდებით, არამედ სხვა სქემოტექნიკური ხერხების გამოყენებით.

3.4 ღრუ ცილინდრული ფორმის მაბნიტების მოძრაობის დინამიკი განტოლების შედეგა


ჩავატაროდ მწკრივში განლაგებული მაგნიტების იძულებითი მოძრუნებით გამოწვეული დინამიკური რხევების დემფირების საშუალებების ანალიზი ნახ. 3.15.-ზე მოვანილი მუდმივი მაგნიტებით და ელექტრომაგნიტებით შემდგარი სამართავი სისტემის საშუალებით [56]. სისტემაში შემავალი ელემენტების სიბრტყეები განლაგდებიან ერთ სიბრტყეში იმის გამო, რომ როგორც მმართავი ელმაგნიტების გულარები და მბრუნავი მუდმივი მაგნიტები დაშენებული ფირფიტებით განლაგებულია ერთი წრფის გასწვრივ. მბრუნავ მუდმივ მაგნიტებს აქვთ დრუ ცილინდრული ფორმა. მაგნიტები დამაგნიტებულია რადიალურად. დრუ ნაწილში ჩაშენებულია ერთი სამაგრი ელემენტი. ერთი და მეორე სამაგრი ელემენტები მობრუნების დერძებით შეერთებულია ერთმანეთთან მსუბუქი არამაგნიტური მასალისაგან დამზადებული ფირფიტით. მაგნიტები

განლაგებულია მწკრივად მონაცემებით. მართვის კვანძი (ზოგ შემთხვევაში კვანძები) წარმოადგენს პარალელურად შეერთებულ იდენტურ ელექტრომაგნიტებს. თითოეული ელექტრომაგნიტი შეიცავს H-სებრ მაგნიტოგამტარს, რომლის პოლუსურ ბუნიკებს შორის განლაგებულია მუდმივი მაგნიტები, ელექტრომაგნიტის მაგნიტოგამტარის გულარის ფუძეზე განთავსებულია გრაგნილი. მართვის ელექტრომაგნიტის წყვილ-წყვილად და მათ შორის მიმდევრობით შეერთებული სექციების გრაგნილების საერთო გამოსასვლელები გადამრთველი ელემენტის მეშვეობით მიერთებულია მუდმივი დენის წყაროსთან. რიგში განლაგებულ მაგნიტებს და იდენტურ ელექტრომაგნიტებს შორის კენტ ადგილებზე მოთავსებულია მართვადი ელექტრომაგნიტები, ხოლო ლუწე - ელექტრომაგნიტები მოკლედ ჩართული და დამატებითი გრაგნილებით.

გარე ძალების ზემოქმედებამდე სისტემის ელემენტები ერთმანეთის მიმართ უძრავად არიან განთავსებული. მმართველი სიგნალის მიწოდებისას ძაბვა მუდმივი დენის წყაროდან (მაგალითად, იმპულსის სახით) მიეწოდება ელექტრომაგნიტების გრაგნილებს H-სებრი მაგნიტოგამტარის პოლუსების ბუნიკებით, იქმნება მიმართული მაგნიტური ველი. თუ გარე მაგნიტური ველის მიმართულება ემთხვევა ღრუ მაგნიტების ველის მიმართულებას, მაგნიტები არ შემოტრიალდება. იმპულსის გაფლის შემდეგ მაგნიტები, საკუთარი მაგნიტების ველის ზემოქმედებით, უბრუნდებიან საწყის მდგომარეობას, ე.ი. განლაგდებიან წრფის გასწვრივ, რომელიც ემთხვევა მაგნიტების მიერ შექმნილი მაგნიტური ველის ძალწირებს. თუ მიწოდებული სიგნალი საპირისპირო პოლარობისაა, მაშინ პრაქტიკულად მყისიერად ყველა მაგნიტი შემოტრიალდება 180° გრადუსით. იმპულსის მიწოდების შეწყვეტის შემდეგ მაგნიტები მათი სიმეტრიის ღერძებზე გამავალ სიბრტყეში ქმნიან საკუთარ ველს, რომელიც შემოაბრუნებს ყველა არასიმეტრიულად განლაგებულ მაგნიტებს, ე.ი. მაგნიტების ადგილმდებარეობა თვითკორექტირდება. მაშასა-დამე მწკრივად განლაგებული მონაცემები პოლუსების მქონე ღრუ ცილინდრული ფორმის მაგნიტები და მათ შორის განთავსებული ელექტრომაგნიტები H-სებრი ფორმის მაგნიტოგამტარით უზრუნველყოფენ მბრუნავი



ნახ. 3.15. ორხედური ინდიკატორის სისტემა დრუ ცილინდრული ფორმის მაგნიტებით



ნახ. 3.16. მართვის იმპულსების დიაგრამა

ელემენტების მდგრად მდგომარეობას მართვის იმპულსის მოხსნის შემ-დეგ და ამიტომ საიმედოდ ინარჩუნებენ წინა მდგომარეობას მაშინაც კი, როცა ინდიკატორზე მოქმედებს ვიბრაცია.

ცნობილია, რომ ნებისმიერი მბრუნავი სისტემის სტატიკური და დინამიური მდგომარეობა აღიწერება ერთი ძაბვების და ერთი მომენტების განტოლებებით [2,3,55]. ზუსტი აღწერისათვის გასათვალისწინებილია მბრუნავი სისტემის კონსტრუქციული თავისებურებანი, რომლებიც სრულად განსაზღვრავენ მათზე მოქმედი მომენტების ბუნებას და რაოდენობას. ამ თვალსაზრისით გარე მმართავი იმპულსური ველის ზემოქმედებისას ერთ მწყრივში მონაცვლე პოლუსებით განლაგებულ და მობრუნების ლერძის მქონე მუდმივ მაგნიტებზე და მათში სიმეტრიულად უცლელად ჩაშენებულ და გარეთ აღმართულ ბრტყელ არამაგნიტურ ფირფიტების ელემენტებზე (ნახ. 3.9.) მოქმედებენ არა მარტო თვით მაგნიტებით შექმნილი მაგნიტური ველით გამოწვეული მაგნიტური ძალით, არამედ დამამუხრუჭებელი დინამიური ძალები, რომლებიც ქმნიან დამატებით დასაძლევ მომენტებს. ამ ძალების და შესაბამი მომენტების გათვალისწინებით:

$$\begin{cases} \frac{d\Psi}{dt} + R_L I = U \\ \Sigma I_i \frac{d^2 \beta}{dt^2} + D \frac{d\beta}{dt} + (M_{\text{მაგ}} + M_{\text{ხოდ}} + M_{\text{გრ}}) \text{sign}\left(\frac{d\beta}{dt}\right) = M_{\text{ელ}} \end{cases}, \quad (3.1)$$

სადაც Ψ – ელექტრომაგნიტის და მაგნიტური სისტემის ნაკადშებმაა,

R_L – ინდუქციური კოჭის აქტიური წინადობაა,

I_i – მოძრავი სისტემის ცალკეული ელემენტების ინერციის მომენტებია,

β – მუდმივი მაგნიტის მქონე მოძრავი სისტემის მო ბრუნების კუთხეა,

D – საჰაერო ხასუნის კოეფიციენტია,

$M_{\text{მაგ}}$ – მშრალი ხასუნის მომენტია,

$M_{\text{ხოდ}}$ – სიბლანტის ხასუნის მომენტია,

$M_{\text{გრ}}$ – ფირფიტის გრეხის ძალის მოქმედებით გამოწვეული ხასუნის მომენტია,

$M_{\text{ელ}}$ – ელექტრომაგნიტური ბრუნვის მომენტია.

სისტემის მეორე განტოლებაში შემოტანილი სიბლანტის და ფირფიტის გრეხითი ძალების ზემოქმედებით გამოწვეული ხახუნის მომენტი, თავს იჩენენ მხოლოდ მბრუნავი ელემენტების მობრუნების დროს. სიბლანტის ხახუნის მომენტი განპირობებულია ფირფიტაზე დრეკადი ძალის ზემოქმედებით, რაც იწვევს სიბლანტის ხახუნის ძალას, რომელიც რიცხობრივად ტოლია [59]

$$F_{b.b.b} = \eta \cdot V \cdot l \quad ,$$

$$\text{სადაც } \eta = \frac{F_{b.b.b}/S}{\nu/h} \quad [\text{ნ} \cdot \frac{\text{წ}}{\text{გ}^2}] \quad - \text{ სიბლანტის ხახუნის კოეფიციენტია;}$$

l და h – ფირფიტის სიგანე და სიმაღლეა, შესაბამისად;

σ – ფირფიტის მობრუნების სიჩქარეა;

V/y – წანაცვლებითი დეფორმაცია;

S – ფირფიტის ზედაპირის ფართობია.

ჩვენ შემთხვევაში, როცა ფირფიტა ტრიალებს მობრუნების ვერტიკალური სიმეტრიული დერძის გარშემო, მაშინ $F_{b.b.b} = \eta \cdot V \cdot l / 2$ ვინაიდან ძალა ხაზოვნად მცირდება ფირფიტის ნაპირიდან სიმეტრიის დერძამდე. სიბლანტის კოეფიციენტი დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურაზე. სითხის გაცხელებისას სიბლანტე მცირდება, ხოლო აირის გაცხელებისას კი იზრდება, ვინაიდან იმსხვევა წყალბადური კავშირებით შექმნილი კლასტორები. მაგალითად, 20°C აირისათვის $\eta \cdot 10^{-3} = 0,018$, ხოლო 40°C ურდის $0,019 \quad [\text{ნ} \cdot \frac{\text{წ}}{\text{გ}^2}]$.

ფირფიტის გრეხითი ძალების ზემოქმედებით გამოწვეული ხახუნის მომენტი განპირობებულია სამაგრებით, ვინაიდან პირველი სამაგრი ჩაშენებულია ღრუ ცილინდრული ფორმის მაგნიტში, მეორე სამაგრი კი ფირფიტის მეორე ბოლოშია განთავსებული. ამგვარად მივიღეთ კონსოლი, რომლის ორივე საპირისპიროდ განთავსებული წვეროები წარმოადგენენ ბრუნვის დერძებს, მაგრამ მხოლოდ ერთ ბოლოზე (სადაც განლაგებულია მაგნიტი) მოქმედებს ელექტრომაგნიტური ძალა. ამიტომ ფირფიტა იგრიხება და ქმნის დამატებით ხახუნის მომენტს.

ჰუკის კანონის თანახმად მოძრავი ფირფიტის გრეხითი ძალის მიერ გამოწვეული ხახუნის მომენტი

$$M_{\beta\sigma} = G J_p \frac{d\phi}{dz},$$

სადაც G – ფირფიტის ბვრის მოდულია,

J_p – კვეთის ინერციის პოლარული მომენტია,

$\frac{d\phi}{dz}$ – ფირფიტის გრეხის ფარდობითი კუთხეა Z ღერძის მიმართ.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ელექტრომაგნიტური ენ-

$$\text{ერგია } \text{ ტოლია } M_{\beta\sigma} = -\frac{1}{2} \Psi \frac{dI}{d\beta} = -\frac{1}{2} LI \frac{dI}{d\beta}, \quad (3.2)$$

და მართვა წარმოებს მხოლოდ ერთი სახის მმართავი ელექტრომაგნიტებით, მაშინ ელექტრომაგნიტი-მაგნიტი სისტემის დინამიკის განტოლება ჩაიწერება შემდეგი სახით

$$\sum_{i=1}^n I_i \frac{d^2\beta}{dt^2} + D \frac{d\beta}{dt} + M_\Sigma \operatorname{sign}\left(\frac{d\beta}{dt}\right) = -\frac{1}{2} LI \frac{dI}{d\beta}. \quad (3.3)$$

ცხადია, იმისათვის, რომ რხევების რიცხვი შევამციროთ, ან მთლიანად გამოვრიცხოთ, საჭიროა გარე მართვადი მაგნიტური ველის იმპულსის ისეთი ფორმირება, რომ მაგნიტები 180° -ით შემობრუნებისას ერთმანეთს მიუხდოვდენ დაბალი ხაზოვანი სიჩქარით. ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ხერხის გამოყენების საშუალებით (იხ. ნახ. 3.14). მართვის თვალსაზრისით შესაძლებელია მართვა ვაწარმოოთ ერთი ან ორი მართვადი ელექტრომაგნიტებით და მოკლედ ჩართული ელექტროდემფერის გამოყენებით და დროში წანაცვლებული მოქმედებით. თუ გამოვიყენებთ კომბინირებულ მართვას, მაშინ მიზანშეწონილი იქნება დინამიკის განტოლება ჩაიწერა შემდეგი სახით

$$\sum_{i=1}^n I_i \frac{d^2\beta}{dt^2} + D \frac{d\beta}{dt} + M_\Sigma \operatorname{sign}\left(\frac{d\beta}{dt}\right) = \begin{cases} -\frac{1}{2} L_1 I_1 \frac{dI}{d\beta}, & \text{როცა } t_1 \leq t \leq t_2 \\ -\frac{1}{2} L_2 I_2 \frac{dI}{d\beta}, & \text{როცა } t_3 \leq t \leq t_4 \end{cases}.$$

მოყვანილი დინამიკის განტოლებები ამოიხსნება რიცხვითი მეთოდების გამოყენებით, კერძოდ რუნგე-კუტას მეთოდით.

ნახ. 3.16 მოყვანილი იმპულსური მართვის ხერხებიდან ჩანს, რომ მართვადი იმპულსის მიწოდებისას, როცა ველების მიმართულება არ

ემთხვევა ერთმანეთს, ერთად შეკრული მაგნიტი და ფირფიტა, რომლებსაც გააჩნიათ ინერციის მომენტი, იწყებენ აჩქარებულ მოძრაობას, ვინაიდან მათზე მოქმედებს ელექტრომაგნიტური ძალა. მართვადი იმპულსის მოქმედება 3π დეგრადიუმი მომენტში, როცა ელემენტი მობრუნებულია არანაკლებ 90^0 -ით. შემდეგ ფირფიტები ბრუნავენ ინერციით. შეძენილი მობრუნების იმპულსი იმდენად დიდია, რომ შემდეგ მოქმედი თვით დრუ მაგნიტების მიზიდულობის ძალა ვეღარ უზრუნველყოფს ფირფიტების გაჩერებას 180^0 -ით შემობრუნებისას. ამიტომ ადგილი აქვს მიღევად რხევებს. ცხადია, რომ რაც უფრო დიდია გარე მაგნიტური ველის დაძაბულობა და მაშასადამე მობრუნებაზე გადაცემული ენერგია, მით უფრო მეტია გარდამავალი რხევების ამპლიტუდა და მიღევადი რხევების რიცხვი. რხევების რიცხვის და დაწყნარების დროის შესამცირებლად გამოყენებულია დემფერი ელექტრომაგნიტის სახით, მოკლედ ჩართული გრაგნილით და მათზე განთავსებული მეორე მართვადი გრაგნილით. ელექტრომაგნიტური დემფერი ქმნის მაგნიტების მიერ H-სებრ გულარში აღძრული ველის რხევების სიხშირის ტოლ ცვალებადი ნაკადის საპირისპირო ნაკადს. ვინაიდან ლენცის წესით ჩაკეტილ კონტურში აღძრული ემბ-ს მიმართულება ეწინააღმდეგება გარე მაგნიტური ველის ცვლილებას. ელექტრომაგნიტური დემფერის გამოყენებით ორჯერ მცირდება რხევების რაოდენობა და ამპლიტუდა. თუ გამოვყენებთ დამატებით მეორე მმართვად გრაგნილს, რომლის დანიშნულებაა ელექტრომაგნიტურ დემფერში აღძრული ემბ-ის გაძლიერება, მაშინ რხევების რიცხვი მკაცრად შემცირდება და შეიძლება ერთი რხევის ტოლი გახდეს, რაც მისაღებია.

3.5. პრიზმული ფორმის მაბნიტებზე აბებული რეკონიციური დინამიური რბილების უპონტაპტო მართვის თავისებურებანი

სედური ინფორმაციის ამსახველი კონსტრუქციის გაბარიტების გაზრდისას იზრდება დრუ ცილინდრული ფორმის რადიუსის დიამეტრი, რაც მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან მნიშვნელოვნად იზრდება არა მარტო ძვირად დირებული მაგნიტური ფენილის ხარჯი, არამედ მბრუნავი მაგნიტის ინერციულობა. ამიტომ მიზანშეწოლია დრუ ცილინდრული მაგნიტები შეიცვალოს სხვა ფორმით (მაგალითად, ვიწრო

განიკვეთის მქონე პრიზმით, რომელიც დამაგნიტულია ზომით უდიდესი წახნაგის პარალელურ სიბრტყეში მდებარე პრიზმის სიმეტრიის სიბრტყის გასწვრივ), ხოლო მწკრივში განლაგებულ მაგნიტებს შორის მოთავსდეს იდენტური ფორმის, ზომის და ელექტრული პარამეტრების მქონე ელექტრომაგნიტები ძირითადი და დამატებითი გრაგნილებით. ძირითადი გრაგნილები წარმოადგენენ მართვის სისტემის მბრუნავი მაგნიტების მამოძრავებელ ელემენტს, ხოლო დამატებითი ასრულებენ ძირითადად მბრუნავი კონსტრუქციის ადგილმდებარეობის განმსაზვრელ მგძნობიარე ელემენტს და ზოგ შემთხვევაში დამატებითი (დამხმარე) სიმძლავრის მიმწოდებლის ან მცირე ამპლიტუდის მექანიკური რხევების დემფირების როლს, შესაბამისად. თოთოეული ელექტრომაგნიტის ეს ორი გამიჯნული ფუნქცია ხელს უწყობს დასმული ამოცანის გადაწყვეტას.

მართვის სისტემის ფუნქციონალური სქემა მოყვანილია ნახ.3.17.-ზე. მართვის განხორციელების შემსრულებელ ელემენტებს შეადგენს მწკრივში განლაგებული რადიალურად დამაგნიტებული პრიზმის ფორმის მუდმივი მაგნიტები (მმ) და მათ პოლუსებს შორის მოთავსებული მმართვი ელექტრომაგნიტები (ემ) [69]. ადგილმდებარეობის მიხედვით მუდმივ მაგნიტებს, ისევე როგორც ელექტრომაგნიტებს აქვთ დაფიქსირებული ადგილი. ამ ადგილის ცენტრში ვერტიკალურად განლაგებულ ღერძზე სისტად დამაგრებულია მმ, რომელსაც თავისუფალი მოძრაობის ორი მიმართულება გააჩნია და მოყვანილ შემთხვევაში მათ შეუძლიათ იმოძრაონ საათის ისრის თანხვდენილი ან საპირისპირ მიმართულებით. მბრუნავი მაგნიტის შემცველი კონსტრუქცია (შემდგომში, მბრუნავი კონსტრუქცია) შედგება რამდენიმე ნაწილისაგან. ხახუნის შემცირების მიზნით ერთი, საყრდენის წაწვეტებული ბოლოს წვერო ეყრდნობა ვერტიკალურ მდგომარეობაში უძრავად განთავსებულ დამჭერ მოწყობილობაში მოთავსებულ საყდენს, ხოლო მისი მეორე ბოლოს თავზე, რომელიც ამავდროულად მეორე ხახუნის უბანს წარმოადგენს, მაგრდება მოძრავი (ხედური ინფორმაციის განთავსებისათვის განკუთვნილი) ფირფიტის ერთი ბოლო. ამიტომ მბრუნავ ღერძს მის ვერტიკალურად დამჭერ მოწყობილობასთან გააჩნია ორი შეხების და ამიტომ ორი ხახუნის უბანი. მესამე ხახუნის უბანს ქმნის

ფირფიტის მეორე ბოლო, რომლის სიმეტრიის დერძის გაგძელებაზე მოთავსებულია მეორე ბრუნვის დერო, რითაც ეს ინარჩუნებს სასურველ მდგომარეობას გარე ჩარჩოში. ემ-ის გულარები განლაგებულია რა-დიალურად დამაგნიტებული მაგნიტების დამაგნიტების მიმართულების გასწვრივ. ასეთი სახით (ერთ მწკრივში) განთავსებული მონაცელები პო-ლარობის მქონე მაგნიტები და ელექტრომაგნიტები ქმნიან ელემენტთა ერთობლიობას (სისტემას). მუდმივი მაგნიტებით შექმნილი ველი ვრცელდება რა ელექტრომაგნიტების გულარებში, იკვრება სისტემის გარეთ, ანუ სისტემა წარმოადგენს პირობითად ერთ მაგნიტს. ამიტომ ასეთი სახით შედგენილი სისტემა ვერ შეიცვლის ადგილმდებარეობას გარე ძალების მიზანმიმართული ან შემთხვევითი ზემოქმედების დროს და სტატიკაში სისტემის თითოეული ელემენტი ერთმანეთის მიმართ ინ-არჩუნებს მდგრად უძრავ მდგომარეობას.

განვიხილოთ, თუ როგორ იმოქმედებს მმართველი ელექტრომაგნიტის მიერ შექმნილი გარე მაგნიტური ველი სისტემის მბრუნავი კონსტრუ-ქციის ადგილმდებარეობაზე. ცხადია, რომ, თუ მმართავი იმპულსური სიგნალი გაივლის ელექტრომაგნიტის მართვის გრაგნილებში და შექმ-ნის მუდმივი მაგნიტების მიერ შექმნილი ველის თანხვდენილად მიმარ-თულ ველს, სისტემა შეინარჩუნებს საწყის მდგომარეობას, ხოლო სა-პირისპირო შემთხვევაში სისტემაში შემავალი მუდმივი მაგნიტები პრაქ-ტიკულად მყისიერად შემობრუნდებიან 180 გრადუსით. მმართავი იმპულ-სის მოხსნის შემდეგ სისტემა შეინარჩუნებს ახალ მდგრად მდგომარეო-ბას იმ შემთხვევაშიც კი, როცა სისტემაზე მოქმედებს ვიბრაცია.

ცნობილია, რომ თუ ელექტრომაგნიტი შეიცავს რამდენიმე დამოუ-კიდებულ გრაგნილს ნებისმიერი მბრუნავი სისტემის სტატიკური და დინამიური მდგომარეობა აღიწერება ერთი ან რამდენიმე ძაბვების და ერთი მომენტების განტოლებით [55,56,59,60,64,69].

ამიტომ, სისტემის მოძრაობის დაზუსტებული მოძრაობის აღწერისათ-ვის გათვალისწინებულია მბრუნავი კვანძების ელექტრული, მაგნიტური და კონსტრუქციული თავისებურებანი, რომლებიც სრულად განსაზ-დერავენ მათზე მოქმედი მომენტების ბუნებას და რაოდენობას. მა-გალითად, ელექტრომაგნიტის მმართავი და დამატებითი გრაგნილების არსებობა იწვევს მეორე განტოლების შემოტანას, ხოლო ჯამური ინერ-

ცის მომენტების სრული აღწერა და დამამუხრუჭებელი დინამიური ძალების ადიტიური მდგენელების რიცხვის გაზრდა და მათ მიერ შექმნილი დამატებითი დასაძლევი მომენტების გათვალისწინებით განტოლებათა სისტემა (3.1) დაიწერება შემდეგი დაზუსტებული სახით:

, (3.4)

სადაც Ψ_1 – ელექტრომაგნიტის მმართველი გრაგნილის და მაგნიტისგან შედგენილი მბრუნავი კონსტრუქციის ნაკადშებმაა,

Ψ_2 – ელექტრომაგნიტის დამატებითი გრაგნილის და მაგნიტისგან შედგენილი მბრუნავი კონსტრუქციის ნაკადშებმა,

R_{L_1} – ელექტრომაგნიტის მმართველი გრაგნილის აქტიური წინაღობა,

R_{L_2} – ელექტრომაგნიტის დამატებითი გრაგნილის აქტიური წინაღობა,

I_i – მოძრავი კონსტრუქციის შემადგენელი ცალკეული i -ური ელემენტის ინერციის მომენტი,

β – მუდმივი მაგნიტის მქონე მოძრავი სისტემის მობრუნების კუთხე,

$U_{\alpha 1}$ – ელექტრომაგნიტის მართვის გრაგნილზე მიწოდებული ძაბვის სიდიდე,

$U_{\alpha 2}$ – ელექტრომაგნიტის დამატებით გრაგნილზე მიწოდებული ძაბვის სიდიდე,

D – საპარო ხახუნის კოეფიციენტი,

$M_{\partial \partial \partial_j}$ – მოძრავი კონსტრუქციის j -ური უბნის მშრალი ხახუნის მომენტი,

M_{bod} – გარემოს სიბლანტის ხახუნის მომენტი,

$M_{\partial \partial}$ – ფირფიტის გრეხის ძალის მოქმედებით გამოწვეული ხახუნის მომენტი,

$M_{\text{კომ}_k} - k$ -ური გრაგნილის მიერ შექმნილი ელექტრომაგნიტური ბრუნვის მომენტი.

თითოეული მომენტის ფიზიკური აზრი მოყვანილია § 3.4.-ში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თითოეული ერთგრაგნილიანი ელექტრომაგნიტის ელექტრომაგნიტური ენერგია შექმნის ელექტრომაგნიტურ მომენტს, რომელიც, ზოგადად გამოიანგარიშება გამოსახულებით (3.2), ხოლო თითოეული k -ური მაგნიტის 180^0 -ით შემობრუნების მართვა წარმოებს მის პოლუსებთან განლაგებული ორი k -ური და $k+1$ -ური თითოთითო მართვადი გრაგნილის შემცველი ელექტრომაგნიტებით, მაშინ ელექტრომაგნიტი-მაგნიტი-ელექტრომაგნიტი სისტემის დინამიკის განტოლება (3.3)-დან განსხვავებით ჩაიწერება შემდეგი სახით


$$\sum_{i=1}^n I_i \frac{d^2 \beta}{dt^2} + D \frac{d\beta}{dt} + M_\Sigma \text{sign}\left(\frac{d\beta}{dt}\right) = -\frac{1}{2} (L_{1,k} I_{1,k} + L_{1,k+1} I_{1,k+1}) \frac{dI}{d\beta}. \quad (3.5)$$

იმ შემთხვევაში, თუ ელექტრომაგნიტები აღჭურვილია დამატებითი გრაგნილებით, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნენ როგორც ერთობლივ, ასევე დამოუკიდებელი მართვის დროს, მაშინ მოძრაობის კომბინირებული მართვის დინამიკის განტოლებათა (3.5) სისტემა მიიღებს შემდეგ (3.6) სახეს:


$$\sum_{i=1}^n I_i \frac{d^2 \beta}{dt^2} + D \frac{d\beta}{dt} + M_\Sigma \text{sign}\left(\frac{d\beta}{dt}\right) = \begin{cases} -\frac{1}{2} (L_{1,k} I_{1,k} + L_{1,k+1} I_{1,k+1}) \frac{dI}{d\beta}, & \text{როცა } t_1 \leq t \leq t_2; \\ -\frac{1}{2} (L_{2,k} I_{2,k} + L_{2,k+1} I_{2,k+1}) \frac{dI}{d\beta}, & \text{როცა } t_3 \leq t \leq t_4; \\ -\sum_{k=N}^{N+1} \frac{1}{2} (L_{1,k} I_{1,k} + L_{2,k} I_{2,k}) \frac{dI}{d\beta}, & \text{როცა } t_5 \leq t \leq t_6. \end{cases}$$

შედგენილი დინამიკის განტოლებები ამოიხსნება იგივე რუნგე-კუტას რიცხვითი მეთოდით.

მოყვანილი დროში წანაცვლებული ზემოქმედებების გამოყენებით შესაძლოა განვახორციელოთ სისტემის მართვა თვითკორექტირებით. ამ ამოცანის გადასაჭრელად დამატებით ვიყენებთ მაგნიტომგრძნობიარე გარდამქმნელს (მგ), რომელიც მაგნიტის მობრუნების 90^0 კუთხეს აკონტროლებს (იხ. ნახ.3.17) და მოკლედ შერთულ დამატებით გრაგნილს,



ნახ. 3.17. ორხედური ინდიკატორის ადაპტური მართვის სისტემა
რეალურად დამაგნიტებული ოთხკუთხა პრიზმის ფორმის მაგნიტებით



ნახ. 3.18. მართვის იმპულსის დიაგრამა

რომელსაც შეუძლია აკონტროლოს არა მარტო 180° -ზე მობრუნება, არა მედ მიღევადი რხევების რიცხვის მაფორმირებლის როლი შეითავსოს. საჭიროებისას ეს გრაგნილი გამოიყენება რხევების დემფირებისას, თუ მას მიმდევრობით და თანხვდენილად შევაერთებთ მმართველ გრაგნილს ან დამოკიდებლად ვამუშავებთ ლოგიკურად გამართლებული ფუნქციის შესასრულებლად.


ნახ. 3.18-ზე მოყვანილი იმპულსური მართვის მიდგომის განხორციელების ეტაპები:

I ეტაპი (1-3) – ტარდება მართვის ობიექტის შესწავლა (დგინდება მოხმარებული სიმძლავრის სიდიდის ზღრული მნიშვნელობა და მიღევადი რხევების ამპლიტუდა, რიცხვი და გამყარების დრო);

II ეტაპი (4-6) – დგინდება მართვის პარამეტრების მისაღები პარამეტრები (სიმძლავრის სიდიდე, მართვის იმპულსის მოქმედების უდიდესი მნიშვნელობა და ხანგრძლივობა, მართვადი და დამატებითი გრაგნილების გადართვის მომენტები და ხანგძლივობა);

III ეტაპი (7-8) – მართვის სისტემის გაწყობა, გაშვება და ფუნქციონირება.

მოყვანილ ეტაპებს შეესაბამება ნახ. 3.19. – ზე მოყვანილი შესაბამისი გრაფიკები. **პირველი ეტაპის** გრაფიკიდან (იხ. ნახ. 3.19., გრაფიკი 1) ჩანს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში პროცესი მიღევადია, ვინაიდან თუ $0-180^{\circ}$ -მდე სისტემის თითოეულ ბრუნვის კონსტრუქციაზე მოქმედებს ამაჩქარებელი განზიდვის ძალა, ამ კუთხის გადალახვის შემდეგ იგივე ძალა მოქმედებს საპირისპიროდ, ანუ ამუსერუჟებს ბრუნვის სიჩქარეს, ვინაიდან ადგილი აქვს მიზიდულობის ძალის მოქმედებას იმიტომ, რომ მაგნიტების პოლუსებმა შეიცვალეს ადგილმდებარეობა. ამიტომ, თუ სამართავ ობიექტს მივაწოდებთ ნებისმიერი ხანგძლივობის მქონე იმპულსს, იგი აუცილებლად შეასრულებს თავის ფუნქციას – მოძრავ კონსტრუქციებს შეუცვლის პოზიციას, მაგრამ დაიხარჯება დიდი ოდენობის ელექტრული ენერგია და დრო, ამასთან ადგილი ექნება არასასურველ (ზოგ შემთხვევაში კი მიუღებელ) დიდი ამპლიტუდის მქონე რხევებს.



ნახ. 3.15. მოძრაობის დიაგრამა

მეორე ეტაპის გრაფიკი (იხ. ნახ. 3.19., გრაფიკი 2) შეესაბამება შემთხვევას, როცა სამართავი მბრუნავი კონსტრუქცია მობრუნებისას გადალახავს 90° -იან კუთხეს და მართვის გრაგნილი გადაირთვება საპირისპირო პოლარობაზე. ამით პოლარობაშეცვლილი ელექტრომაგნიტის მიერ შექმნილი ველი უკვე ამჟარუჭებს ინერციით მოძრავ მბრუნავ კონსტრუქციას. მაგრამ, ეს დამჟარუჭების დროის შუალედი არ უნდა გადასცდეს 180° -იან კუთხის ზღვარს, ვინაიდან საპირისპირო შემთხვევაში (გადაცდენისას) დაიწყება არასასურველი აჩქარებითი მოძრაობა. უკეთესია 180° -იანი ზღვარის გადა-ლახვის შემდეგ სისტემა ისევ გადაირთოს და დაბრუნდეს ისევ პირველი იმპულსის პოლარობაზე.

მბრუნავი კონსტრუქციის შემცირებულ სიჩქარეს ისევ სჭირდება დამამჟარუჭებელი ძალა და ეს მიზიდულობის ძალაა. ასეთი მართვით მცირდება რხევების რიცხვი, მაგრამ ენერგიის ხარჯი მაინც დიდია, ვინაიდან მოძრაობის მმართავი იმპულსები ერთმანეთს ენაცვლებიან და ამიტომ მართვის ხანგრძლივობა დიდია. ეს კი პირდაპირ დაკავშირებულია ენერგიის ხარჯის გაზრდასთან.

მისაღებია ისეთი მართვა (ნახ. 3.17 და ნახ. 3.19 მე-3 გრაფიკი), როცა უზრუნველსაყოფია უმცირეს დროში სისტემის გადაყვანა ერთი მდო-

მარეობიდან მეორეში, მოხმარებული სიმძლავრის ხარჯის მინიმუმამდე დაუგანა და რხევების რიცხვის გამორიცხვა.

შესამე ეტაპზე ვიყენებთ მეორე ეტაპზე მიღებულ შედეგებს, როგორც მართვის იმპულსების საწყისი დროების სიდიდეებს. ინტერვალების ციკლური თანმიმდევრული და ყოველ მომდევნო ციკლში იტერაციული შემცირებით (გაზრდით) ვალწევთ ნახ. 3 მე-3 მოყვანილ მმართავი გრაფიკის სახეს. მართვის ლოგიკური ბლოკი (მლბ) (ნახ. 1) ყოველ მომდევნო მმართავი ოპერაციის ჩატარების შემდეგ იმახსოვრებს დროის ინტერვალებს, სტატისტიკური მეთოდებით ამუშავებს მათ, საზღვრების ინტერვალის შემცირების (გაზრდის) აუცილებლობას და მართვის განხორციელებისათვის ავალებს მავალებლებს (მვ1 და მვ2) მოახდინონ დროის ინტერვალების შეცვლა. მას შემდეგ, რაც მოთხოვნილი პირობები იქნება დაკმაყოფებული და მისი მდგრადობის საზღვრები, განსაზღვრული ლოგიკური ბლოკი წყვეტს ფუნქციონირებას და მართვის პროცესი გადაეცემა მავალებლებს იმ დროის დადგომამდე, როდესაც მბრუნავი კონსტრუქცია არ მობრუნდება 180° -თ ან ვერ გადალახავს 90° -იან ზღვარს. ამ შემთხვევაში დაირღვევა ინფორმაციის მიწოდების თანმიმდევრობა მგ მაგნიტომგნობიარე გარდამსახიდან და ელექტრომაგნიტის მოკლედ შერთული დამატებითი გრაგნილიდან. ეს ნიშნავს იმას, რომ მბრუნავმა კონსტრუქციამ (სხვადასხვა მიზეზების გამო) ვერ გადალახა 90° -იანი შემობრუნების კუთხე და საჭიროა სისტემის საწყის მდგომარეობაში დაბრუნება და ხელახლი მართვის იმპულსის ფორმირება ერთი იტერაციული ბიჯით გაზრდილი ხანგძლივობით. თუ შეტანილმა ცვლილებამ არ გამოიღო სასურველი შედეგი, მაშინ პირველი მმართავი იმპულსის დროის ინტერვალის გაზრდის ბიჯი მიმდევრობით ორით, სამით, ოთხით და ა.შ. იზრდება სასურველი შედეგის მიღწევამდე. ხოლო შემდეგ ობიექტის მართვის იმპულსების ხანგძლივობა ინტერვალები ხელახლა დგინდება მომდევნო მასივის სახით დაგროვებული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავების გზით.

3.6. 0640პატორის შესრულების პონერეფული მაგალითი და

ტექნიკური პარამეტრები

დამუშავებული მართვის სისტემის ტექნიკური პარამეტრებია:

	<i>კონსტრუქცია</i>		<i>კლებტრული</i>
- კორპუსის კედლის სისქე	30 მმ	- სადენის დიამეტრი	0,13 მმ
- ინდიკატორის ხედური ინფორმაციის ამსახველი		- ელექტრომაგნიტის გრაგნილების ხვიათა	
ფირფიტის ზომები	750x40x2,5 მმ	რიცხი	2700
- მაგნიტის ზომები	4x6x12 მმ	- დენის საშუალო	
- მაგნიტოგამტარის გულარის დიამეტრი		მნიშვნელობა	0,8 ა
- ინდიკატორის მბრუნავი		- კედის ძაბვა	24 კ
კონსტრუქციის რიცხვი	19	- მართვის იმპულსის სიმძლავრე	400 კტ
- ელექტრომაგნიტის რაოდენობა	18		
- ინდიკატორის გაბარიტული ზომები			
	780x780x50 მმ		

კომბინირებული უკონტაქტო მართვის გამოყენებით მიიღწევა რხევების სრული ავტომატური დემფირება, რაც უზრუნველყოფს არა მარტო გარდამავალი პროცესების თავიდან აცილებას და მნიშვნელოვნად ამცირებს მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯს, არამედ გაზრდის ასეთი სისტემის სწრაფქმედებას და ორხედური ინფორმაციის შეცვლის საიმედობას.

3.7. შედეგები III თავის მიხედვი

- დამუშავებულია მწკრივში განლაგებული და რადიალურად დამაგნიტებული ღრუ ცილინდრული ფორმის მაგნიტების გამოყენების საშუალებით ორხედური ინდიკატორის აგების ფიზიკური საფუძვლები და მოქმედების პრინციპი.

2. გამოკლეულია დრუ ცილინდრული ფორმის მაგნიტებიდან შემდგარი ბრტყელპარალელური სისტემის დინამიური რხევების დემფინების საშუალებები. მოყვანილია მოკლედჩართული ელექტრომაგნიტით დაკავშირებული რადიალურად დამაგნიტული და ბრუნვის უძრავი დერძის მქონე მაგნიტებზე მოქმედი ძალების თავისებურებანი და იმპულსური მართვის ხერხები.
3. შედგენილია მართვადი იმპულსური ზემოქმედების შედეგად გამოწვეული მოძრაობის განტოლება, რომელიც ითვალისწინებს ძირითად მოქმედ ფაქტორებს. ნაჩვენებია, რომ სისტემაში ერთდროულად დამატებითი მოკლეჩართული ხვის შემცველი ელექტრომაგნიტის შეტანა და დამატებითი მართვის განხორციელება ადემფირებს გარდამავალი პროცესის რხევებს და ამცირებს როგორც მათ რიცხვს, ასევე მათ ამპლიტუდას, რაც ამცირებს “დამშვიდების” დროს მართვის ზემოქმედების მოხსნის შემდეგ.
4. დასაბუთებულია დრუ ცილინდრული მაგნიტებიდან შემდგარი სისტემის უნარი შეინარჩუნოს ხედური ინფორმაცია მექანიკური ზემოქმედების მოქმედების მოხსნის შემდეგ.
5. დამუშავებული ინდიკატორის გამოკვლევები იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ ის: აფართოებს ფუნქციურ შესაძლებლობებს გაბარიტული ზომების მრავალჯერ გაზრდის მეშვეობით და ორი ნახატის, ან ფერის, ან ცვალებადი საგზაო ნიშნის ინდიკაციით; ამცირებს ელექტროენერგიის, მაგნიტური ფხვნილის და ხვიების მავთულის ხარჯის შედგენილი ინდიკატორული ელემენტის შექმნით, მართვადი ელექტრომაგნიტის სექციებად დაშლის და იმპულსური მართვის მეშვეობით; უზრუნველყოფს პასიური ინფორმაციის შეცვლის სწრაფქმედებას თითოეულ სექციაში განლაგებული დრუ მაგნიტების შებრუნების დროის შემცირებით; ამცირებს ინერციულობას მასა-გაბარიტული მაჩვენებლების შემცირების გამო მჩატე ორმხრივი ინფორმაციული ელემენტის გამოყენებით.

IV თავი. მეორადი გარდამშველებისათვის მცირე სიმძლავრიანი,

მუღმივი მაბნიტის შემცვლელი ბენერატორის დამუშავება

ცნობილი წყაროების [60-78] მონაცემების შესწავლის საფუძველზე და ადრინდელმა გამოკვლევებმა [79-82] გვიჩვენა, რომ ბრტყელპარალელური (დისკური) ფორმის მაგნიტების ზედაპირზე (სადაც $D>h$) მაგნიტური ველის ინდუქციის განაწილება არათანაბარია და ამიტომ კვაზისტაციონარული ერთგვაროვანი მაგნიტური ველის მიღება წარმოადგენს რთულ ტექნიკურ ამოცანას.

მაგნიტური ველის ინტენსიობა მცირდება აქსიალურად დამაგნიტუბული მაგნიტური დისკოს გარე ზედაპირიდან სიმეტრიის დერძისაკენ (ნახ. 4.1). ამოტომ შიგა ნაწილის გამოყენება მაგნიტური ენერგიის გამოყენების თვალსაზრისით, არაეფექტურია. ამ გარემოებამ დისკოს ფორმის მაგნიტი შეგვაცვლევინა ტორის ფორმის მაგნიტით. ამიტომ, პრაქტიკულად, რადიო და საყოფაცხოვრებო ტექნიკაში იყენებენ აქსიალურად დამაგნიტებულ მართკუთხა კვეთის მქონე ტორის ფორმის მაგნიტებს.


ცნობილია, რომ მრეწველობაში, მაგალითად, საგლინო, მილ-საგლინო და სხვა სახის დგანებში, სადაც დასამუშავებელი მასალის (ბლიუმების, სლიაბების, მილების) იძულებით გადაადგილებისას ერთი წერტილიდან მეორეში, მომდევნო ტექნოლოგიური ოპერაციის ჩატარების მიზნით, იხარჯება მექანიკური ენერგია. ამ ენერგიის შესამცირებლად იყენებენ როლგანგებს, რომლებიც პასიური ელემენტის როლს ასრულებენ მასალის გადაადგილებისას, ვინაიდან არავითარ ენერგიას არ მოიხმარენ, ხოლო მასალის გავლის შემდეგ უქმად ტრიალებენ. ასევე უქმად ტრიალებენ რკინიგზის და მანქანის ბორბლები და ბევრი სხვა. მათი მექანიკური ენერგია მხოლოდ ზოგ შემთხვევაში გარდაიქმნება ელექტრულ ენერგიად. თუ გავითვალისწინებთ ამ გარემოებებს, მაშინ მიზანშეწონილად მივიჩნევთ მცირებაბარიტული გენერატორის შექმნას, რომელიც ამ დანაკარგს შეავსებს და ამასთან არ იმოქმედებს უარყოფითად მბრუნავი ნაწილების ძირითად დანიშნულებაზე, ექნება დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. ამიტომაც გარდამქმნელს მეორადი განერატორის სახელს ვუწოდებთ.

4.1. გენერატორის აგების ფიზიკური საფუძველი და თავისებურებანი


მუდმივი მაგნიტის შემცველი გენერატორების აგების მრავალი ხერხი არსებობს, ხოლო ფიზიკური საფუძვლები ერთი და იგივეა. განსხვავება მდგომარეობს იმაში, თუ რა ხერხით იქნება აღმრული ე.მ.პ. ცნობილია, რომ მაგნიტური ველის ნაკადულების სიჩქარის ცვლილება განაპირობებს ე.მ.პ.-ს სიდიდეს (თავი 2.1). თუ გამჭოლი მაგნიტური ველის ნაკადი და ამასთან განიკვეთის ფართობი, რომელსაც განჭოლავს ველი, ერთდროულად იცვლება, მაშინ ე.მ.პ.-ს გამოსათვლელად გამოიყენება თავი 2.3-ში მოყვანილი ფორმულა.

ინდუქციის ცვლილება მიიღწევა მაგნიტოგამტარის მაგნიტური გამტარობის ცვლილებით. ეს კი მიიღება მაგნიტური პოლუსებისა (ნახ. 4.2ა) და აღმგზნები კოჭების (ნახ. 4.2ბ) თუნდაც ერთნაირი ან განსხვავებული რაოდენობის გამოყენებით, პოლუსების წანაცვლებით ერთმანეთის მიმართ, მისი კონფიგურაციით და პოლუსებს შორის საჰაერო დრენის (დუბას) არსებობით, რომელიც განაპირობებს მაგნიტური პოტენციალის ისეთ განაწილებას, რომ მათ შორის ველი არაერთგვაროვანი ხდება.


მაგნიტოგამტარის კონფიგურაცია ჭრილში (ნახ. 4.3 ა და ბ) წარმოადგენს უბან-უბან (1-2; 2-3-4; და 4-5) წრფივი განტოლებების გამოყენებით ოპტიმიზირებული რკინიდან დამზადებულ ელემენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ არა მარტო გამოყენებული მასალის, არამედ მაგნიტის მაგნიტური ველის ენერგიის დაკარგვის მინიმიზაციას, აღმზნები კოჭის განივალეთის ფართობი განპირობებულია დისკური პროფილირებული (ნახ. 4.3ბ) ფორმის მაგნიტოგამტარის პოლუსური ბუნუკების გეომეტრიული ზომებით (ნახ. 4.2ა). ორ მრგვალ დისკური პროფილირებული ფორმის პოლუსებს შორის განთავსებულია აღმზნები კოჭები. ეს კოჭები თავისი მაგნიტოგამტარით მოთავსებული არიან არამაგნიტური (მაგალითად, ტექსტოლიტი) დისკოს ფორმის სათავსოებში (ნახ. 4.2ბ) და წანაცვლებული არიან ერთმანეთის მიმართ 45° (ამ კერძო შემთხვევაში). არაერთგვაროვანი მაგნიტური ველის გადაკვეთის დროს იცვლება ნაკადშებმა პოლუსურ ბუნუკებს და აღმგზნებ კოჭებს შორის, რაც დადგენილია სამეცნიერო კვლევებით, რომლებიც ჩატარებული იყო




ნახ. 4.1. ტოროიდალური ფორმის აქსიალურად დამაგნიტებული მაგნიტის მაგნიტური ველის სივრცული განაწილება




ნახ. 4.2 მაგნიტოგამტარის პოლუსური ბუნებების გეომეტრიული ფორმები



ნახ. 4.3 მაგნიტოგამბარის ჭრილის კონფიგურაცია



ნახ. 4.4



ნახ. 4.5

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტში და მოყვანილია [29, 79-81].

ვინაიდან მოძრავი მაგნიტური ველი, დროის რეალურ მომენტში, ვერ შეაღწევს აღმზნები კოჭის პოლუსის მთელ ფართობში. ამიტომ ადგილი აქვს ფართობის ცვლილებას.

